ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათს და პარასკევს | №35 (1665) | 15-18 მაისი, 1998წ. | ფასი 50 თეთრი

## რა იმალება გულუას, ჭანტურიას, ხაბეიშვილის მკვლელობებისა და შევარდნაძეზე თავდასხმების მიღმა?



### ანონსი

გაზეთის მომდევნო ნომერში ამ სათაურით თქვენ წაიკითხავთ ვლადიმერ ხვედელიძის პუბლიკაციას (დასაწყისი „საქართველო“ №30, გაგრძელებები №№33,34), რომელშიც ავტორი იხილავს საქართველოს სოციალურ პრობლემებს და სვამს შემდეგ კითხვებს: სად არის საქართველოს თევზსაჭერი ფლოტი (საოკეანო თევზჭერის ფოთის სამმართველო), რატომაა დანგრეული სათევზე მეურნეობები, რატომ ჰგავს ჩვენი ხელფასები დახმარებებს „არასაარსებო მინიმუმისათვის“, რატომ დადგა ჩვენი ხალხი სილატაკისა და ბიოლოგიური გადარჩენის ფაქტის წინაშე? ვის სჭირდება ეს? რა იმალება გულუას, ჭანტურიას, ხაბეიშვილის მკვლელობებისა და შევარდნაძეზე თავდასხმების მიღმა? და ბოლოს, საკრამენტული კითხვა: ვინ არის დამნაშავე და რა ვქნათ?

### პარასკევის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

მე-4 გვერდი



# „კოკადალეულთა“ „მოძრაობა“ ანუ გუნავა ჯგუშიას ფსიქიკური მდგომარეობის შემოწმებას ურჩევს

„მოძრაობა და მოძრაობა“ არა, მაინც რა ძალა ჩააქსოვა... დიდმა ილიამ ამ სიტყვებში ისეთი, რომ მარტო „თერგდალეულები“ კი არა და „კოკადალეულებიც“ კი „აამოძრავა“. „იმდენი „იმოძრავეს“ ჩვენი მმართველი პარტიის, „მოქკავშირის“ წარმომადგენლებმა, რომ გალშიც კი შევიდნენ. ამ „მოძრაობის“ მეთაური, სულისჩამდგმელი და მამოძრავებელი ძალა ბატონი ბეჟან გუნავა გახლდათ, სწორედ მან, გუშინ პარლამენტის ილია ჭავჭავაძის




(ისევ ილია) დარბაზში გამართა პრესკონფერენცია, სადაც თვალებად და ყურებად ქცეულ ჟურნალისტებს მოუთხრო „მოძრაობის“ შედეგები.

სწორედ გალში შეუმჩნევია ბატონ ბეჟანს ერთი ფრიად საგულისხმო ფაქტი, კერძოდ ის, რომ „სამურზაყანოდან შეიძლება ერის გაერთიანება“. სად ვიყავით აქამდე! ცოტა ადრე რომ გვცოდნოდა, იქნება არ დაგვემართებოდა ის, რაც დაგვემართა, მაგრამ როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. თუკი თბილისიდან ვერ ვაერთიანებთ ერს, მოდით გადავიდეთ სამურზაყანოში და იქედან დავიწყოთ.. თუმცა, დაწყება რაღად უნდა, ეს უკვე დაწყებულია. როგორც „ამოძრავებული“ „მოქკავშირის“ ღირსეულმა წარმომადგენელმა გვამცნო (ჩვენ ამას ვერ მივხვდებოდით), ეს ჩვენი სამთავრობო სტრუქტურების პირველი შესვლაა აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ ამ ტერიტორიაზე (ნეტა გააგრძელონ შესვლები). მართალია, ამ შესვლას უსიამოვნება კი მოჰყვა (გალელთათვის), მაგრამ ეს რა მოსატანია იმასთან, რაც „მოქალაქეთა კავშირმა“ ქულების ჩაწერის საქმეში გააკეთა. ქულები კი ბევრი, ბევრი უნდა შეაგროვონ, თორემ ვერც „შესვლა“ და ვერც „გამოსვლა“ ველარ უშველის მმართველ პარტიას არჩევნებში, თუკი აფხაზეთის საკითხი გადაუწყვეტელი დატოვა.

მოდით, ისევ „მოძრაობას“ დავუბრუნდეთ, მაგრამ ამჯერად პარტიზანულს.

თუკი, ჩვენი „კოკადალეულები“ გალის რაიონში მოხვდნენ, ეს სწორედ პარტიზანთა დამსახურებაა. თურმე ნუ იტყვით და ვიღაცას მათი ლეგალიზება, ანუ ლაგამის ამოდება მოუსურვებია.

სამოცარია პირდაპირ, თუ




ბიჭები იყვნენ, ჰყავდათ ლეგალიზებული გვარდია, მხედრიონი და ევაუკაცათ, მაგრამ ვაჟკაცობას დიდი გასავალი რომ არ აქვს, ამას კარგა ხანია მივხვდით.

მიხვედრაზე გამახსენდა, აგერ უკვე მეექვსე წელია, დავკარგეთ აფხაზეთი და ახლახან მიხვდნენ „მოქალაქეები“, რომ არძინბასთან შეთანხმების მიღწევა შეუძლებელია. დიდ გაურკვევლობაშია ჩვენი მმართველი პარტია, არც ომი უნდათ, არადა ხვდებიან, რომ საშველი აღარაა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ბევრი ისაუბრა ბ-ნმა გუნავამ თუ ცოტა, ბოლოს დაგვპირდა, რომ კვლავ „იმოძრავებდა“. ის იყო პრესკონფერენცია უნდა დასრულებულიყო, რომ ვიღაც (ალბათ რაჭველ) ჟურნალისტს გაახსენდა ის ბრალდებები, რაც თენგიზ ჯგუშიამ გუნავას წაუყენა და კომენტარი ითხოვა. ბ-ნმა ბეჟანმა არ დაახანა და ჯგუშიას ჭირისუფლებს ასეთი რამ ურჩია: „მიიყვანონ ექიმთან და შეამოწმებინონ“. შეამოწმებენ თუ არა ჭირისუფლები ჯგუშიას ფსიქკურ მდგომარეობას, ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ის ნათელია, რომ ჯგუშია გუნავას უპასუხოდ არ დატოვებს.

**ანა ჯუღელი**

# შალვა ნათელაშვილი მოქალაქეთა კავშირს „კომუნისტურ ინტერნაციონალში“ გასაწევრიანებლად რეკომენდაციას ჰპირდება...

მიმდინარე კვირას დედაქალაქში ჩატარდა „სოცინტერნის“ კონფერენცია ამიერკავკასიაში კონფლიქტების მოგვარების თაობაზე.

ცნობისათვის, სოციალისტური ინტერნაციონალი დაარსებულია 1944 წელს. როცა ევროპა ფაშიზმის მიერ იყო ოკუპირებული, ემიგრაციაში მყოფი ევროპის სოციალ-დემოკრატიული და ლეიბორისტული პარტიები შეიკრიბნენ ლონდონში, სადაც საფუძველი დაედო ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბებას.

ქართველი „ლეიბორისტები“, მართალია, მხარს უჭერენ აღნიშნულ კონფერენციაზე წარმოდგენილ რეზოლუციას, რომელიც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობს, მაგრამ სასტიკი წინააღმდეგნი არიან მოქალაქეთა კავშირის ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების დაჟინებული მცდელობისა, რადგან შალვა ნათელაშვილის თქმით, „სოცინტერნის“ რიგებს სჭირდება იდეოლოგიური სიწმინდე.

— არ შეიძლება დე-იურედ მოქალაქეთა კავშირი ატარებდეს ქვეყანაში მემარჯვენე პოლიტიკას, რასაც ჩვენ სავსებით სამართლიანად ანტისოციალურს ვუწოდებთ და დე-ფაქტოდ იყოს სოციალისტური ინტერესების მატარებელი. ისე, საქართველოს პრეზიდენტს, რომელსაც ნამდვილად გააჩნია ავტორიტეტი საერთაშორისო არენაზე, შეეძლო ხაკუთარი კავშირები იგივე „სოცინტერნთან“, რომლის შემადგენლობაში არიან ევროპის მმართველი ძალები, გამოეყენებინა აფხაზეთის დაბრუნების დასაჩქარებლად, სამაჩაბლოს დასაბრუნებლად, ეკონომიკის გასაძლიერებლად და სხვა სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად, და არა იმისათვის, რომ საკუთარი პარტია ახლა სოციალისტური ინტერნაციონალის პოზიციებზე დასვას.

კონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტს ნახევრადხუმრობით უთქვამს, რომ დაბადებით ევროპული ტიპის სოციალისტია, ხოლო დღევანდელი ოპოზიცია „ლეიბორისტების“ სახით, მისი განაყოფები არიან. შალვა ნათელაშვილი კატეგორიულად უარყოფს პრეზიდენტის აზრის სისწორეს და ირწმუნება: — მე ვარ ჩემი მშობლების განაყოფი,







შევარდნაძის განაყოფები კი მისი შვილები არიან. სხვა განაყოფი-გამონაყოფი არ ვიცი მე.

ევროპის ცამეტი ქვეყნის მმართველი ძალა რომ მემარჯვენეები იყვნენ, პრეზიდენტი ალბათ, იმასაც არ უარყოფდა, რომ იგი დაბადებით მემარჯვენეა. თუ მაინცდამაინც ხელისუფლებას ჰგონია, რომ ის ქვეყანაში სოციალიზმს აშენებს, ისიც უნდა იცოდეს, რომ საზოგადოება ამას ნომენკლატურის ოლიგარქიულ სოციალიზმს უწოდებს.

ლეიბორისტების ლიდერი მოქალაქეთა კავშირის გადარბენა-გადმორბენის პოლიტიკას მარჯვნიდან მარცხნივ იმ სპორტულ სიტუაციას ადარებს, როცა უვარგისი სპორტსმენები დიდი კალათბურთიდან ძალების მოსასინჯად ხელბურთში მიდიოდნენ, მაგრამ პირიქით, ხელბურთიდან კალათბურთში წასვლა პრაქტიკაში არ არსებობს.

შალვა ნათელაშვილისთვის სამწუხაროდ, „სოცინტერნის“ გენერალურ მდივანს, მიუხედავად იმისა, რომ ზეპირად იცის ქართველი „ლეიბორისტების“ ხედვა ხელისუფლებაზე, მაინც თვალები აქვს დაბინდული; ეს პრეზიდენტის ავტორიტეტის „წყალობაა“. ვისაც ჰგონია, რომ არჩევნებში გასამარჯვებლად „სოცინტერნის“ წევრობა კმარა, ძალიან ცდება, რადგან მთავარი ხალხის ორიენტაციაა, ეს უკანასკნელი კი ბ-ნი შალვას თქმით, მის მხარეზეა.

ძალა, რომლის სახელთანაც პირველად ისტორიაში დაკავშირებულია ფასიანი ჯანდაცვის, განათლების, საბავშვო ბაღების, კოლონიური საგადასახადო, ეკონომიკური და საბაჟო პოლიტიკის გატარება, მსოფლიო და სავალუტო ფონდის მონობა რამაც ქვეყანა ესოდენ გაალატაკა, ნაწილი გააქცია ქვეყნიდან, დარჩენილები უმუშევრად დატოვა, რანაირად შეიძლება სოციალისტური იდეის მატარებლად იწოდებოდეს და პრეტენზია ჰქონდეს იქ გაწევრიანებაზე. შალვა ნათელაშვილი ასეთი დახასიათებით მოქალაქეთა კავშირსა და ხელისუფლებას რეკომენდაციას ჰპირდება კომუნისტურ ინტერნაციონალში.

**ხათუნა ხატიაშვილი**

## თელასი საპატარძლოდ მოამზადეს

მაისის ბოლოს ქონების მართვის სამინისტრო უკვე ოფიციალურად გამოაცხადებს მუნიციპალურ საწარმო „თელასის“ პრივატიზაციაზე. ამასთან დაკავშირებით 13 მაისს საქართველოს ეწვევა საინვესტიციო ბანკის „მერილინ ლინჩის“ წარმომადგენლები, რომლებმაც მოამზადეს საქართველოს ენერგეტიკის საერთოდ და, კერძოდ, „თელასის“ პრივატიზების დოკუმენტაცია. ვიზიტისას „მარილინ ლინჩმა“ უნდა წარმოადგინოს საინფორმაციო მემორანდუმი იმ ორთვიანი მუშაობის შესახებ, რომელიც მან საქართველოში ჩაატარა.

სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილის, მერაბ გაბუნიას განცხადებით, მემორანდუმი 100 გვერდიანი დოკუმენტია. იგი განხილული იქნება ქონების მართვის სამინისტროში, „თელასში“ და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში, რის შემდეგაც მიიღებენ გადაწყვეტილებას „თელასის“ პრივატიზებაზე ტენდერის გამოცხადების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ენერგოკომპანიის პრივატიზებასთან დაკავშირებით არსებობდა გარკვეული პრობლემები მის სააქციო საზოგადოებად გადაკეთებასთან დაკავშირებით, საკითხი ოპერატიულად მოგვარდა. ტენდერის გამოცხადების პარალელურად მოხდება დასავლეთ, აღმოსავლეთ საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დისტრიბუციის ობიექტების სატენდეროდ მომზადება.

## კერვალიშვილი გამსახურდიას მკვლელობის შესახებ

13 მაისს სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა, გიორგი კერვალიშვილმა პრესკონფერენცია გამართა, რომლის მიზანი იყო კვლავ შეეხსენებინა საზოგადოებისათვის საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის დეტალები.

კერვალიშვილის თქმით, გასული წლის აპრილში შეიქმნა საზოგადოებრივი კომისია, რომელიც იძიებს გამსახურდიას სიკვდილის მიზეზს. მან კატეგორიულად უარყო საქართველოს ხელისუფლებისა და პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაცია გამსახურდიას თვითმკვლელობის ფაქტის შესახებ. კერვალიშვილის განცხადებით, რადგან არ არსებობს „ცხედრის სამედიცინო ექსპერტიზა“, მტკიცება მისი თვითმკვლელობის შესახებ სიცრუეა.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ყოფილი პრეზიდენტის სიკვდილის ფაქტს ნათელს მოჰფენს ყოფილი უშიშროების მინისტრის, იგორ გიორგაძისა და რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო საზღვაო ფლოტის ყოფილი ადმირალის, ედუარდ ბალტინის დაკითხვა, რომელიც ამჟამად მოსკოვის სამართალდამცავების მიერ ძებნაში იმყოფება კორუფციაში ბრალდებით. კერვალიშვილის აზრით, 1993 წლის შემოდგომაზე ბალტინი ფოთში შევარდნაძის ხელისუფლების დაკვეთით ჩამოვიდა. ვინაიდან ოფიციალური რუსეთი გამსახურდიას მკვლელობის მიზნით მისი ჩამოსვლის ფაქტს უარყოფს. კერვალიშვილმა, ასევე, განაცხადა, რომ ყველა, ვინც საქართველოს პირველი პრეზიდენტის თვითმკვლელობის ფაქტს ამტკიცებს, ნებსით თუ უნებლიედ, მისი მკვლელობის თანამონაწილეა და მათ რიცხვში შესაძლებელია გამსახურდიას გარემოცვაში მყოფი უახლოესი პირებიც იყვნენ. კერძოდ, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი, რომელიც გამსახურდიას დაცვის უფროსთან, რობიზონ მარგველანთან ერთად ხელისუფლებას სჭირდებოდა პრეზიდენტის თვითმკვლელობის თანამოწმედ დაეტოვებინა.

კერვალიშვილის მტკიცებით, გამსახურდიას მკვლელობას პოლიტიკურად და სამართლებრივად ნათელი მოფენილი აქვს. არ არის მხოლოდ ამის იურიდიული აღიარება. მისივე თქმით, გია გულუა იყო ერთ-ერთი სპეცჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც 1993 წელს ზვიად გამსახურდიას სამეგრელოში ჩასვლის დღიდან დასდევდა.

კერვალიშვილი მომავლისთვის საჭიროდ მიიჩნევს აუცილებლად ჩაუტარდეს ყოფილი პრეზიდენტის გვამს სამედიცინო ექსპერტიზა საერთაშორისო დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით; ექსპერტიზა ჩატარდეს მათ მიერ, ვინც ალიანსში არ იქნება რუსეთთან და შევარდნაძესთან.

## ვინ უნდა მიხედოს შიდსით დაავადებულ ავადმყოფებს?

„თუ 26 მაისამდე ყურადღებას არ მოგვაქცევენ, ვიწყებთ შიმშილობას“ - უთხრეს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მისულ საქართველოს პატიმართა თანამეგობრობის პრეზიდენტს, ლალი აფციაურს შიდსით დაავადებულმა პატიმრებმა. დღეისათვის ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში 3 შიდსით დაავადებული პატიმარია, აქედან ერთი ქალია. ერთ-ერთმა მათგანმა, ბესო თ-მა, აფციაურთან საუბრისას აღშფოთება გამოთქვა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასჯელის აღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის, გივი ყვარელაშვილის ტელევიზიით გამოსვლის გამო, რომელშიც ყვარელაშვილმა თქვა, რომ პატიმრების უფლებები არ ირღვევა. „ყვარელაშვილი ერთხელ მაინც რომ მოვიდეს ჩემთან, ვაჩვენებ, როგორ არ ირღვევა ჩვენი უფლებები“ - განაცხადა მან.

როცა მას კოლონიაში ანალიზის შედეგად შიდსის ვირუსის არსებობა დაუდგინეს, იგი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში 12 დღე-ღამის განმავლობაში დახურულ საკანში ჰყავდათ მოთავსებული. მან აფციაურს აცნობა, რომ მათთან არავინ არ მიდის, არც ექიმები შიდსის ცენტრიდან. „კონსულტაციები მაინც ჩაგვიტარონ, ხომ უნდა ვიცოდეთ, ჩვენს თავს როგორ მივხედოთ?“ - თქვა ბესო თ-მ. „მე მითხრეს, რომ მაქვს დასაწყისი სტადია და როგორც ვიცი, ამ სტადიას მკურნალობენ, მაგრამ მე რატომ არავინ მკურნალობს?“ - იკითხა მან.

როგორც აფციაურმა გეა-ს კორესპონდენტს აცნობა, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოთავსებულ შიდსით დაავადებულ პატიმრებთან მისულნი იყვნენ საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლები, რომლებმაც ავადმყოფებს უთხრეს: ჩვენ დეპარტამენტის ხელმძღვანელობას ვეუბნებით, თუ როგორ უნდა გიმკურნალონ, მაგრამ ისინი ყველაფერს უკუღმა აკეთებენო.

გარდა ამისა, ლალი აფციაური შეხვდა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში სხვა პატიმრებსაც, რომლებმაც უთხრეს, რომ მათ არავითარი პრეტენზიები არ გააჩნიათ პირადად ციხის საავადმყოფოს ექიმებთან, ისინი უკმაყოფილონი არიან მხოლოდ შსს-ს ხელმძღვანელობითა და სასჯელის აღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრაციით, რომლებსაც სრულებითაც არ აინტერესებთ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოთავსებული პატიმრების ბედი. მათ ყველამ ერთხმად მადლობა გადაუხადეს ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმს, ნავთლის ქობულიას და თქვეს, რომ როცა ხედავენ, რომ ის თეთრი ხალათით მიდის საოპერაციოში, ე.ი. მან კიდევ ერთი სიცოცხლე უნდა გადაარჩინოს. აფციაურთან საუბრისას მათ აღშფოთება გამოთქვეს იმის თაობაზე, რომ საავადმყოფოში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით ქობულიას თანამდებობიდან გათავისუფლებას უპირებენ.

# ნოდარ ნათაძე:
# რაც ვიცი

*„საქართველოს" მომავალი ნომრიდან დავიწყებთ ნოდარ ნათაძის მასალის ბეჭდვას სათაურით „რაც ვიცი". ეს არის ცალკეული თავები წიგნიდან, რომელიც ავტორს მომზადებული აქვს, თუმცა მის გამოცემას არ ჩქარობს. ავტორი მოგვითხრობს ყოველივე იმას, რისი მონაწილეც და მოწმეც იყო ამ ბოლო ათ წელიწადში საქართველოს პოლიტიკის ასპარეზზე, და ამ თხრობაში უამრავ, საზოგადოებრიობისათვის უცნობ ფაქტს ახსენებს. ამასთან ერთად გვთავაზობს იმ უბედურებათა მიზეზებისა და მექანიზმების ანალიზს თავს, რაც დაგვატყდა და რაც დღემდე გრძელდება.*
*ამ ნომერში ვბეჭდავთ ავტორის წინასიტყვას.*

მემუარს არ ვწერ. ამის დრო ჯერ არ არის. დღეს საქართველოს გადარჩენის, ვერგადარჩენის ან მეტისმეტად უსახელო გადარჩენის ცოცხალ პროცესში ვართ. ვწერ მხოლოდ იმ მიზნით, რომ არ დაიკარგოს მომხდარის ის აუნაზღაურებადი ცოდნა, რაც, ჩემდა სამწუხაროდ, ხელთ მაქვს, და იგი გამოყენებულ იქნას, სხვათა შორის (მაგრამ მხოლოდ სხვათა შორის), იმათ კედელზე მისაყენებლადაც, ვინც ისტორიის წინაშე კედელთან მიყენებას იმსახურებს.



ის, რაც საქართველოში 1991 წლის ზაფხულიდან დღემდე მოხდა, ჩვენი ქვეყნის მრავალათასწლოვანი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე სამარცხვინო ეპიზოდად მიმაჩნია. სამწუხაროდ, ყოველივე ეს კანონზომიერია დეგრადაციის იმ ძალიან ხანგრძლივი პროცესის შედეგად, რომელიც ქართველმა ერმა ჯერ თეთრი, შემდეგ კი წითელი იმპერიის ხელში განვლო და რომლის ნათელ გაცნობიერებასაც დღემდე ქვეშეცნეულად მოერიდა და ერიდება. ჩემი მიზანია, ჩვენი ამ ტრაგედიის შესახებ რაც შეიძლება მეტი იყოს ცნობილი, რათა შთამომავლობამ უკეთ გაითვალისწინოს, რომელი საშიშროებები ემუქრება, საიდან ემუქრება და როგორ შეუძლია და ჰმართებს დაიცვას მათგან თავი მომავალში.

ჩვენი თხრობის საგანია, ის რაც მოხდა, და მსჯელობის საგანია ის, თუ როგორ მოხდა და რატომ მოხდა. 1991-92 წლებზე ცოტა ადრე მოხდა ის, რომ გენერალ-ჯალათებს კოჩეტოვს (იმ ხანად სსრკ თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, მანამდე — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს), როდიონოვს და სხვებს, მათს ხელქვეითებს და მათს მთავარსარდალს გორბაჩოვს დაუსჯელად შერჩათ ქიმიური იარაღითა და მესანგრის ნიჩბებით ადამიანთა მასობრივი დახოცვა თბილისში. თავი არ უნდა მოვიტყუოთ და ერთმანეთს არ უნდა დავუმალოთ მარტივი ჭეშმარიტება: რომელიმე მათგანი რომ სიკვდილით დაგვესაჯა, ან დასჯა გვეცადა მაინც, ბევრი შემდგომი უბედურება და დამცირება აგვცდებოდა, ცხინვალის და აფხაზეთის მოვლენათა ჩათვლით. შემდეგ, მოხდა ის, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ 1989 წლის 9 აპრილიდან ხელისუფლებაში მოსვლის დღემდე თითქოს ვერც კი შეამჩნია თავისი ერთი ძირითადი ამოცანა — საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობა — და თავის სტრატეგიად არ მიიღო იურიდიული დამოუკიდებლობის მიზნებისკენ გადადგმული ნაბიჯების პარალელურად კომუნისტური ხელისუფლებისათვის საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებისკენ მიმართული ყველაზე აუცილებელი ნაბიჯების გადადგმის გამოძალვაც. ეს რომ მომხდარიყო, დამოუკიდებლობის მოპოვების დღისთვის ბევრად წინ ვიქნებოდით და ჩვენი ახალი ისტორიის სტარტიც უკეთესი გვექნებოდა; მოხდა ის, რომ საქართველოს არაქართველი მოსახლეობა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩაბმაც ჩვენი განთავისუფლების მოძრაობაში ჩვენ შეგვეძლო, მოწინააღმდეგემ დიდწილად წაგვართვა და ჩვენი სახელმწიფოს აქტიურ მტრად გახადა; მოხდა ის, რომ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის ყველაზე მძიმე და საპასუხისმგებლო მონაკვეთში, რომელიც დაიწყო 1980-იანი წლების ბოლოს და გრძელდება დღესაც, ქართველი ერის ძირითადი გონებრივი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალი პოლიტიკურად აქტიური ძალების მიღმა აღმოჩნდა. უფრო მეტიც: ჩვენ დღესაც არა გვყავს თავმოყრილი და ამოქმედებული ის 30-50 ათასი მორალურად და მოქალაქეობრივად სავსებით გამართული კაცი და ქალი, რომელიც საჭიროა და საკმარისია საქართველოს ფეხზე დასაყენებლად ყველა სფეროში, სამხედროსა და ადმინისტრაციულის ჩათვლით, და არც ვიცით დანამდვილებით, გვყავს ამ რაოდენობის გამართული ადამიანები ჩვენს ოთხმილიონიან ერში თუ არა გვყავს; და ბოლოს, მოხდა ყველაზე უარესი, და ზემოთქმულის შედეგად, ყველაზე მოსალოდნელი: დროგადასულმა, განვითარებული დასავლეთის მიერ ძალით უკვე არაერთხელ დათრგუნულმა და დასავლური დიპლომატიის მიერ არარეთხელ უკვე „თითზე დახვეულმა" „ბოროტმა იმპერიამ" მოკლე ჭკუით მოგვატყუა. თითქმის საუკუნის წინ უკვე გაშიფრული და მხილებული პოლიტიკური მეთოდებით „გაგვაცურა" და ჩვენს ყველაზე ვიწრო ქვეყნაგრძნობებზე ისე გაბატონებულმა, როგორიც პატარა ბავშვებზე, საქართველოში სამოქალაქო ომის პროვოცირება მოახდინა. გაუწვრთნელი კანონიერი ხელისუფლების დამხობა პოლიტიკურად და სახელმწიფოებრივად კიდევ უფრო გაუწვრთნელი გვარდიის ძიერ ამ ომის მხოლოდ პირველი ეპიზოდი იყო. დანარჩენი, რაც ჯერ კიდევ ხდება და ღრმავდება, ჩვენი სამხედრო კატასტროფების ჩათვლით, ამ პირველი ეპიზოდის კანონზომიერი და გეგმაზომიერი გაგრძელებაა. ეს გრძელდება შეიარაღებული და უიარაღო ომის ფორმით, რომელშიც სარდლობა მოწინააღმდეგის გამარჯვებისათვის ილწვის, მაგრამ არა მხოლოდ ამ ფორმით. რუსული აგენტურის სრულებით შეუზღუდავი მოქმედების პირობებში ჯერ კიდევ „მრგვალი მაგიდის" მმართველობის დროს დაიწყო საქართველოში ეკონომიკური რეგრესი და დესტაბილიზაცია. რომელიც გეომეტრიული პროპორციით გაიზარდა და აყვავდა პუტჩის შემდეგ, ქვეყნის სათავეში მოსული აბსოლუტურად უპრესტიჟო, უუნარო და უნებო „ხუნტის" ხელში. ამ ფონზე (და მხოლოდ **ამ** ფონზე, ვინაიდან ყველა სხვა ფონზე ეს შეუძლებელი იქნებოდა) მოხდა საქართველოში ერთპიროვნულ მმართველად შევარდნაძის მოყვანა, რომელსაც მოსახლეობის ძალიან მნიშვნელოვანმა ნაწილმა მხარი დაუჭირა მისი საერთაშორისო კავშირებისა და მმართველობითი გამოცდილების გამო იმ იმედით, რომ მას სტაბილობის მიღწევა შეეძლო. ამის შემდეგ ჯერ „ხუნტის" ზურგს უკან ამოფარებით, შემდეგ კი ღიად, თვით შევარდნაძის სახელით, ტარდება საქართველოს ეკონომიკური, სტრატეგიული და მორალური ნგრევის პოლიტიკა, რომელიც სხვა ვერაფრით აიხსნება თუ არა გაბატონებული ჯგუფის უსაზღვრო და დაუსჯელი სიხარბით, როგორც თავისი მიზეზით, და რუსეთისადმი საქართველოს შემდგომი დაქვემდებარების ზრახვით, როგორც თავისი მიზნით. ჩვენი ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია მტრების მიერ, რომელთაც საქართველოს ხელისუფლება, გენოციდის ჩამდენ კრიმინალებად ჩათვლის ნაცვლად, მოლაპარაკების მხარედ და პოლიტიკურ პარტნიორებად რაცხს. „ესენგეში" ჩათრეულნი ვართ (უკანონოდ ანუ პროცედურის დარღვევით) და ჩვენს ქვეყანაში, მუდმივ ბაზებზე მდგომი ოკუპანტების გარდა, „დროებით" მყოფი „მშვიდობისმყოფელნიც" იმყოფებიან. ერთადერთი, რაც მოგებული გვაქვს, არის იურიდიული დამოუკიდებლობა და გაეროს წევრ ქვეყანად გახდომა, რაც მხოლოდ დღევანდელი მსოფლიო-ისტორიული განვითარების შედეგია, ერთის მხრივ, და ქართველი ერის მკაფიოდ გამოხატული ნებისა, მეორე მხრივ. მაგრამ, რა თქმა უნდა, არა 97%-მა, როგორც ოფიციალურად გამოცხადდა არჩევნების შედეგი. ეს „97%" სხვა არა არის რა, თუ არა გამსახურდიას 87% ზედ მიმატებული მრგვალი 10%-ით. მთელი კატეგორიულობით ვადგავარ იმ აზრს, რომ ყველაფერი იმის აცილება, რაც დაგვემართა, (რა თქმა უნდა, ამა თუ იმ მეტნაკლებად შემთხვევითი ეპიზოდების გარდა), **შეიძლებოდა.** შეგნებულად ვამბობ „შეიძლებოდა" და არა „შეგვეძლო", რადგან ვგულისხმობ, რომ ეს შეიძლებოდა მხოლოდ ქართველი ერის და ქართველი პოლიტიკური ელიტის სრულყოფილი ან თითქმის სრულყოფილი მორალური, პროფესიული და ორგანიზაციული მზაობის შემთხვევაში, რომელიც ჩვენ არ გაგვაჩნდა. მაგრამ კატასტროფის ყველაზე მძიმე ნაწილის აცილება, რომელიც დაგვემართა და რომელშიც დღესაც ვართ, **შეგვეძლო** ჩვენი მოუმზადებლობის იმ პირობებშიც კი, რომელშიც ვიყავით. ჩვენ დანაშაულებრივად გავხდით კატასტროფის მსხვერპლი იმიტომ, რომ არ ვქმენით ის, რაც ჩვენ ხელთ იყო — მაშასადამე, არა ობიექტური, არამედ მორალური და ინტელექტუალური ფაქტორების (უკეთეს შემთხვევაში — მორალური და ინტელექტუალური სისუსტის) გამო. ყოველივე ის, რაც დაგვემართა, სტალინისა და ბერიას უძლეველი აპარატის ხელით რომ მოგვსლოდა, თავს ულმობელი ბედისწერის წინაშე დამარცხებულად მაინც ჩავთვლიდით. მაგრამ ვისთანაც დღედღეობით დამარცხებულნი ვართ — ისტორიის მიერ უკვე განწირულ იმპერიასთან — იმასთან დღეს დამარცხებაც სირცხვილია და გამარჯვებაც მხოლოდ ვალის მოხდაა და არა გმირობა. ეს ვალი ჩვენ — იმ წლებში პოლიტიკურ ასპარეზზე მყოფ ან თუნდაც მხოლოდ დღეს ფეხზე მდგომ ქართველ მოქალაქეებს — მოსახდელი გვაქვს. მანამდე კი ყველაზე უკეთესი, რაც რომელსამე ჩვენგანს შეუძლია, ის გახლავთ, რომ ჩვენი თავი საჯარიმო ბატალიონის ჯარისკაცებად ჩავთვალოთ და გამარჯვების მომტან ბრძოლაში თუ ვერა (ეს გახლავთ ფუფუნება, რომელიც ყველას წილად არ ჰხვდება), გამარჯვების მომამზადებელ ბრძოლაში მაინც ჩვენი წვლილის დადება შევძლოთ. როგორც კი ეს მიზანი მიიღწევა ან რომელიმე იმ პიროვნებათაგანი იმ ბატალიონის ჯარისკაცად გამოუსადეგარი გახდება, ჩვენი ვალია აღვასრულოთ ის მარადიული განაჩენი, რომელიც ყოველ ჯანსაღ არმიაში განადგურებული ნაწილის სარდალს თავისი თავისათვის გამოაქვს.

ამ პატარა წიგნში, რომელსაც შეგნებულად ვცემ მცირე ტირაჟით, ორ მიზანს ვისახავ. პირველი: როგორც ვთქვი, მინდა სრულად მოვუხთრო შთამომავლობას მომხდარის ის ნაწილი, რომელიც ვიცი, რათა მან უკეთ შეძლოს ძველსა და ახალ ვითარებაში გარკვევა. მეორე: ამავე მიზნით მინდა მივაწოდო მას მომხდარის ჩემეული გააზრება, რომელიც შესაძლოა უფრო გვიანი დროითი წერტილიდან ჩატარებულს სჯობდეს.

სანამ კონკრეტულ ეპიზოდთა თხრობას მივადგებოდე, ერთი აუცილებელი შენიშვნაც მმართებს. არც ზოგად მსჯელობაში, არც ცალკე ეპიზოდების თხრობაში მე უფლება არა მაქვს განვასხვავო ცოცხლისადმი მიდგომა იმისადმი მიდგომისაგან, ვინც ცოცხალი აღარ არის. ვალდებული ვარ ყველას მოქმედება ისეთად მოვიხსენიო, როგორიც იგი არის, რადგან იმ დანაშაულის წინაშე, რომელიც მოხდა, სიკვდილ-სიცოცხლის განსახვავება აზრს კარგავს. ცხადია, რომ მოქმედ პირთა შეფასებაში და ეთი მოქმედების გადმოცემაში ვერც ის შექმნის განსხვავებას, მესამე პირში მოვიხსენიებ მათ, პირველი პირის მხოლობითში თუ პირველი პირის მრავლობითში.

**ნოდარ ნათაძე**

## რადიოსადგური „თავისუფლება" იუწყება

### ევრობანკს მხოლოდ კონფლიქტების განახლება აშინებს

რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის დღევანდელ მოხსენებაში ნათქვამია, რომ ერთადერთი საფრთხე, რომელიც აზერბაიჯანსა და საქართველოზე ნავთობსადენის გაყვანას ემუქრება, არის კონფლიქტების შესაძლო განახლება საქართველოსა და მთიან ყარაბაღში — სამი მთავარი საექსპორტო მარშრუტიდან, რომლებსაც კავკასიური ნავთობის ბაქოდან საერთაშორისო ბაზარზე გასატანად განიხილავენ, ორი გადის მთიანი ყარაბაღის მახლობლად. აზერბაიჯანის საერთაშორისო კომპანიამ წლეულს ზაფხულში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ძირითადი მარშრუტის შესახებ. რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის განმარტებით, ამ მარშრუტით ყოველდღიურად 500 ათასი ბარელი ნავთობი გადაიტუმბება. სომეხმა დელეგატებმა რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის კიევის შეხვედრაზე განაცხადეს, რომ მთიან ყარაბაღში უკვე აღარ არსებობს კონფლიქტის განახლების რისკი.

### დასავლეთელმა დიპლომატებმა მინისტრს დანიშვნა მიულოცეს




საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე შეხვდა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქმეთა დროებით რწმუნებულს მარტინ ადამსს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო ატაშეს პოლკოვნიკ იორგენ ბაინეს და საქართველოში საბერძნეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს. დასავლეთელმა დიპლომატებმა დავით თევზაძეს მიულოცეს თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა და მომავალში ორმხრივი სამხედრო ურთიერთობისათვის მზადყოფნა გამოთქვეს.

### გიორგი კერვალიშვილის განცხადებით, ასზე მეტი პოლიტპატიმარი გვყავს




საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუსთან დაკავშირებით, რომელშიც მან საქართველოში პოლიტიკური პატიმრების არარსებობაზე მიუთითა, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი კერვალიშვილმა 12 მაისს გააკეთა განცხადება და მან საქართველოს პრეზიდენტის გამონათქვამს სიცრუე უწოდა. როგორც კერვალიშვილმა თქვა, ქვეყანაში ამჟამად ასზე მეტი პოლიტიკური პატიმარია. ისინი იარაღით დამხობილი კონსტიტუციური ხელისუფლების წარმომადგენლები და მისი მომხრეები არიან. ეს ის ადამიანებია, რომლებსაც იარაღთან საერთოდ არ ჰქონიათ კავშირი. ესენი არიან ნუგზარ მოლოდინაშვილი, ზაურ ქობალია და სხვები. აცხადებს ადამიანის უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი.

### ძასოხოვი აქტიური შუამავლის როლში გამოდის




ხმები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმასრულებელი მდივნის ბორის ბერეზოვსკის თბილისში მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახურმა არ დაადასტურა. ამასთან ერთად, ცნობილი გახდა, რომ 12 მაისს საღამოს ყაზბეგში ჩავიდა ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა ალანიის პრეზიდენტი ალექსანდრ ძასოხოვი, რომელიც მომდევნო დღეს თბილისს ეწვია. საქართველოს პრეზიდენტ ედუარ შევარდნაძესთან შეხვედრის დროს განიხილავენ ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების საკითხს. დღეს აქტიური შუამავლის როლში ალექსანდრ ძასოხოვი გამოდის.

### აზერბაიჯანს ჯეიჰანის პორტი აინტერესებს

უახლოეს მომავალში ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყების შესახებ თურქეთთან და საქართველოსთან მოლაპარაკების დაწყების სურვილი გამოთქვა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტმა საფიკ ალიევმა. ნავთობკომპანიის პრეზიდენტის აზრით, განსაკუთრებულ ინტერესს ჯეიჰანის პორტის ექსპლუატაციის საკითხი იწვევს. მიმდინარე წლის მანძილზე მომზადდება ნავთობსადენის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა და გადაწყდება მისი ფინანსირების საკითხი.

### თბილისში შიდსის პრობლემებს იხილავენ

12-დან 16 მაისამდე თბილისში ტარდება საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო სიმპოზიუმი თემაზე: „აივ შიდსის ახლადაღმოცენებული ინფექციური დაავადებების და იმუნოდეფიციტების დარგში სამეცნიერო-კვლევის განვითარება". სიმპოზიუმის ორგანიზატორები არიან ამერიკის მხრიდან ალერგიისა და ინფექციურ დაავადებათა ნაციონალური ინსტიტუტი, რომელიც აფინანსებს აღნიშნულ სიმპოზიუმს და ფოგარტის საერთაშორისო ცენტრი, ხოლო საქართველოს მხრიდან — ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებს 15 გამოჩენილი მეცნიერი და სპეციალისტი ამერიკის ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტიდან. მათ შორის ხუთი წამყვანი უნივერსიტეტიდან და წარმომადგენლები სხვა ცნობილი სამეცნიერო ცენტრებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარასკევის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

### პრეზიდენტი მართალს ამბობს

დიდი დაგვიანებით, მაგრამ სავსებით სამართლიანად ბრძანებს პრეზიდენტი, რომ

*„სატრანზიტო პერსპექტივათა თვალსაზრისით საქართველო ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ქვეყნად რჩება ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე"*

და რომ რუსეთს არც უფლება აქვს, არც სხვა რამ საფუძველი, დასავლეთ-აღმოსავლეთის ამიერკავკასიური დერეფნის განვითარებას ეწინააღმდეგოს. ასევე მართალია იგი, ალბათ, იმ რიცხვების ციტირებაში, რომლებიც საქართველოში გადასახადების აკრეფისა და ბაჟის ალების მდგომარეობას ასახავს. იმაზე, როგორ გამოვიდეს საქართველო 1992 წლის შემდეგ შექმნილი ეკონომიკური კატასტროფის მდგომარეობიდან — სახელდობრ, როდის გადაიხადოს მან ამ თარიღის შემდეგ აღებული და დიდწილად გაფლანგული ორმილიარდ დოლარიანი ვალი (რომელიც თავისი მასშტაბით არ ეთანადება არც აკრეფილ გადასახადებს და არც ნავთობის „დერეფნის" შესაძლო შემოსავალს) — იგი კვლავინდებურად დუმს.

### პრეზიდენტი ცდება

პრეზიდენტი სასტიკად ცდება, როცა ფიქრობს, რომ მხოლოდ ადმინისტრაციული ღონისძიებებით, როგორიცაა „ჩრდილოვანი ეკონომიკის" დათრგუნვა, „განსაკუთრებული ზომები" და ხელფასის ფიქსირებული მინიმუმის შემოღება, შესაძლებელია სიღარიბის დაძლევა. „ჩრდილოვანი ეკონომიკა" არ იარსებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აზრს დაკარგავს „მზის შუქზე მყოფ ეკონომიკასთან" კონკურენციაში წაგების გამო, ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ წარმოებას მოეხსნება გადასახადების ისეთი „პრესი", რომელიც მას არარენტაბელურს ხდის. „განსაკუთრებული ზომა" პირველ ყოვლისა ის უნდა იყოს და შეიძლება იყოს, რომ მოხელე — მაგალითად, ვიცე-პრემიერი, — რომელიც მხილებულია კორუფციაში ან ქურდობაში, სამართალში მიეცეს და მისგან ამოღებულ იქნას ნაქურდალის ის ნაწილი, რომელიც შერჩა. ხელფასის ფიქსირებული მინიმუმის დაწესება კი მხოლოდ მაშინ „მუშაობს", როცა იგი რეალისტურად, ანუ არსებული ეკონომიკური პირობების შესატყვისადაა გათვლილი. ჩვენთვის ეს რიცხვი ძალიან დაბალი იქნება — იმდენად დაბალი, რომ ხელისუფლება, საკუთარი პრესტიჟის მოსაზრებით, მის გამხელას ვერ გაბედავს. პრეზიდენტის მიერ მოაზრებული ეს სამივე „ზომა" სოციალისტური აზროვნების შედეგია. იგი რომ ეკონომიკურ შედეგს ვერ იძლევა, ეს ცნობილი გახლავთ.

ასევე ცდება პრეზიდენტი, როცა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გაბმას საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქციად თვლის. მისი რეალური ბერკეტი სხვა ვერა იქნება რა თუ არ სახელმწიფოს მტკიცე ხელი საბაჟოზე, ერთის მხრივ, და რეალისტური საგადასახადო პოლიტიკა (რომელიც ბიზნესმენს და, განსაკუთრებით, მეწარმეს საშუალებას მისცემს კანონდამრღვევი არ იყოს) მეორეს მხრივ.

### პრეზიდენტი მართალს არ ამბობს

პრეზიდენტი, ალბათ, გულწრფელი არ არის, როცა ბრძანებს, რომ „იმავე პერიოდის შემდეგ", რომელიც აზერბაიჯანის მიერ თავისი ნავთობის სარფიან რეალიზაციას დასჭირდება, „არც საქართველო იქნება ღარიბი და ღატაკი ქვეყანა". იმ კურსით, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება დღეს ატარებს, საქართველო ყოველთვის იქნება ღარიბი ქვეყანა (რადგან ხელისუფლების არც სიტყვაში, არც, მით უმეტეს, საქმეში ამ კატასტროფის დაძლევის არანაირი კონკრეტული გეგმა არ ჩანს). მაგრამ ყველაზე უფრო მეტად თავის ინტერვიუში პრეზიდენტი სიმართლეს მაშინ შორდება, როდესაც პოლიტპატიმრების საკითხს ეხება. ერთის მხრივ, იგი ბრძანებს

*„არა მაქვს სურვილი ვიყო არათუ პრეზიდენტი, არამედ მოქალაქე იმ ქვეყნისა, სადაც არსებობენ პოლიტიკური პატიმრები, სადაც ეს შესაძლებელია, სადაც დასაშვებია ადამიანის დაპატიმრება და გასამართლება პოლიტიკური მრწამსისათვის".*

მეორეს მხრივ კი იქვე ამბობს:

*„მე მზად ვარ, დაუყოვნებლივ გამოვიყენო შეწყალების კონსტიტუციური უფლება ნებისმიერი პიროვნების მიმართ, თუ აღმოჩნდა, რომ იგი მხოლოდ თავისი მრწამსისათვის არის რეპრესირებული."*

კითხვა იბადება: როგორ შეიძლება იმის „შეწყალება", ვინც დამნაშავე არ არის? თუ აღმოჩნდა, რომ „მრწამსის" გარდა პატიმარს „დანაშაული" არა აქვს, იგი უნდა გამართლდეს (და არა შეწყალებულ იქნას). პრეზიდენტი იურიდიულ ცნებებსა და ნორმებში ვერ ერკვევა და ამის გამო სამართლიანობა ზარალობს.

ასეთივე კანონდარღვევაა (და არა მხოლოდ მორალური და პოლიტიკური დარღვევაა) პრეზიდენტის სიტყვები, რომ დროა იგი „ვლადისლავ არძინბას შეხვდეს". პრეზიდენტის შეწყალების უფლება ვრცელდება მხოლოდ გასამართლებულ პატიმარზე და იგი ეხება სასჯელის შემცირებას მხოლოდ გარკვეული ხარისხით. მაგალითად, პრეზიდენტს არ შეუძლია წინასწარგანზრახული მკვლელობის ჩამდენი, რომელსაც სასჯელის უმაღლესი ზომა აქვს მისჯილი, პატიმრობიდან გაათავისუფლოს. ხოლო თუ ასეა, რა უფლება აქვს პრეზიდენტს დანაშაული აპატიოს არძინბას, რომელიც მხილებულია ათიათასობით ადამიანის მკვლელობის ორგანიზაციაში? არძინბასთან ურთიერთობით პრეზიდენტი ხელს უწყობს არძინბას იმაში, რომ სამართალს გაექცეს. ეს მისი დანაშულია, როგორც მოქალაქისა. ხოლო მის მიერ თავისი მოვალეობის არშესრულება, როგორც პრეზიდენტისა, ის არის, რომ იგი არ ახორციელებს საქართველოს მოქალაქის სიცოცხლის დაცვის გარანტიას, რაც პრეზიდენტს კონსტიტუციით ჰმართებს — მოქალაქეთა მკვლელი თავისსავე ქვეყანაში დაუსჯელი დაუდის. კანონის საწინააღმდეგოდ მოქმედებს პრეზიდენტი ამავე ინტერვიუში მაშინაც, როცა სიტყვებს „სამხრეთ ოსეთი" ხმარობს. ეს უკანონო ტერიტორიული პოლიტიკური წარმონაქმნი, რომელიც ოკუპანტებმა შექმნეს 1922 წელს, კანონიერად გააუქმა საქართველოს კანონიერად არჩეულმა პარლამენტმა 1991 წელს. მაშ, რა უფლება აქვს პრეზიდენტს, იგი უგულვებელყოს? პრეზიდენტის სიტყვები „ნუ გვალიზიანებს ეს გამოთქმაო" („სამხრეთ ოსეთი") კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ იგი დემონსტრაციულად უგულებელყოფს კანონს: კანონსაწინააღმდეგო გამოთქმის ხმარება „გაღიზიანებას" კი არ უნდა იწვევდეს, არამედ პასუხისგებას დამრღვევის მხრიდან.




პრეზიდენტს, ალბათ, ეჭვი ეპარება თავის მსმენელთა გონიერებაში, როცა ამბობს, რომ „ყინული დაიძრა" და ლტოლვილთა დაბრუნების პერსპექტივა გაჩნდა. ერთის მხრივ, იგი გვეუბნება, რომ

*„ის, რაც გალის რაიონში ხდება (მხედველობაში მაქვს მოსახლეობის სტიქიური დაბრუნება), ვერავითარი ძალის ზემოქმედებით და ვერავითარი რეპრესიებით ვერ შეჩერდება. დღეს თუ არა ხვალ ყველა დევნილი, როგორც იტყვიან, თავის კერიას დაუბრუნდება."*

მსმენელს უკვირს: რა მანქანებით მოხდება ეს დაბრუნება? ხოლო თუ იგი „სტიქიურად" ხდება, ანუ მოწინააღმდეგის ავტომატის ლულის ქვეშ, მაშინ როგორ ითმენს ამას პრეზიდენტი, როგორც მოქალაქეთა სიცოცხლის გარანტი? მეორე მხრივ კი აქვე აგრძელებს:

*„მაგალითად, რა ხდება სამხრეთ ოსეთში (ნუ გვალიზიანებს ეს გამოთქმა), იქაური ხელმძღვანელები არათუ ხელს უშლიან, ყოველმხრივ აძლევენ სტიმულს როგორც ოსების, ასევე ქართველების დაბრუნებას."*

თურმე, ოსი სეპარატისტები, რომლებმაც საქართველოს მიწა-წყალი ხელყვეს და ამ შეიარაღებულ ხელყოფას განაგრძობენ, „იქაური ხელმძღვანელები" ყოფილან და დღეს მოწყალედ ნებას რთავენ მათ მიერ უპირობოდ გამოდევნილ ლტოლვილებს, შინ დაბრუნდნენ მათ მიერ დადგენილი პირობებით. ეს, რაც ცხინვალის ზონაში ხდება, პრეზიდენტის სიტყვით (ციტატა აქვე ზემოთ) „მაგალითი" ყოფილა იმისა, როგორ მოხდება ლტოლვილთა დაბრუნება აფხაზეთშიც. მაგრამ აქვე ზემოთ ნათქვამი იყო, აფხაზეთში ლტოლვილები ყოველგვარ ძალას დაძლევენ და „სტიქიურად" შევლენო. როგორაა ჩიბიროვის მოწყალე ნებართვით ლტოლვილთა შესვლა ცხინვალის ზონაში იმის „მაგალითი", თუ როგორ დაძლევენ აფხაზეთში სტიქიურად შესული ლტოლვილები იმ ძალას, რომელიც იქ მათ წინააღმდეგობას გაუწევთ?

**შემატკივარი**

## მსოფლიოს გარშემო

### ავღანეთში ახალი ფაქტორი გაჩნდა

გაეროს გენერალურ მდივანს ავღანეთში გაგზავნილი ჰყავს საგანგებო დესპანი ლახდარ ბრაჰიმი (ირანი) მეომარ მხარეთა შერიგების მიზნით. იგი მეზობელ ქვეყნებსაც მოუწოდებს „მობილიზება უყონ თავის პოლიტიკურ ნებას", რათა ბოლო მოეღოს ავღანეთის ომს. როგორც ამბობს დესპანი თავის ინტერვიუში ირანულ გაზეთ „ეთელაათისათვის", ეს ქვეყნები საკუთარ ინტერესებში უნდა ეცადონ ავღანეთში მშვიდობის დამყარებას: უზბეკებს საკუთარ ქვეყანაში აქვთ პრობლემები, რომლებიც ავღანეთში იბადება; თურქმენებს ვერ გაჰყავთ ნავთსადენი პაკისტანში; პაკისტანს ომის შედეგად მარტო დედაქალაქში ჰყავს 3 მილიონი ნარკომანი და ერთი მილიონი უკანონოდ შეიარაღებული კაცი, გარდა ამისა, ცნობილია, რომ ავღანეთი ნარკომცენარეების მოყვანისა და ნარკოექსპორტის ერთ-ერთი ძირითადი ბუდე გახდა.

დესპანის თქმით, ჩრდილო ავღანელი შეიარაღებული ჯგუფები და მეამბოხე თალიბები თანახმანი არიან წარმომადგენლები გამოყონ მოლაპარაკებებისათვის. საკვანძო როლი ამ თათბირის ორგანიზებაში ირანს და პაკისტანს ეკუთვნით. საქმეს ხელს შეუწყობს ისიც, რომ ძირფესვიანად უმჯობესდება ირანის ურთიერთობა საუდის არაბეთთან, რომელიც თალიბების ერთ-ერთი „ზურგია".

### ჰააგის სასამართლოს უარი უთხრეს

აშშ ვირჯინიის შტატის გუბერნატორმა და აშშ უზენაესმა სასამართლომ არ შეისმინეს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს მოთხოვნა და აშშ სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაიტის თხოვნა, რომ გადაედოთ პარაგვაის მოქალაქე ბრეარდეს სასიკვდილო განაჩენის შესრულება. მოთხოვნაც და თხოვნაც დამყარებული იყო იმაზე, რომ მისი დაპატიმრებისას 1993 წელს მას უარი უთხრეს მისი ქვეყნის საელჩოსთან შეხვედრაზე, რითაც დაირღვა მისი უფლება, რომელიც გათვალისწინებულია ვენის კონვენციით. 9 აპრილს მსოფლიო სასამართლომ სთხოვა აშშ-ს შეეჩერებინათ განაჩენის შესრულება, ვიდრე მოსამართლენი არ გადაწყვეტენ, ხომ არ ეკუთვნის ბრეარდს ხელახალი სასამართლო იმის გამო, რომ ვირჯინიის შტატმა მისი უფლებები შელახა. ეს იყო მსოფლიო სასამართლოს პირველი ჩარევა აშშ-ს იუსტიციის მოქმედებაში სისხლის სამართლის საქმის გამო. მისჯილის ადვოკატების აზრით, მას რომ პარაგვაის კონსული ენახა, მისგან მიიღებდა რჩევას, რის შედეგადაც განაჩენი სამუდამო პატიმრობად შეეცვლებოდა.

### ყველაზე ხნიერი პრეზიდენტი

ბრაზილიის პრესის ასოციაციის პრეზიდენტი, თავისი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე განთქმული ჟურნალისტი ბარბოსა ლიმა სომბრინჰო 101 წლისაა. იგი აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწევა და, სხვათა შორის, გულმოდგინედ ებრძვის „გლობალიზაციას" ანუ ზეეროვნული კომპანიების ზედმეტ გაძლიერებას ეროვნულ სახელმწიფოთა ინტერესების საზარალოდ.

### ფრანგები ნასიამოვნები არიან

ფრანგ ხელისუფალთ დიდად ეამათ, რომ ჩინეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ჟუ-რონგჯიმ თავისი პირველი ოკეანისგაღმა ვიზიტი საფრანგეთს მიუძღვნა. მოლაპარაკებათა ცენტრში, რა თქმა უნდა, ეკონომიკური თემები იდგა, რადგან ფრანგებიც, ისევე როგორც ყველა სხვანი, მონდომებულნი არიან რაც შეიძლება ფართო პლაცდარმი დაიკავონ ჩინურ ბაზარზე, რომელიც დღეს ერთადერთი მზარდი ბაზარია მსოფლიოში. საუბარი იყო ფრანგების მონაწილეობაზე შანხაის მეტროს მშენებლობაში, ექვსი ატომური ელსადგურის აგებაზე (თითო — 1000 გიგავატი), ასადგილიან თვითმფრინავის ერთობლივ პროექტირებაზე, 800 მილიონი ფრანკის (160 მილიონი დოლარის) დაბანდებაზე სიტროენისა და ჩინეთის ერთობლივ საწარმოში ჩინეთის ტერიტორიაზე. 1997 წლის მანძილზე ჩინეთ-საფრანგეთის ვაჭრობა 37%-ით გაიზარდა.

# რასისტი თუ XXI საუკუნის პოლიტიკოსი?

მრავალი პრობლემის მიხედვით ნორვეგია ძალზე წააგავს საქართველოს. ამ პრობლემების დაძლევაზე ქვეყანაში ბევრი პარტია მუშაობს. მათ შორისაა პროგრესის პარტია. ამ პარტიის ლიდერზე, კარლ ჰაგენზე მრავალ, ურთიერთგამომრიცხავ შეფასებას გაიგონებ: რასისტი; პოპულისტი; XXI საუკუნის პოლიტიკოსი. მისი გამონათქვამები მართლაც ორიგინალურია: „ნორვეგიულ სკოლებში ბავშვები ნორვეგიულად უნდა სწავლობდნენ“, „აუცილებელია იმიგრანტების ასიმილაცია“, „ჯერ საკუთარ თავს დავეხმაროთ და შემდეგ აფრიკას“-ო, აი, ზოგიერთი ის ლოზუნგები, რომლებიც ძალიან ახლოსაა ამ პარტიასა და მის ლიდერთან.



ასეთი ლოზუნგების მხმარებელი პარტიისა და მისი ლიდერის პოპულარობა ნორვეგიაში ძალზე აკვირვებს ევროპელებს, ისევე როგორც ის, რომ ამ სამიოდე წლის წინათ რეფერენდუმზე ნორვეგიელებმა უარი განაცხადეს ევროკავშირში შესვლაზე.

ამჟამად ნორვეგია ეროვნული მეურნეობის ეფექტურობასა და უდიდესი ნავთობის გარიგების მიხედვით (ამ მაჩვენებლის მიხედვით ნორვეგია მსოფლიოში მეორე ადგილზეა) საუკეთესო მდგომარეობაში იმყოფება. უკვე მესამე წელია, რაც აქ არ იციან რა არის ბიუჯეტის დეფიციტი, უმუშევრობა დაეცა რეკორდულად დაბალ დონეზე (3,5 პროცენტი), მნიშვნელოვნად იზრდება ხელფასები.

დაფუძნებისას, ნორვეგიის პროგრესის პარტიას საკმაოდ უცნაური სახელი ჰქონდა: „ანდრეს ლანგეს გადასახადების შემცირების, მთავრობის ინტერვენციისა და ბიუროკრატიის წინააღმდეგ მებრძოლი პარტია“. 1974 წელს ამ პარტიის დამფუძნებელი, ექსცენტრიული ლანგე გარდაიცვალა და პარტიის მეთაურობა კარლ ჰაგენს ჩააბარეს. ამ ლიდერის სათავეში მოსვლის შემდეგ პარტია არაჩვეულებრივად პოპულარულად იქცა ნორვეგიაში.

რაც შეეხება მის პოპულარობას ევროპაში, აქ ჰაგენს უფრო მისი ანტიიმიგრაციული გამოთქმებით იცნობენ. იგი მოითხოვს ნორვეგიაში მიგრაციული პოლიტიკის გამკაცრებას; მას სერიოზულად მიაჩნია, რომ იმიგრანტებმა აუცილებლად უნდა გაიარონ შიდსზე გამოკვლევა და შეისწავლონ ნორვეგიული ენა. აუცილებელია მათი ასიმილაცია — აცხადებს ჰაგენი და აგრძელებს — სხვა პარტიები მოითხოვენ, რომ ჩვენ ერთმანეთს მივეჩვიოთ; ასე არ შეიძლება. აქ ნორვეგიაა.

ჟურნალისტები ჰაგენს ხშირად ადარებენ საფრანგეთის ეროვნული ფრონტის ლიდერს ლე პენს. ჰაგენი არ იზიარებს ასეთ პარალელს. — ჩვენი ერთმანეთთან შედარება არ შეიძლება — ამბობს ჰაგენი — ლე პენს სურს იმიგრანტები გააძევოს საფრანგეთიდან, ხოლო მე კი მინდა, რომ ისინი ნორვეგიელებად იქცნენ.

ჰაგენს ასევე არ მიაჩნია სწორად მესამე სამყაროს ქვეყნებისათვის ნორვეგიის მიერ გაწეული ასეთი დიდი რაოდენობის ჰუმანიტარული დახმარება. (ცნობისათვის: ოსლო ამ მიზნებისათვის ხარჯავს თავისი ეროვნული შემოსავლის 1 პროცენტს. — ჩვენი პარტიები ნორვეგიის გარდა ყველაფრით ინტერესდებიან — ამბობს ჰაგენი — საჭიროა ერთი პარტია მაინც იყოს, რომელსაც შეაწუხებდა ნორვეგიის პრობლემები.

ერთ-ერთი ნორვეგიელი ცნობილი პოლიტიკოსის აზრით ჰაგენი უდიდესი პარადოქსია ნორვეგიის პოლიტიკაში. — ერთის მხრივ მისი რიტორიკა რასიზმს ემყარება, და ამ ვირუსის ნორვეგიის ცხოვრებაში შეყვანას ცდილობს, მაგრამ მეორეს მხრივ კი, იგი აიძულებს ნორვეგიელ სოციალ-დემოკრატებს ჩაუღრმავდნენ ადგილობრივ პრობლემებს და იბრძოლონ ხალხის მხარდაჭერისათვის.

ზოგიერთი პრობლემა, რომლებზეც განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს ჰაგენი, მართლაც რომ მნიშვნელოვანია. მაგალითად, ზემოთ ნახსენები იმიგრაციის პრობლემა. ქვეყანაში, რომელიც 4,5 მლნ. მოსახლეს ითვლის, მეოთხედი მილიონის ოდენობით იმიგრანტები მართლაც რომ სერიოზული პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხია. ქვეყნის დედაქალაქ ოსლოში ყოველი მეექვსე ადამიანი უკვე უცხოელია. ამის შედეგია თუნდაც ის, რომ დედაქალაქში დანაშაულებათა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს.

უცხოური პრესის მასალების მიხედვით მოამზადა

**ამბროსი გრიშიკაშვილმა**

# ქართული ურანიდან ატომურ ბომბამდე

## (კერძო აზრი)

როგორც ცნობილია, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით და ამერიკის შეერთებული შტატების ძალისხმევით, საქართველოდან, კერძოდ, მცხეთის რეაქტორიდან გაიტანეს გამდიდრებული ურანი 4,5 კილოგრამის ოდენობით. საქართველოს ამ ოპერაციის შედეგად 125 ათასი დოლარი ერგო წილად, ხოლო ამერიკამ აღნიშნული ატომური ნაერთის შოტლანდიაში გასაზიდად 2 მილიონი დოლარი დახარჯა. ე. ი. ჩიტი ბდღვნად ღირდა, რახან ამერიკამ თავისი ბიუჯეტი ამ საქმის მოგვარებისთვის ორი მილიონი დოლარით შეამსუბუქა. 4,5 კილოგრამი ურანი რომ 125 ათას დოლარზე ბევრად მეტი ღირს, ამას კამათი არ სჭირდება. ამაზე მეტყველებს ისიც, თუ როგორ მალავენ სპეციალისტები ხელისუფლების დავალებით აღნიშნული ურანის რეალურ ღირებულებას. მაგრამ ახლა, ამის შესახებ არ ვამახვილებთ ყურადღებას, თუმცა, უნდა ითქვას, საქართველოს გაღლეტილი ბიუჯეტისათვის ურიგო არ იქნებოდა დამატებითი შემოსავლის გაჩენა.



Photo News

ამჯერად, შეხედულებას გამოვთქვამ საქართველოდან ურანის გატანის მიზანშეწონილობის შესახებ. პრეზიდენტმა, ერთ-ერთ ინტერვიუში გამოთქმული აზრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სიამოვნებით მოიცილა თავიდან მცხეთური ურანი, რაც თითქოს საშიშროებას უქმნიდა საქართველოს, რადგან მსოფლიოს ტერორისტებს და ავანტიურისტებს იზიდავდა, მაგრამ მოდით სხვაგვარად წარვმართოთ ჩვენი ფიქრი და გონება. ჯერ ერთი, თუ საქართველო სახელმწიფოა, მაშინ მისი ხელისუფლება ვალდებული იყო საიმედოდ უზრუნველეყო მცხეთის რეაქტორში არსებული ურანის დაცვა. მეორეც, მიუხედავად გაეროს რეზოლუციისა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, სარწმუნო წყაროებით ცნობილია, რომ ატომურ იარაღს ფლობენ ისეთი ქვეყნებიც, რომელთაც აკრძალული აქვთ ასეთი იარაღის ქონის უფლება. საქართველო ისეთ საშიშ გეოპოლიტიკურ გარემოცვაში იმყოფება, რომ ასე ხელაღებით თავდაცვის პოტენციურ საშუალებაზე უარის თქმა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს მომავალ თაობას უნდა მისცემოდა შანსი, თვითონ გადაეწყვიტა, როგორ გამოეყენებინა ურანი. ეს, რა თქმა უნდა, ახლო მომავალის პერსპექტივა არ იყო, რადგან ატომური იარაღის წარმოება უდიდეს ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს, რისი უნარიც, მითუმეტეს, ამ ხელისუფლების ხელში, საქართველოს უახლოეს წლებში არ ექნება. ზემოთქმულიადან გამომდინარე, საქართველომ თავისი ინტერნაციონალური ვალი მსოფლიოს წინაშე პირნათლად მოიხადა, მაგრამ ამავე დროს, უარი თქვა ისეთ იარაღზე, რომელიც გამორიცხული არ არის მომავალში მისი თავდაცვისათვის ყველაზე საჭირო საშუალებად ქცეულიყო, თუ გავითვალისწინებთ ამავე დროს იმასაც, რომ მსოფლიო პოლიტიკაში ძალის კულტი ჯერ კიდევ ბატონობს, და არავინ უწყის როდემდე იბატონებს.

იქნებ სჯობდა ძალის კულტის მსხვერპლად ქცევას, საქართველოს თუნდაც საერთაშორისო სამართლის დარღვევის ფასად ყველა საშუალებით თავდაცვის გაძლიერებაზე ეზრუნა, რისი სამეცნიერო პოტენციალი საქართველოში ნამდვილად არსებობს, ხოლო ფინანსურს, როცა ჭეშმარიტად ეროვნული ხელისუფლება მოვიდოდა, ის თუ საჭიროდ ჩათვლიდა, გამოძებნიდა კიდეც.

**გია თვალავაძე**

## პანტელეიმონ გიორგაძე მოხსნილ ძალოვანებს ექომაგება

„შსს-ში მომხდარი საკადრო ცვლილებები იმისთვის იყო საჭირო, რომ კიდევ ერთი დარტყმა მიეყენებინათ შინაგან საქმეთა ორგანოებისთვის, პროფესიონალები შეეცვალათ დილეტანტებით. ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რათა შეასუსტონ ეს სისტემა“ — მიაჩნია საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერს, პანტელეიმონ გიორგაძეს.

„ტერორისტული აქტების ინსცინირება საქართველოს ხელისუფლებას იმისთვის ჭირდება, რომ ანგარიში გაუსწორონ მათთვის არასასურველ პიროვნებებს“ - ამის შესახებ მან განუცხადა გეა-ს კორესპონდენტს ექსკლუზიურ ინტერვიუში. შსს-ს ისევე უნდა გაუსწორდნენ, როგორც თავის დროზე უშიშროებას, თვლის გიორგაძე.

ამასთან, მისივე აზრით, ძალოვან სტრუქტურებში აუცილებელია რეფორმების გატარება, მაგრამ არა ამ მეთოდით. „ვარდიკო ნადიბაიძე მოხსნეს არა იმიტომ, რომ ცუდი სტრატეგი იყო, არამედ იმის გამო, რომ რუსეთისკენ იყურებოდა, რაც ქართველი კომუნისტებისთვის მიუღებელია“ — განუცხადა გეა-ს პანტელეიმონ გიორგაძემ.

## გიორგაძე არასამთავრობოებს ქვებით ჩაქოლვას პირდება

„თუ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები კიდევ ერთხელ მიიღებენ რეზოლუციას, რომ კომუნისტური რეჟიმი საქართველოში გამოცხადდეს დანაშაულებრივად, მაშინ ხალხი მათ ქვებით ჩაქოლავს“ — უთხრა გეა-ს კორესპონდენტს საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერმა, პანტელეიმონ გიორგაძემ 4 მაისს თბილისში გამართული არასამთავრობო ორგანიზაციების კონფერენციის - „სამართლებრივი რეფორმები და ადამიანის უფლებების“ მიერ მიღებული რეზოლუციის კომენტირებისას.

გიორგაძე მიიჩნევს, რომ სინამდვილეში არასამთავრობო ორგანიზაციები, სამთავრობო ორგანიზაციები არიან, რადგან იმეორებენ იმას, რასაც ზოგიერთი პარლამენტარი. „როგორ უნდა მოუბრუნდეს კაცს ენა და კომუნისტური პარტია გალანძღოს, მაშინ როდესაც, უკანასკნელ ხანს მთელ მსოფლიოში კომუნისტებს დიდი პატივისცემით ეპყრობიან და კომუნისტური რეჟიმისადმი ნოსტალგიური დამოკიდებულება აქვთ“ - აცხადებს გიორგაძე. მან გეა-ს კორესპონდენტს უთხრა, რომ ასეთ განცხადებებს აკეთებენ რეაქციონერები, რომელთაც სურთ დესტაბილიზაცია გამოიწვიონ და ხალხი ერთმანეთს დააპირისპირონ.

## გერმანე ფაცაცია პარტიზანობას იწყებს?

გალიდან დაბრუნებული ფრაქცია „აფხაზეთის თავმჯდომარე, გერმანე ფაცაცია ხმამაღლა აცხადებს, რომ გალის რაიონში უკვე აღდგენილია საქართველოს იურისდიქცია და ეს პარტიზანული მოძრაობის დამსახურებაა, რომელიც სახელმწიფოში ლეგალიზაციას საჭიროებს.

ფაცაციას თქმით, ხელისუფლების მიერ პარტიზანული მოძრაობის ლეგალიზაცია გულისხმობს პოლიტიკურ ზურგს, ანუ სპეციალურ შეიარაღებას, სოლიდურ ფინანსირებას და კოორდინირებას.

ფაცაცია, რა თქმა უნდა, არ ასახელებს პარტიზანთა რაოდენობას, მაგრამ აცხადებს, რომ მთელი გალის მოსახლეობა პარტიზანია. ასეთ მდგომარეობაში კი, როცა ამ ხალხის წყალობით გალში საქართველოს იურისდიქცია აღდგენილია, ნონსენსია. საუბარი აქ ფედერალური ადმინისტრაციის შექმნის თაობაზე.

გერმანე ფაცაცია ამ გადაწყვეტილებას დსთ-ის ნაკარნახევად მიიჩნევს და მას „რუსეთზე დამოკიდებულ სახელმწიფოთა თანამეგობრობას“ უწოდებს, საქართველოს ხელისუფლებას კი ნეობოლშევიზმში ადანაშაულებს მსგავსი განცხადებების გამო.

გერმანე ფაცაცია აცხადებს, რომ გალის რაიონის მოსახლეობა ჯანყის პირასაა და ხელისუფლების პასიური პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტად არ გამოდგება.

გერმანე ფაცაციას თქმით, საქართველოში ეროვნული უმცირესობის დაცვის პოლიტიკა ტარდება და გამოირიცხება ეროვნული უმრავლესობის უფლებები. ამით კი „საბოლოო ჯამში მივალთ, ალბათ, იქამდე, რომ ხელისუფლება დავიწყებთ სექსუალური უმცირესობების ტარებას“ - აცხადებს ფაცაცია, რომელმაც, როგორც აღნიშნავს, ბოლოს და ბოლოს აღმოაჩინა თავისი ფუნქცია და მიიღო გადაწყვეტილება, რომ არასაპარლამენტო კვირაში მაინც იყოს პარტიზანი.

## ჯერჯერობით დემურ მიქაძეს თანამდებობა არ აქვს

თანამდებობიდან გათავისუფლებული შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ემზარ საბანაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდლის მოადგილედ დაინიშნა, ხოლო ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლებული თამაზ დგებუაძე - სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ.

როგორც გეა-ს კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელმა, ვალერიან გოგოლაშვილმა აცნობა, დღემდე არ არის გადაწყვეტილი თანამდებობიდან გათავისუფლებული შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, დემურ მიქაძის ახალ თანამდებობაზე დანიშვნის საკითხი. მიქაძეს შესთავაზეს საქართველოს პოლიციის აკადემიის რექტორის თანამდებობა, მაგრამ მან უარი განაცხადა.

# ახალი ამბები

## პარტიზანობა კარგია, მაგრამ მისი ლეგალიზება არ შეიძლება

12/05/98(გეა) / ინგა გრიგოლია/ „პარტიზანულ მოძრაობას თავისებური სპეციფიკა აქვს და მისი ლეგალიზება მოსახლეობას ერთგვარ საშიშროებას უქმნის“ - განუცხადა გეა-ს კორესპონდენტს პარლამენტის პენიტენციალური რეფორმებისა და პატიმართა უფლებების დაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ, ელენე თევდორაძემ.

თევდორაძე თვლის, რომ არაჩვეულებრივი ფაქტია იმის დაფიქსირება, რომ გალში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა პარტიზანული მოძრაობის ძედეგად მოხდა, მაგრამ იგი თავისთავად იწვევს კითხვას: რას მოუტანს პარტიზანული მოძრაობის ლეგალიზება ადგილობრივ მაცხოვრებლებს.

## „ნუ მახვეწნინებთ“ — იხვეწება პრეზიდენტი

„არ შეიძლება პრეზიდენტი ან სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი გამუბმებით ეხვეწებოდეს მოსახლეობას, თქვენი ჭირიმე გადაიხადეთ ელექტროენერგიის საფასური“ - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც დღეს ქუთაისს ეწვია.

მისივე თქმით, სახელმწიფოს ენერგეტიკის 200-220 მლნ ლარი მართებს და ეს თანხა დღეს თემურ გიორგაძემ რომ მიიღოს, მომავალ წელს გარანტირებული იქნება როგორც ელექტროენერგიით, ისე ბუნებრივი აირითა და გაზით მომარაგება.

## გალში საპასუხო მიტინგი გაიმართა

12 მაისს გალის ცენტრალურ მოედანზე მიტინგი გაიმართა. სარწმუნო წყაროს ცნობით, აქცია, რომელსაც 200-მდე ადგილობრივი მცხოვრები ესწრებოდა, გალის უხუცესთა საბჭოს ინიციატივით შედგა და ერთგვარ პასუხს წარმოადგენდა ამ დღეებში ოჩამჩირეში გამართული მიტინგისა, რომელზეც აფხაზებს მოუწოდეს სასტიკად გასწორებოდნენ აფხაზეთში დარჩენილ ქართულ მოსახლეობას - „ქართველ პარტიზანთა დასაყრდენს“.

გალელმა უხუცესებმა ქართველი და აფხაზი ხალხის მშვიდობიანი თანაცხოვრებისკენ მოუწოდეს დამსწრეთ და დაგმეს ნებისმიერი სისასტიკე და „სისხლიანი შეტაკება“ როგორც ქართული ისე აფხაზური მხრიდან. ინფორმაციის წყაროს ცნობით, მიტინგი 35-40 წუთი გაგრძელდა. აფხაზურ მილიციას, რომელიც შორიახლო იდგა, ხელის შეშლა არ უცდია და დამკვირვებლის პოზიციას დასჯერდა. თუმცა, როგორც გაირკვა, მიტინგის ჩაშლის მისია ოჩამჩირიდან სპეციალურად ჩამოსულ ჯგუფს ჰქონდა დავალებული — რომელმაც განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

# „სუკ-ში რა მინდოდა? — საქმე მქონდა, გავაკეთე და წამოვედი"

უკვე რამდენიმე წელია ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე მტკიცედ მოიკიდა ფეხი პოეტის, პუბლიცისტის, ჟურნალისტის ილია ბარამიძის ნაწარმოებებმა. მისი პიროვნებისა და შემოქმედებისადმი ინტერესს ზრდის ისიც, რომ ბატონი ილია წლების განმავლობაში სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში მუშაობდა ოპერატიულ და ხელმძღვანელ თანამდებობებზე. მასთან ჩვენს პრესაში გახშირებული ინტერვიუების თემაც, ძირითადად, მისი უშიშროების სისტემაში მუშაობას შეეხება და მისდამი, როგორც შემოქმედისადმი, ინტერესი ცოტა ვინმეს თუ გამოუჩენია. ჩვენ გადავწყვიტეთ გავსაუბრებოდით მას, როგორც პოეტსა და შემოქმედს, თუმცა, როგორც დაინახავთ, მის ყოფილ ჩეკისტობასაც ვერ ავუარეთ გვერდი.




**— ბატონო ილია, ამჯერად გვაინტერესებს თქვენს მიერ პოეტის თვალით დანახული სამყარო, თუმცა, ერთ არაპოეტურ კითხვას მაინც დაგისვამთ — ქართველ მწერალთაგან ვინმეს უმსახურია სახელმწიფო უშიშროების სისტემაში?**

— ამ მხრივ აშკარად უნიკალური ეგზემპლარი ვარ. არც ჩემამდე, არც ჩემს დროს, უშიშროების კომიტეტის კადრში (ოფიციალურ სამსახურზე მოგახსენებთ) არც ერთ შემოქმედს არ უმუშავია. დარწმუნებული ვარ, შემდგომაც კარგა ხანს ვერავინ იმუშავებს. ვერ გავუმართლე იმედები კომუნისტურ სუკ-ს. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. არ შეიძლება ბავშვობაში აგცრან „ერეკლე მეფე და ინგილო ქალით", „იავნანამ რა ჰქმნათი", „შვლის ნუკრის ნაამბობით", იზრდებოდე დიდ პატრიარქალურ ოჯახში და კომუნისტური სენით დაავადდე. მერე კიდევ, თბილისის უნივერსიტეტი ჩემი სწავლის პერიოდში ეროვნული სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი. თვით პარტიული და კომკავშირის კომიტეტებიც დასაშვებ ფარგლებში ეროვნულობდნენ. მერე რა ლექტორები გვყავდა! ბევრი მათგანი უნივერსიტეტის დამაარსებელი და ჩვენი ეროვნულობის სიმბოლო იყო. ამ მხრივ, გალაკტიონისა არ იყოს, ჩვენს ბედს ბევრი ინატრებს. ვიცი, მკითხავთ, რა გინდოდა სუკ-შიო და წინასწარ გიპასუხებთ: საქმე მქონდა, გავაკეთე და წამოვედი.

**— სუკ-ში მუშაობის პერიოდში წერდით?**

— არა. 1982 წლიდან 1990 წლამდე თითქმის არაფერი დამიწერია (ამ პერიოდში ვმუშაობდი იქ). ვწერდი მანამდე და ვწერ მას მერე. ეს 18 წელი კითხვის წლები იყო.

**— არ გენანებათ ის დაკარგული დრო? რამდენ რამეს დაწერდით.**

— თუ ჩემს მიერ გამოქვეყნებული ლექსები რაიმე პოეტური ღირებულებისაა, მენანება, თუ არა და, არ მენანება. უნიჭო ლექსებმა ისეც წალეკეს ქვეყანა.

**— ასეთი წარმოდგენისა ხართ თქვენს ლექსებზე?**

— როგორ გითხრათ. ვინმე სუფთა გულის, ობიექტური და განათლებული კრიტიკოსი რომ მეტყოდეს არ ვარგაო და ამას დამიმტკიცებდეს, მადლობელი ვიქნები, მაგრამ ჩვენ ხომ ლიტერატურული კრიტიკა არა გვაქვს. მარტო თამაზ წივწივაძისა და ლევან ბრეგაძის წერილები საქმეს ვერ უშველის. სხვები არ ჩანან. კი, წარსულში მწერალთა კავშირში იმართებოდა გასული წლის „ლიტერატურული საქართველოს", „მნათობისა" და „ცისკრის" განხილვები, მაგრამ რომ მოუსმენდი, ლიტერატურას შეგაჯავრებდა. სუფთა კომუნისტურ-მაამებლური შოუ იყო. ერთი „შალახოს" დავლა აკლდა. არაოფიციალური წოდებები კი დაამკვიდრეს. უპრეტენზიო პოეტი, ორდენოსანი პოეტი, დიდი პოეტი... ამ ტიტულებს პოეტებს ვიღაც უჩინარი კულისებს მიღმა ანიჭებს და პოეტმა უნდა იაქტიუროს, რომ რაც შეიძლება მაღალი ტიტული დაითრიოს. მე თუ მკითხავთ, პოეტს ტიტული არ სჭირდება, არსებობს უბრალოდ, პოეტი და არაპოეტი. ისე, მწერალი არც კრიტიკოსისათვის წერს და არც მთავრობისათვის. საბოლოოდ, ჯილდოსაც და ტიტულსაც ხალხი ანიჭებს. წავიდა ის დრო, პოეტებად და მწერლებად პარტიის ცეკა რომ ნიშნავდა. კულტურული მემკვიდრეობის გადაფასებაც უკვე დაიწყო და წარმატებით გრძელდება. ჩემს შვილებს უკვე ველარ დააძალებენ, ამა და ამ პოეტმა მთვარე ნამგალს შეადარა და, გინდა თუ არ გინდა, მისი დიდპოეტობა ინამეო. დადგება კერპთა მსხვრევის დროც. დღეს მთავარია, ყველა შემოქმედს ჰქონდეს საშუალება ხალხამდე მისი ნაღვაწის მიტანისა.

**— თქვენ გაქვთ საშუალება თქვენი შემოქმედების ხალხამდე მიტანისა?**

— ამ მხრივ ნამდვილად ბედნიერი ვარ. ფართოდ გამიღეს თავიანთი ჟურნალ-გაზეთების კარები ისეთმა რედაქტორებმა, როგორებიცაა: არმაზ სანებლიძე, თამაზ წივწივაძე, ხუტა ბერულავა, ზაურ კალანდია, რევაზ მიშველაძე, ცირა კუპატაძე, ოთარ ჭელიძე... ყოველ მათგანს ჩემს მეგობრად ვთვლი. ასე რომ, ერთი სტრიქონიც არ მაქვს გამოუქვეყნებელი და არა მარტო ლექსები, პროზაც. არც ერთი რედაქტორის წინაშე არ დამჭირვებია თავის დამცირება. რამდენიმე სხვა გამოცემათა რედაქტორი კიდეც მთავაზობს, რამე მოიტანე, გამოგიქვეყნებო, მაგრამ სადა მაქვს ამდენი. ორმოცდაათი წლის კაცი სულ 150 ლექსის ავტორი ვარ. ჩემი რედაქტორების გულისხმიერება ენერგიას მმატებს. სხვა კრიტიკოსები არც მჭირდება. რახან ხელს მიწყობენ, მოსწონთ ალბათ ჩემი ნაწერები.

**— თქვენს მეგობართა შორის თამაზ წივწივაძე და ხუტა ბერულავა გვერდიგვერდ ახსენეთ. არის რაღაც უცნაური ამაში.**

— არაფერი უცნაური არაა. თამაზ წივწივაძე ჩემი თანაკურსელია. ერთ დროს გვერდიგვერდ ოთახებშიც გვიცხოვრია. ერთად ვქეიფობდით და ერთად გვშიოდა. მე მომწონს მისი შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი შემართება. უდავოა, რომ დღეს იგი კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ჩვენს არა მარტო ლიტერატურულ, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაზეც. ვის არ შეხვდებით მის კაბინეტთან. უამრავი გაჭირვებული მიდის საჩივლელად. მარტო მწერლები კი არა, მუშები, მეწარმეები, გლეხები, მასწავლებლები... მოკლედ, სამართლიანობის ბოლო ინსტანციაა. რაც შეეხება ბატონ ხუტას, მას ჩემთვის ერთ დროს უანგაროდ გამოუწვდია დახმარების ხელი. მე ლიტერატურულ კინკლაობებში არ ვერევი, არცერთ დაჯგუფებას არ ვეკუთვნი, არც ერთი პარტიისა თუ კავშირის წევრი არა ვარ.

**— მე იშვიათად მეგულება თანამედროვე ქართველი პოეტი, რომლის ლექსებშიც იმდენი ტკივილი იყოს, რამდენიც თქვენს ლექსებშია...**

— ლექსი თვითონ ტკივილი არის (ლადო). მოგახსენეთ, სულ 150 ლექსი მაქვს-მეთქი. ადრე ათასიც მქონდა, მაგრამ ბევრი დავწვი. არ მინდა დამრჩეს სამარცხვინოდ, განსაკუთრებით სტუდენტობის დროინდელი ლექსები. მიბაძვით ვწერდი ქალებზე, მათი ტუჩების სიტკბოზე, ტანის არომატზე... არადა, ჩემი განსწავლულობა ქალში ქუჩაში ქარის მიერ აფრიალებული კაბით ამოიწურებოდა. პოეტმა უნდა წეროს იმაზე, რასაც განიცდის, რაც სტკივა, თანაც ეს განცდა და ტკივილი სხვის ტკივილსა და განცდასაც უნდა შეესაბამებოდეს. პოეტი ხომ იმ მკითხველის მაგივრადაც წერს, რომელსაც პოეზია უყვარს, მაგრამ ლექსის წერის ნიჭი არ მისცა ღმერთმა. მკითხველი ფალსიფიცირებულ ლექსებს არ გაპატიებს. ცხადია, ლექსი არტისტულიც, ლამაზიც უნდა იყოს. ამას წინათ ჩემთვის ერთ-ერთ უძვირფასეს პოეტს იზა ორჯონიკიძეს ვუთხარი: იზა, შენი ლექსები იაპონური თაიგულის ხელოვნებას — იკებანას მაგონებს, შიგ ყვავილებივით აწყვია ფერები და სახეები, ჩემი ლექსები უფრო პოპარტია, უნიტაზიც კი შემიძლია ვაქციო ლექსის დეტალად-მეთქი. მე ლექსის მასალას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. მთავარია ლექსმა განწყობა შექმნას. პოეზია ხომ განწყობის ფილოსოფიაა.

**— შეიძლება პოეტს თანამდებობა ეჭიროს? პოეტობა ხომ არ უშლის ხელს მართვაში?**

— რაღა შორს წავიდეთ, დავით აღმაშენებელი დიდი პოეტიც იყო და გენიალური მეფეც. ჩვენი პრეზიდენტი, ბატონი ედუარდი, პოეტი გახლდათ (იქნებ ახლაცაა). ძალიან მაინტერესებს, რაზე წერდა და როგორ. ნეტავ, შენახული აქვს თუ დასწვა ჩემსავით?

**— თუ იცნობთ, სთხოვეთ, იქნებ წაგაკითხოთ.**

— ვიცნობ და მერე როგორ! როცა ის კომპარტიის ცეკას მდივანი იყო, ქუთაისში ყოველწლიურად აწყობდა ჩაის დღეებს. მთელი საქართველოდან მოწვეული მეჩაიეები და ხელმძღვანელები ბჭობდნენ დარგის განვითარების პერსპექტივებზე. ეს იყო, მგონი, 1975 წელს. ღონისძიება ქუთაისის თეატრში ტარდებოდა. მაშინ უშიშროების ქუთაისის განყოფილებაში ვმუშაობდი და ასეთ ღონისძიებებში დაცვის ფუნქციას ვასრულებდით. შესვენებაზე, თეატრის ფოიეში, ჩემს ნათესავს, ცნობილ ოზურგეთელ მეჩაიე ვალიდა ჟღენტს შევხვდი. ქალბატონი ვალიდა რამდენიმე წლის წინ შრომის გმირობაზე იყო წარდგენილი, მაგრამ მხოლოდ ლენინის ორდენი მისცეს. ბატონმა ედუარდმა მაშინ მოუბოდიშა და კომპენსაციასავით, ორდენთან ერთად, ავტომანქანა „ვოლგის" რიგგარეშე შეძენის ტალონი გადასცა. ვდგავართ ფოიეში მე და ვალიდა, თბილად ვჭუკჭუკებთ და ამ დროს შესვენებაზე გამოსული ბატონი ედუარდი გამოჩნდა, ქალაქის ხელმძღვანელობასთან ერთად. ვალიდა შენიშნა. ოო, ქალბატონო ვალიდაო, გადაეხვია. მე ხელი ჩამომართვა და მკითხა, როგორაა, ბიჭო, შენი მანქანაო. ვიფიქრე, ჩემს დანჯღრეულ მანქანაზე მეკითხება-მეთქი და ვუპასუხე, ცუდად, ყოველდღე სარემონტოა-მეთქი. ეგ არაფერი, ახალს მოგცემთო, მითხრა, გამიღიმა და წავიდა. მივხვდი, ვალიდას შვილი, გენადი ვეგონე.

კაცო, მანქანა თუ გინდა მე ვერ მეტყვი, ამხელა კაცს რომ აწუხებო? მომვარდა ქუთაისის ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე დემურ დვალიშვილი (ის ანაწილებდა მანქანებს). ხვალვე მომიტანე განცხადებაო. მოკლედ, ერთი კვირის მერე ციცნცხალი მანქანა მყავდა. თუ იცნობთო, კიდევ მეკითხებით!

ესაუბრა
**მზია ათაბეგაშვილი**

---

## აგრარული პოლიტიკა

# კიდევ ერთხელ სოფლის მეურნეობის შესახებ

ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისათვის აუცილებელია ეკონომიური დამოუკიდებლობა და სიძლიერე.

საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი ადამიანი კარგად უნდა ხედავდეს რა მდგომარეობაც არის აქ.

ამ დანგრეული ქვეყნის ეკონომიკა, თუ მაინც რაღაცას ჰქმნის, თუ კი მისი დარგებიდან რომელიმე მაინც ფუნქციონირებს, ეს არის მხოლოდ ვაჭრობა და სოფლის მეურნეობა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი შედარებითია. თორემ ამ ორი დარგის მუშაობასაც საცოდავზე საცოდავი სახე აქვს.




ამ ორი დარგიდან მხოლოდ სოფლის მეურნეობა არის მწარმოებლური. მხოლოდ აქ იქმნება პროდუქცია და თანაც ყველაზე აუცილებელი — საკვები.

საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება და მთავრობა კატეგორიულად აცხადებენ, რომ იბრძვიან და ყველაფერს აკეთებენ, რათა ააშენონ დამოუკიდებელი, ეკონომიურად და პოლიტიკურად ძლიერი სახელმწიფო, რომ ყველაფერს აკეთებენ, რათა აღადგინონ საქართველოს დანგრეული ეკონომიკა.

სხვა დარგებს ნულარ შევეხებით. ვისაუბროთ სოფლის მეურნეობის პრობლემებზე. თუმცა ამ საუბრისასაც შეიძლება გამოითქვას ჩვენი შეხედულება მთლიანად ეკონომიკური სფეროს შესახებ.

სოფლის მეურნეობის განსაკუთრებულობა იმითიც გამოიხატება სხვა დარგებთან შედარებით, რომ მისი აღდგენა-განვითარებისათვის არ არის იმდენი დანახარჯები აუცილებელი, რაც დანარჩენებისათვის. თუნდაც მძიმე მრეწველობისათვის. საჭიროა ქარხნები ათასგვარი დანადგარები, ენერგომატარებლები, ნედლეულის შემოზიდვა.

სოფლის მეურნეობისათვის ყველაზე აუცილებელი, უმნიშვნელოვანესი საწარმოო საშუალება არის მიწა.

მიწის საკუთრების რეფორმით ინდივიდუალურ მესაკუთრეს, მიწათმოქმედს 1992 წელს გაუზარდეს ნაკვეთების ფართობები.

მაგრამ ეს პირადი საკუთრების უფლება, დღევანდელი პირობებისათვის, არამყარი და არამდგრადია. ადრინდელ წერილებში მე მოკლედ ვწერდი, რომ იმ ხარჯებისა და პირობების გათვალისწინებით, რაც დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებს აქვთ, ერთი შეხედვით მცირე გადასახადის გადახდაც კი ძალიან ძნელდება, ამიტომ მე აუცილებლად მიმაჩნია გადასახადების გაუქმება მანამდე, სანამ ქვეყანაში ნორმალური მუშაობის საშუალება არ შეიქმნება.

მიწების საკუთრებაში გაფორმებისათვის 22 მარტამდე დადგენილი ვადის შესახებ მე გავიგე თბილისში, 10 თუ 11 მარტს გაზეთ „საქართველოს" რედაქციაში. გავიგე ისიც, რომ ამ ვადას ვინც გადააცილებდა, მათ მფლობელობაში მყოფი ნაკვეთების გაფორმებას ვერ მოასწრებდა, ის დაკარგავდა ამ ნაკვეთის მფლობელის უფლებებს. დარწმუნებული ვარ, ამის შესახებ ბევრმა დღესაც კი არ იცის. გაფორმებისათვის აუცილებელი გადასახადი კი თუ დასაწყისისთვის 10 ლარიც არ იყო, ახლა 40 ლარამდე გაიზარდა.

იქვე გავიგე, რომ მესაკუთრის უფლებებს მფლობელი კარგავდა არა მარტო ნაკვეთების იმ ნაწილზე, რომელიც იმათ ახლახან, რამდენიმე წლის წინ გადაეცათ, არამედ წინაპრების კუთვნილ იმ ნაწილზეც კი, რომელზეც წლების თუ ათწლეულების წინ სახლი ააშენა და ახლა ცხოვრობს.

საინტერესოა, რას ფიქრობენ ხელისუფლების

გაგრძელება მეშვიდე გვერდზე

---

# სიცრუის ახალი კერა

ცილისწამებას წითელი პრესიდან და ტელევიზიიდან ჩვეული გახლავართ. ამ მხრივ საწუხარი მხოლოდ ის მაქვს, რომ იძულებული ვარ, დროდადრო მის მოსაგერიებლად ძვირფასი დრო გავწირო. ამჯერად პასუხის გაცემა მიხდება „ახალ თაობაში" დასტამბულ ინტერვიუზე, რომელიც გაზ. „საქართველოს" ყოფილ რედაქტორს ნ. გრიგალაშვილს ეკუთვნის. ავტორის მტკიცება, „ჩემსა და ნოდარ ნათაძეს შორის ყოველთვის იყო აზრთა სხვადასხვაობაო", სიმართლეს არ შეესაბამება იმ უბრალო მიზეზით, რომ არც „აზრთა" ქონა, არც, მით უმეტეს, პოლიტიკურ „აზრთა" ქონა მე მისთვის არასოდეს შემიტყვია. „საქართველოს" რედაქტორად ნ. გრიგალაშვილი პირადად მე მოვიწვიე (მაშასადამე, იგი, წინააღმდეგ ინტერვიუს მინიშნებისა, „ზვიად გამსახურდიას შემოგზავნილი" ვერ იქნებოდა), ვინაიდან ჟურნალისტის გამოცდილება ჰქონდა ჟურნ. „კრიტიკაში". უფრო „სხვიანი" და „ნაპერწკლიანი" ჟურნალისტი ვერ მოვიწვიე, ვინაიდან, გასაგები მიზეზების გამო, საამისო თანხები არ გაგვაჩნდა. იმ რვა წლის მანძილზე, რაც გაზეთში იყო, ნ. გრიგალაშვილს ცუდი, ანუ ეროვნული საქმის ინტერესების „წინააღმდეგ" მიმართული, არაფერი უქმნია (ამას ხაზგასმით აღვნიშნავ), კარგი კი საკმაოდ ბევრი გააკეთა. მაგრამ ბოლო დროს მეჩვენა, რომ ხვალ-ზეგ იზამს არასასურველს იმ გაათკეცებული ცდუნების პირობებში, რომელსაც ასპარეზზე მყოფ კაცს დღითიდღე დამძიმებული ანტიქართული დიქტატურა უქმნის. მისი მოქმედება „საქართველოდან" წასვლის შემდეგ, მე მგონი, ჩემს პროგნოზს მაინცდამაინც არ ამტყუნებს (ამაზე დაე მკითხველმა თვითონ იმსჯელოს). რაც შეეხება მის წასვლას, იგი მისი ინიციატივით კი არ მომხდარა (როგორც ეს ტელემაყურებელს უამბო), არამედ გაზეთის დამფუძნებლის — გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის — ინიციატივით, რათა აგვეცილებინა მისი მოსალოდნელი განდგომა ახლო მომავალში უფრო მძიმე მომენტში.

ინტერვიუს დანარჩენი ნაწილი იმის მტკიცებას უჭირავს, რაც შევარდნაძის და „მონკავშირის" დღევანდელი კურსის ზუსტი შესატყვისია: რომ დღეს გაბატონებული უსახური ხროვა მუდამ ზ. გამსახურდიასა და მისი მეგობრების მეგობარი იყო, ამასთან — რადიკალურად პატრიოტი, ხოლო ეროვნული მოძრაობის ყველა ის არაზვიადისტი მონაწილე, რომელსაც გული სამშობლოსთვის ერჩოდა და ერჩის — გამსახურდიას მოძულე და ბუჩქძრომია. ყოველივე ეს ტყუილების გროვაა, პირველ ყოვლისა — ის, რაც ჩემი და ზ. გამსახურდიას ურთიერთობას შეეხება (რა იცის ნ. გრიგალაშვილმა ჩემი და ზ. გამსახურდიას ურთიერთობებისა?). ამ ტიკტიკს ყურადღებას არ მივაქცევდი, ერთი გარემოება რომ არა. გაზ. „ახალ საქართველოში", (ნ. გრიგალაშვილის რედაქტორობით) იბეჭდება მასალა ვაჟკაცი და ღირსსახსოვარი კაცის — ჟიული შარტავას სიკვდილის შესახებ, რომელიც მე იმ ერთ-ერთ ოფიციოზურ ვერსიად მესახება, რომელთა „შეცურება" საზოგადოებაში ნაპატრიოტალი, ან შევარდნაძისეული პრესის ერთერთი ძირითადი ამოცანაა. ამ მასალაში, როგორც მითხრეს, „წაკვრით" ნახსენები ვყოფილვარ.

მეც, როგორც აფხაზეთის ომის მონაწილე, ჩემი მოვალეობა და უფლებაა, ამ ჩრდილის მომყენებელ მოხსენიებას პასუხი გავცე, ანუ იმ მკითხველს, რომელიც ღირსია (სხვა კი მე არ მაინტერესებს), ჩემი ცხოვრების ამ ეპიზოდის ანგარიში ჩავაბარო. სოხუმში ჩავფრინდი 18 სექტემბერს. არავითარი „ჯგუფი" არ მყოლია. ჩავფრინდით ორნი: ტ. დუდაური და მე. ბოლოს ვიყავით გომბორის ბატალიონთან, (მანამდე — „თბილისელთან"), რომელსაც, ცხადია, თავისი მეთაური ჰყავდა და მის ბრძანებას ასრულებდა. წამოვედი 27 სექტემბერს ბატალიონთან ერთად ნებელდის გზით. 25 სექტემბერს დაჭრილი ვიყავი ნამსხვრევებით მარჯვენა მკლავსა და მენჯში. ჭრილობები დამიმუშავეს სამხედრო პოლიციის მედ-პუნქტში ქალაქის ცენტრში და გამაფრთხილეს, რომ გაკერვა სასურველი არ იყო, მაგრამ ღამით სისხლისდენა მქონდა (გულისრევის სიმპტომით) და 26 სექტემბერს სინოპის მედპუნქტში ექიმი იძულებული გახდა ერთ ჭრილობაზე ნაკერი დაედო. ორივე ექიმის ვინაობა ცნობილია და მათთვის კითხვას წინ არაფერი უდგას. იმ დღეს მე ბრძოლისუნარიანი ვიყავი, მაგრამ ამ დროს სოხუმში ფრონტი აღარ იყო. მესამე დღეს კი ბრძოლისუნარიანი ველარ ვიქნებოდი მედმომსახურების გარეშე. ამიტომ ჩემს სოხუმში ინდივიდუალურ დარჩენას შედეგი ვერ ექნებოდა. დავსძენ: ჩემი ინდივიდუალური შედეგები ამ ომში მე უკმაყოფილების საბაბს არ მაძლევს. (საქართველოს შეიარაღებულ ძალებში რომ საშუალო, ინდივიდუალური მონაცემები ასეთივე ყოფილიყო, ჩვენი და მოწინააღმდეგის ზარალის პროპორცია სხვა იქნებოდა).

ჩვენი შეიარაღებული ძალების საერთო შედეგისა კი მრცხვენია, ყველა სხვასთან ერთად, თუმცა სხვებთან ერთად ის მანუგეშებს, რომ ეს ქართველი ჯარისკაცის დამარცხება კი არ იყო, არამედ მთავარსარდლობის ღალატითა და უნიჭობით გამოწვეული დროებითი წაგებაა.

ასეა თუ ისეა, ეს ჩემი — და ჩვენი — პრობლემაა და არა ხარვეზოვან ადამიანთა იმ ყოვლისწამლეკავი მასისა, რომელსაც კარგა მოწიფული ასაკის მიუხედავად (40-იოდე წელი) ვერ შეუგნია, რომ საერთო-ეროვნულ ომში (ვის წინააღმდეგ — ვიცით) საშუალო ასაკის კაცს უმცროსი ასაკისაზე წინ დადგომა ჰმართებს.

**ნ. ნათაძე**

# ელცინი ამბობს: НОУ ПРОБЛЕМ! შევარდნაძე კი თვალებში შესცინცინებს

როგორც ცნობილია, 29 აპრილს, დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა ცოტა არ იყოს შეგვიანებული. შეხვედრა გაიმართა, რომელზეც საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ 6 თვით გაუგრძელა ვადა სამშვიდობო ჯარების სახით არსებულ რუსეთის საოკუპაციო ჯარს. ის, რომ 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ქვეყნის პოლიტიკაში რაიმე რადიკალურ ცვლილებებს არ უნდა ველოდეთ, ეს უკვე შევარდნაძის ხელისუფლების პოლიტიკურ სამზარეულოში ოდნავ ჩახედული ადამიანისთვის კარგად არის გარკვეული. უფრო მეტიც, თუ კი 2000 წელს დანიშნული არჩევნებისთვის შევარდნაძის პოლიტიკური ავტორიტეტი საგრძნობლად შერყეული არ იქნება, მაშინ არც 2000 წელს მოხდება რაიმე ახალი აფხაზეთის საკითხში. აფხაზეთი ის კოზირია, რომელიც შევარდნაძის ხელში მაშინ ამოქმედდება, თუ მას პოლიტიკურ ასპარეზზე ძალიან გაუჭირდება.

ფარდაახსნილი ჭეშმარიტებაა, რომ ომი ხალხის ყურადღების საჭირბოროტო საკითხებიდან გადატანის ნაცადი საშუალებაა, რადგან ომი თვითონ არის ყველაზე დიდი საჭირბოროტო საკითხი. ასე მოხდა 1992 წლის ოქტომბრის არჩევნებზე. იმავე წლის 14 აგვისტოს დაწყებული სრულიად მოუმზადებელი ომი აფხაზ სეპარატისტებთან, ძნელი არ იყო იმის გათვლა, რომ არჩევნების დღემდე მაინც გაგრძელდებოდა, თუმცა ამისთვისაც გარკვეული ძალისხმევა გახდა საჭირო, რაც გამოიხატა ჩვენი ჯარების ზურგში, შეიძლება თამამად ითქვას, ყოვლად მოღალატურად მტრის ტყვარჩელის დაჯგუფების გაუნადგურებლობაში, გუმისთასთან ჯარების შეჩერებაში და სამი სექტემბრის ხელშეკრულების შემდეგ გაგრიდან ბრძოლისუნარიანი ნაწილების გამოყვანით, მისი მტრისთვის ჩაბარებაში, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა აფხაზეთის ბედი, მაგრამ, სამაგიეროდ, 1992 წლის არჩევნებზე შევარდნაძე ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობისთვის წარმოჩნდა, როგორც საქართველოს სამამულო ომში მისი ჯარების მთავარსარდალი, რომელსაც მთელი ხალხის მხარდაჭერა სჭირდებოდა. ამიტომაც მოხდა, რომ მისმა პოლიტიკურმა ბლოკმა იმდროინდელ პარლამენტში დიდი უმრავლესობა მოიპოვა, რომელმაც შემდგომ შევარდნაძე დემოკრატიის პრინციპის საწინააღმდეგოდ პარლამენტის თავმჯდომარედაც დანიშნა და თან აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი პოსტიც, სახელმწიფოს მეთაურობაც ჩააბარა. 1992-95 წლების უბედურების ვადამ სწრაფად ჩაიარა და მორიგ არჩევნებზე შევარდნაძე პრეზიდენტობის ამბიციით წარსდგა, მაგრამ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე მისი პოლიტიკური ავტორიტეტი ხალხის თვალში ფეხქვეშ იყო გათელილი, რადგან თავსდატეხილ ყველა საშინელებას ხალხი ყოვლად ლოგიკურად სახელმწიფოს მეთაურს უკავშირებდა. მაგრამ აქ წარმოჩნდა სკამის შენარჩუნების საქმეში შევარდნაძის შესანიშნავი ალღო. ეს იმაში გამოიხატა, რომ იმ პერიოდში საქართველოში დატრიალებული ყველა ბინძური საქმის უშუალო შემსრულებლად გამოყვანილი იყო ჯაბა იოსელიანი თავის „მხედრიონით“. მხედრიონმა აფხაზეთის ომში ასობით ვაჟკაცი დაკარგა, მაგრამ მის პატრიოტულ მოღვაწეობას აქარწყლებდა სამეგრელოსა და ქვეყნის სხვა კუთხეების მრავალგზისი დარბევა-აწიოკება, რომელიც, მართალია, ხელისუფლების სანქციით ხდებოდა, მაგრამ მის სახელს მაინც საშინლად ბღალავდა, რასაც ხელს უწყობდა მხედრიონის მეთაურისა და მისი წარმომადგენლობის დიდი ნაწილის კრიმინალური წარსული. და აი, ხალხის თვალში ასეთ კრიმინალურ მონსტრად წარმოჩენილ მხედრიონსა და მის ლიდერს, სწორედ არჩევნების წინ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა ედუარდ შევარდნაძე. ესეც ომი იყო, ოღონდ შინაომი, იდეოლოგიურად კარგად დამუშავებული ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. აზრი შევარდნაძე-იოსელიანის შეხმატკბილებული ხელისუფლების შესახებ გაქარწყლდა და ამ სამი-ოთხი წლის მანძილზე სინამდვილეში მართლაც არსებული ხელისუფლების მიერ ქვეყანაზე თავსდატეხილი ყველა უბედურება მხოლოდ ჯაბა იოსელიანს მიეწერა. საქმე გაკეთდა.






ხალხი არჩევნებზე ერთი ალტერნატივის წინაშე იდგა, ან შევარდნაძისთვის მიეცათ ხმა და მომავალის იმედი ჰქონოდათ, ან დაბრუნდებოდა იოსელიანის კრიმინალური ბანდა და ქვეყანა ისევ განუკითხაობის ჭაობში ჩაიძირებოდა. ხალხმა ლოგიკურად პირველი არჩია.

მოდის ქრისტეშობიდან 2000 წელი. ღმერთო, დაგვიფარე და ღვთისმშობლის წილხვედრობა თუ სულ ტანჯვა-ვაებაში ყოფნას ნიშნავს, მაშინ ისტორიულად ამ შედარებით დალაგებულ მსოფლიოშიც არ ყოფილა საქართველოს საშველი. ყოველ შემთხვევაში, შორეულ წარსულს რომ არ შევეხოთ, ჟამთასვლის ბოლო ათწლიანი პერიოდი თავისი სისხლიანი კატაკლიზმებით, ისტორიული ტერიტორიების დაკარგვით, ქართველი ხალხის დარბევა-აწიოკებით, ლტოლვილად ქცევით და უიმედობით, ამის ნათელი დადასტურებაა.

როცა პრეზიდენტი საკუთარი ქვეყნის დამაქცევარი სახელმწიფოს პრეზიდენტს ტელეეკრანზე ყველას დასანახად თვალებში შესცინცინებს, თან სალაღობოდ ხელებით ეთამაშება, მერე ის ჩვენი მოსისხლე პრეზიდენტი საქვეყნოდ რომ განაცხადებს ჩვენ საქართველოსთან არავითარი პრობლემა არა გვაქვსო და თან ჟარგონით დააყოლებს... ამის შემხედვარეს რისი იმედი უნდა გქონდეს? მართლაც ცუდად არის საქმე და 2000 წლისათვის კიდევ რა დატრიალდება, ღმერთმა უწყის, თუკი ხალხი არ გამოფხიზლდება და ყველაფერს რეალურ შეფასებას არ მისცემს.

**გია თვალავაძე**

---

აგრარული პოლიტიკა

# კიდევ ერთხელ სოფლის მეურნეობის შესახებ

მეექვსე გვერდიდან

წარმომადგენელნი, როცა ასეთი დიდი პროცენტით ზრდიან გადასახდელს დაგვიანების გამო. რამდენჯერ მოუწევს მაშინ გაზრდა ანალოგიური პრინციპით თუ მივუდგებით, ჩემგან თუ სხვათაგან არაერთხელ ნახსენებ ანაბრებს. თუმცა აქ ყველაფერი გასაგებია, ისინი არც ფიქრობენ დაბრუნებას.

ჩემთვის ცნობილია, რომ მოსახლეობის ნახევარიც კი ვერ იხდის ვერც ყოველწლიურ გადასახადს და ვერც ერთჯერად შესატანს მიწის ნაკვეთის გასაფორმებლად. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ მოსახლეობას სხვა გადასახდელებიც აქვს. უამრავ პირად ხარჯს რომ თავი დავანებოთ, დენის ფული თიანეთში თვეში 6 ლარია ერთ კომლზე.

მიუხედავად ზემონათქვამისა, გლეხი როგორღაც მაინც ფლობს მიწის ნაკვეთებს, მაგრამ ის, ცხადია, თავისით არაფრის მომტანია, თუ არ დაამუშავე და დათესე.

დასათესად აუცილებელი თესლის დიდ ნაწილს მოსახლეობა ინახავს წინა წლის მოსავლიდან. დანარჩენს თუ დასჭირდა, დიდი საჭირვებით, მაგრამ მაინც როგორმე იშოვის. ეს კიდევ ერთი პლიუსი სხვა დარგებთან შედარებით — მიწა გაქვს, თესლიც გაქვს.

ახლა კი იმ სირთულეებზე, რომ ამ ორ ფაქტორს და საერთოდ სოფლის მეურნეობას ჩვენში სადღეისოდ ახასიათებს.

პირველი: ეს არის სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა. სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების სიმცირე, გაუმართაობა, რაც უკიდურესად უარყოფითად მოქმედებს მიწათმოქმედთა საქმიანობაზე, წინა სტატიაში მე უკვე ვწერდი ამის შესახებ. ვახსენე შესასრულებელი სამუშაოების სიძვირე და დაბალი ხარისხი. რაც ორმხრივად ამცირებს მიწათმოქმედთა შემოსავალს, მოგებას, იზრდება ხარჯები, მცირდება მოსავლის რაოდენობა.

მეორე პრობლემა ეს არის შესაწამლი მასალების სიმცირე, სიძვირე. არადა მათ გარეშე აშკარად [illegible] მღრღნელებთან თუ სხვა მავნებლებთან ბრძოლა. ვრცელდება მცენარეთა ავადმყოფობები. ბოლო წლებში განსაკუთრებით ხორბალი იყო დაავადებული გუდაფშუტით. კარტოფილს აზიანებენ როგორც მავნებლები, თაგვი, მახრა, კოლორადოს ხოჭო, ისე ავადმყოფობები, ფიტოფტორა, სიდამპლე.

მგონია აღარ არის იმის აღნიშვნა საჭირო, რომ ეს პრობლემაც აშკარად აუარესებს მოსავლის რაოდენობას. სათესი მასალა კი ზოგჯერ უვარგისიც ხდება.

ვინმემ შეიძლება იკითხოს, ამ დანგრეულ ქვეყანაში ვისა სთხოვ პასუხს, მით უფრო დღეს, როცა „საბაზრო ეკონომიკაზე გადავედითო“. რაღაც მსგავსი მომისმენია.

პასუხს იმას ვთხოვთ, ვინც აცხადებს, რომ ყველაფერს აკეთებს ქვეყნის აღდგენა — აღორძინებისათვის, ვინც სისტემატურად ითხოვს გადასახადს.

იმას, ვინც საზღვარგარეთიდან მოსახლეობისათვის (მეწარმეებისათვის) განკუთვნილ კრედიტს ღებულობს და სად მიაქვს არავინ იცის. არადა, ეს კრედიტები გადასახდელად მთელი მოსახლეობის კისერზეა.

ჩემთვის რამდენიმე მხრიდან ცნობილი გახდა, რომ განვითარებულმა ქვეყნებმა, კერძოდ იაპონიამ დახმარების სახით საქართველოს გამოუგზავნა მათ მიერ შესყიდული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. გამოუგზავნა, როგორც ვიცი, უფასოდ. გამოუგზავნა ფაქტიურად მიწათმოქმედებს, რადგან სოფლის მეურნეობა, მისი ამოქმედება იმათი საქმეა და არა სამინისტროების თუ დეპარტამენტების.

აქ კი ვნახოთ, რა პირობებს უყენებენ მანქანა-იარაღების შემძენთ.

ტექნიკა გაიცემა განვადებით, ლიზინგური წესით, თანდათან გადახდით 3-4 ან 5 წლით.

პირველი შესატანი, 5-6%-ია, 1 ან 2 წლის მანძილზე უნდა გადაიხადო 50%, დანარჩენ დროის მანძილზე კი დანარჩენი 50%.

რაღა თქმა უნდა, გარანტიები ან გირაო (უძრავი ქონება) ტექნიკურ საშუალებებთან 1/2 შეფარდებითაა (ორჯერ ძვირი უნდა იყოს) შესაძლოა გარანტია რაიონმა მისცეს. ახლა კი ვნახოთ ფასები, დამრგვალებული ციფრები:

კომბაინი ს-კ 60000 დოლარი

დტ ტრაქტორი28000

თვლიანი მტზ-80 14000

ფარები 4700

სათესი ს3-36ა 5150

სასუქის გამანაწილებელი — 6170

კპს-4 — 3900 კულტივატორი.

ამ წესით (თუ მართალია რომ ისინი ჰუმანიტარული დახმარებით არის) გამოგზავნილი ტექნიკა, უნდა ჩაბარდეს დემოკრატიული წესით არჩეულ საკრებულოებს, იქვე შეიქმნას პარკი, სადაც ხელმისაწვდომი ფასებით შესაძლებელი იქნებოდა იმათი დაქირავება. არჩევა-გადარჩევის შემთხვევაში კი გლეხები გააკონტროლებდნენ საკრებულოს.

ამ შემთხვევაში საზოგადოების ის ნაწილი, ვისაც უშუალოდ ეკუთვნის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, გააკონტროლებდა ამ მანქანების მუშაობა-გამოყენებას.

ახლა ვიკითხოთ, 60000 თუნდაც 5 წელზე რომ გავყოთ, რამდენი იქნება ყოველწლიური გადასახადი საშუალოდ? რა უნდა გააკეთოს კომბაინერმა, სად უნდა იმუშაოს ამდენი და რა ფასი უნდა დაადოს შესრულებულ სამუშაოს საიმისოდ რომ ეს თანხა გადაიხადოს.

ასეთი ფასის მოთხოვნა კი იმას ნიშნავს, მიწათმოქმედი განწირულია, ის ვერც შეიძენს ამ ტექნიკას და ვერც სხვის შენაძენს ვერ მოიხმარს (ვერ იქირავებს სიძვირის გამო) მანქანის სიძვირე გამოიწვევს მის მიერ შესრულებული სამუშაოს გაძვირებასაც.

ყველაფერ ამას დარგის ხელოვნურ მონოპოლიზაციამდე მივყავართ. ეს გამოიწვევს ინდივიდუალური, წვრილი და საშუალო მფლობელის მიერ მიწის დამუშავებაზე ხელის აღებას, უარის თქმას.

სახელმწიფო სანქციებით ჩამოართმევს და გაუყიდის მას მიწას. ამის შედეგად კი სოფელი უმიწოდ რჩება, დაიცლება და დაიღუპება.

საქართველო არც ამერიკის შეერთებული შტატებია, არც სხვა რომელიმე ქვეყანა, რომელსაც ადრიან ხოლმე ჩვენს ქვეყანას. ბევრგან გამიგონია რომ სოფლის დაცლა დიდი ტრაგედია არაა, ამა და ამ ქვეყანაში მოსახლეობის სულ რამდენიმე პროცენტია დასაქმებული სოფლის მეურნეობაში, მაგრამ მთელ სახელმწიფოს ამარაგებენო.

იმ ქვეყნებში ეს მეტ-ნაკლებად ბუნებრივი პროცესი იყო შეხამებული ადგილობრივ პირობებსა და თავისებურებებთან თუნდაც მხოლოდ ბუნებრივი (დიდი ფართობები, ველმინდვრები). კავკასიის მთაგორიანი ქვეყნები კი სოფლური დასახლებებით გამოირჩეოდნენ, სადაც თემი და სოფლის ერთობა ინახავდა ზნეობას და ეროვნულ იერსახეს.

სოფლისთვის მიწის წართმევა კი მის ნელ-ნელა გაქრობას და ყოველივე ზემოთქმულის დაკარგვას გამოიწვევს.

ეს იმ ძალებისაგან, დღეს საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებასა და მთავრობაში რომ არიან, სრულიადაც არ არის საკვირველი. მათ უკვე არაერთგზის მაგალითით დაამტკიცეს თავისი ანტიეროვნული და ანტიხალხური პოზიცია.

მე მინდა შევეხო ოპოზიციურ ეროვნულ, თუნდაც მხოლოდ ამ პრეტენზიის მქონე პარტიებსა თუ საზოგადოებებს. ისინი ეხებიან ხოლმე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ხშირადაც. მაგრამ ძირითადად როგორც მეორადი მნიშვნელობის მქონეს. მათ ნათქვამში იგრძნობა. ზოგჯერ პირდაპირაც ამბობენ, მთავარია ეს ხელისუფლება გადავირჩიოთ, მერე ყველაფერს ეშველებაო. ჯერ ეროვნულ-პოლიტიკური პრობლემები, მერე სოციალ-ეკონომიური. ზოგს „ეშინია“ კიდეც, უკანასკნელმა პირველი სულაც არ დაჩრდილოს.

მე კი დარწმუნებული ვარ, სოციალურ-ეკონომიური პრობლემები ხელს არ შეუშლიან ეროვნულს და პოლიტიკურს, პირიქით, მათი მთელი სისრულითა და სიმძაფრით წამოჭრა და გამოყენება საუკეთესო დახმარება იქნება უკანასკნელის გადასაჭრელადაც. ეს ორი პრობლემა ერთმანეთში არის გადაწნული და ყველანაირად უნდა ვეცადოთ ასეც გამოვაჩინოთ და გამოვიყენოთ.

მე ვეთანხმები იმ აზრს, რომ უკანონო ხელისუფლების მიერ მიღებული ყოველი აქტი უკანონოა. რომ თუკი დაფიქსირდება ეს და აღდგენილი იქნება სამართალმემკვიდრეობა ეროვნული ხელისუფლებისა, ომის შედეგად მოსული მთავრობის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტი თუ რაც იქნება, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს კარგავს.

რომ ვიცოდე არის რაიმე საშუალება, რაღაც გზა, რომლის დახმარებითაც წლის ბოლოსთვის მაინც ყველაფერი ასე მოხდება, იქნება არც ეღირებოდა ხმის ამოღება, მაგრამ როგორ გინდა დაამტკიცო, რომ ეს ასე იქნება თუნდაც ხუთი წლის მერე.

მეორეა და... ამ შემთხვევაშიც კი, როგორ გინდა ხელისუფლებასა და მთავრობაში ისე სრულყოფილად შეარჩიო პატრიოტული თუ ნამდვილი სპეციალისტები, მცოდნე ადამიანები, რომ იმ უზარმაზარ ნგრევას და ქაოსს უცბად გამოასწორებს. არადა, დღევანდელი საქართველოს გამწარებული, გალატაკებული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თითქმის სრულიად გულაყრილია ყველაფერზე. უმძიმესმა მატერიალურმა მდგომარეობამ, სილატაკემ, საარსებო წყაროსათვის ყოველდღიურმა თავისტეხამ, პარალელურად კი მმართველი კლანების ფუფუნების და ამდენი უსამართლობის შემხედვარემ რა იდეალები უნდა შეინარჩუნოს, რა უნდა ირწმუნოს, თუ კი მის პრობლემებს მთელი სისრულით არ შეეხები, არ აჩვენებ რომ იცი, შენც გტკივა მისი სატკივარი, არ დაუმტკიცებ რომ ყველაფერს გააკეთებ საერთო (შენი, მისი თუ სხვისი) მდგომარეობის გამოსასწორებლად, ცოტათი მაინც გასაუმჯობესებლად.

მოსახლეობის დიდი ნაწილი, როგორც არ უნდა დავხუჭოთ თვალი, ძველ, „უზრუნველ“, უხიფათო ყოფას მისტირის, ეს ასეა და ამისი დამალვა არაფერს არ მოგვიტანს.

აი ეს უკიდურესობამდე გამწვავებული სოციალური პრობლემები არანაკლებ გამწვავებულ ეროვნულ პრობლემებს გვერდით უნდა ამოვუყენოთ და არა უკან, ისინი მეტოქეებად კი არ უნდა დავისახოთ, არამედ ტოლძალოვან, ტოლმნიშვნელოვან პარტნიორებად და თანამებრძოლებად.

სხვანაირად საეჭვოა ეროვნული ძალების ბრძოლამ რომ რაიმე შედეგი მოგვიტანოს, ან ცა უნდა გაიხსნას და სასწაული მოხდეს, ანდაც რაიმე გარეშე ძალა უნდა დაიხმარო. ასეთი ძალა კი მე არ ვიცი არსებობს საერთოდ თუ არა. საერთოდ კი ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება ეროვნულ დამოუკიდებლობაზე მეოცნებე ქვეყანამ ეროვნული ეკონომიკის განვითარება მხოლოდ სოციალ-ეკონომიურ პრობლემად აქციოს.

**ნუგზარ ჟოლიკაური**
**თიანეთი**

# აკაკი წერეთელი:

## მეგრელებზე, იმერლებზე, რაჭველებზე ანუ

# „გურულებო! მეგრელებმა რომ გვაჯობონ და მე, გურული გავშავდე, თქვენი შერცხვენა იქნებაო“...

„...ამ პირველ ნომერში, ყველაზე უმალ უნდა ვილაპარაკოთ „მეგრელობაზე“, რომელიც ამ ბოლო დროს ზოგიერთებს საპირადო იარალად გაუხდიათ და ლამის მტრობა და შური ჩამოაგდონ ძმათა შორის...

თუ არა მზაკვარება და უგუნურება, გონიერება და სიმართლე იმას ვერ იტყვის, რომ მეგრელები ქართველები არ იყონ და მეგრულიც ძირითადი ქართული!.. ძველად „კოლხეთი“ ანუ ბერძნების კოლხიდა, ეს დღევანდელი სამეგრელო, უმტკიცესი და უკეთესი ნაწილი იყო მთლიანად საქართველოსი მაშინ, როდესაც ამერ-იმერთა მეფეები, აფხაზთა მეფეებად იწოდებოდნენ.

როდესაც მონღოლობამ საქართველო დასცარა და ერთიანი საქართველო ორ სამეფოდ, ამერ-იმერად გაჰყო, მაშინ პატარ-პატარა საერისთავოებმაც დამოუკიდებელი მთავრობა მოინდომეს და მათ უგნურს და ქვეყნისათვის მავნებელ პირადობას გარეშე პოლიტიკამ ხელი შეუწყო. ამან გამოიწვია შინაური კინკლაობა. ძმები ერთმანეთს ჩამოაშორა, მაგრამ მაშინ კიდევ არც ერთ სამთავროს, არც გურიას, არც აფხაზეთს, არც სვანეთსა და არც სამეგრელოს, არ დავიწყებიათ, რომ ქართველები იყვნენ! წირვა-ლოცვა, მწიგნობრობა და სადარბაისლო საუბარი მათი, ყველასი იყო ქართული და ქართული. თავის თავის სხვა ვინმედ წარმოდგენა არ შეეძლოთ, და სხვებს რომ ეთქვათ შეურაცხყოფად და გაკიცხვად მიიღებდნენ. მართალია ერთმანეთში, შინაურობაში ხშირად ჰქონდათ კინკლაობა, მაგრამ გარეშეებთან არ ავიწყდებოდათ თავის ერთ-ტომობა, სისხლ-ხორცობა, რომ სამეგრელო იმერეთს შემოუერთეს, სიხარულითა და ლიტანიობით მიეგება შეგნებული ნაწილი ორივე მხარისა!..

განსვენებულმა ალექსანდრე მიქელაძემ, მაშინდელი თავადაზნაურობის წინა-მძღოლმა, ლხინი გადაიხადა და უნდა გენახათ თუ რა ლხინი იყო ის ლხინი?! დღევანდელ ალაპის მსგავს სტუმრობასა და წვეულებას კი არ ჰგავდა, რომელსაც დიდი და პატარა ზარის ხმით „მრავალ-ჟამიერს“ დაბღავის და ღვინით იწუმპება!.. საერო და სასულიერო, სხვა და სხვა გვარი „მრავალ-ჟამიერები, გურული კრიმანჭულები, მეგრული ტკბილი ლილინი და მრავალგვარი სუფრული, ყველა ერთად, სხვა-და-სხვა გვარად, მაგრამ საერთოდ კი ნამდვილ ქართული გრძნობა — გონების გამომეტყველ-გამომხატველი, ამშვენებდა სუფრას და ადიდებდა ლხინს. უნდა გაგეგონათ იქ მეგრელების მჭევრმეტყველება და მათი გამტკიცული, გაწმენდილი ქართული და, მაშინ იტყოდით: აი, სად ყოფილან ნამდვილი ქართველებიო.

მას შემდეგ დიდმა ხანმა გაიარა და აბა თუ ვინმე იმას იტყვის, რომ მეგრელებს ან სიტყვით და ან საქმით მოეცესთ რამ საბუთი, რომ ჩვენ ვსთქვათ: ისინი ალარ ქართველობენო!.. პირიქით... ქართველობა დღეს იმათ უფრო ეტყობათ: ჩვენს საზოგადო საქმეებში მეტ მონაწილეობას ისინი ილებენ. ქართულ ჟურნალ-გაზეთს ისინი მეტს იწერენ, წიგნებს სამეგრელოში უფრო მეტი გასავალი აქვს, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში, გარდა გურიისა; საერთო საქმის თანამგრძნობნი არიან და მაშ რალაში



მდგომარეობს მათი ჩვენგან გამოცალკევების სურვილი?.. თუ იმას ვიტყვით, რომ იმათ შინაურობაში (განსაკუთრებით დაბალ წოდების ხალხს) მეგრულ კილოზე ლაპარაკი უფრო ეხერხებათ, ამითი რა დაშავდება? სამწერლო და სადარბაისლო ქართული იმათ ჩვენზე ნაკლებად არ იციან?! მართალია, მეგრული კილო ჩამორჩენილი ქართულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამაგიეროდ იგივე მეგრული დღეს სალაროა ნამდვილ ქართული სიტყვების. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-სპარსულ-თათრული შემოულია, რომელიც ქართველის ყურს ცუდათ ეჩხირება და გულსა სწყენს... და მეგრულ ენაში კი შენახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები... ჩვენ ვურჩევთ ჩვენ მწერლებ-მწიგნობრებს მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, იქიდან ამოკრებილ სიტყვებით შეივსონ დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი. — ეს რომ ასეა, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ერთმა უბრალო ახირებულობამ, იძულებული გვყო დღეს, რომ „მეგრელობაზე“ ვისაუბროთ: ტყვილა კი არ არის ნათქვამი: „თავდაპირველად მუნი ქვეყანად ერთმა თაგვმა გააჩინაო“. ამ რამოდენიმე წლის წინეთ ერთმა ვილაც წინდაუხედავმა კაცმა აიხირა, რომ ჩვენ მეგრელები ქართველები არა ვართ და ჩვენი ენაც სულ სხვა ენა არის... ეს არ მოეწონათ მეგრელებს!.. იტკიცეს?.. ვინ ამბობს, რომ ჩვენ ქართველები არა ვართო?.. მეგრელები რომ ვართ, ეს მართალია და ნურც მოგვიშალოს ღმერთმა ჩვენი მეგრელობა, ისე როგორც გურულს გურულობა, ქართლელს ქართლელობა, კახელს კახელობა, რაჭველს რაჭველობა და სხვანიო!.. მაგრამ ამავე დროს ნუ თუ საერთოდ ქართველები არა ვართო? და როდის აგვილია ხელი იმ დედაენაზედ, რომლითაც ღმერთს ვადიდებდით მრავალ საუკუნოების განმავლობაში და სამშობლოს ვემსახურებოდითო! დაუცაცხანეს იმ ახირებულ ფილოსოფოსს და მოსვენებას აღარ აძლევენ...

მეგრელების შორს-მჭვრეტელობამ და წინ-დახედულებამ კუდი ალარ მოუქნია უჯერობასა და უსამართლობას... კუჭის მიმდევარი ინტელიგენტები გამოდიან დღეს ასპარეზზე და შფოთს აგდებენ, მოძმეთა შორის. ეს სულ არჩევანების ბრალია!.. კაცს რომ სიმღერის ნება მისცე, მაგრამ იმ პირობით, კი რომ პირზე ხელი დააფარო, რაღას იმღერებს?.. უხეიროდ შემოღებულმა არჩევანებმა როგორც ბანკისამან, ქალაქისამ დიდი ვნება მოუტანეს ჩვენს ცხოვრებას. გაუღვიძეს საკუჭო სურვილები, გაუხსნეს მადა ზოგიერთ ინტელიგენტებს და ის ჩაადენიეს, რაც საკადრისი არ არის და არც წინეთ ფიქრადაც არ მოუვიდოდათ. ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ ოღონდ კი თავისი გაიტანონ და გაიმარჯვონ!.. მარტო გამარჯვებითაც რომ ალარ თავდება უსიამოვნება?! ბრძოლის დროს, ერთმანეთის პირდაპირობასა და შეხლა-შემოხლის დროს გამოწვეული უსიამოვნება რჩებათ გულში და კერძო ცხოვრებაში შეაქვთ იერიში... ეს კიდევ არაფერი, რომ ამ კერძო უსიამოვნების დროს ვნებათა ღელვა არ აბრმავებდეს მეტოქეებს!.. თავის პაწაწინა თავმოყვარეობას, წვრილმან კერძოობას უფრო მაღლა აყენებენ საქვეყნოზე და თითქმის ღალატს ჩადიან. მაგალითად: მეთაურობის ხელში ჩასაგდებად გამოდიან მეტოქეები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან; ერთი მეგრელია, მეორე გურული, მესამე რაჭველი, მეოთხე ზემოური, მეხუთე ქვემოური და ამ გვარად სხვა რომ არა მიუძლვისთ-რა ხრიკებს მიმართავენ ხოლმე და ბრბოს აბრიყვებენ: მეგრელებო! მე მეგრელი ვარ და ჩემი დამარცხება თქვენი შეურაცხყოფა იქნებაო!.. გურულებო! მეგრელებმა რომ გვაჯობონ და მე გურული გავშავდე, თქვენი შერცხვენა იქნებაო! იმერლებო! გაიძახის იმერელი მეტოქე — მოგვადგნენ მეგრელ-გურულები და ალარ გვზოგავენ... ბუზათაც ალარ გვაგდებენ და ჰკა მაგათ! დავანახოთ, რომ ჩვენც კაცები ვართ, ქუდი გვახურავსო... შავი მაგათო! და სხვანი. ამ გვარის ტყუილებითა და უკადრისობით ლამის სხვა-და-სხვა კუთხის ქართველობა ერთმანეთს გადაჰკიდონ და საშვილიშვილო მტრობა ჩამოაგდონ!.. საჭიროა ყურადღების მიქცევა... იმას ნურავინ იტყვის, რომ წვრილმანი რამეა და ალარ ღირს გამოკიდებაო. ეს ის ეკალია, რომელიც ეშმაკის ხელით ითესება და შემდეგში გვიჩხვლეტს და დაგვაწყლულებს... დრო არის, რომ... შინაურობაში მივიხედ-მოვიხედოთ, „ჩემიან-შენიანობაზე“ ხელი ავილოთ და საიდანაც უნდა იყოს, ვინც უნდა იყოს, მოყვარეს მოყვრულად მივეგებოთ და მტერს მტრულად დავუხვდეთ!..

**აკაკი წერეთელი**
**„უბრალო საუბარი“.**
**ნაწყვეტები. რჩ. თხზ. ტომი V. გვ. 264-269**

# ... და რწმენამ შექმნა ადამიანი...

სულ ცოტა ხნის წინ გაიმართა გოდერძი ჩოხელის ახალი ფილმის „ლუკას სახარების“ პრეზენტაცია. შთაბეჭდილება, რომელსაც სურათი ტოვებს, ძალზედ წააგავს იმ ადამიანის განცდას აფორიაქებული სულის დასამშვიდებლად რომ ბორგავს, ფაციფუცობს და უცებ რაღაცას მიაგნებს, რაღაც ვარდისფერს წააწყდება ირგვლივ გამეფებულ ნაცრისფერში.

*„... და თავი და თავი სიტყვასა*
*და სიტყვას შორის დაწერილი*
*უთქმელი, რომელსაც სიტყვა არ*
*სჭირდება და რომელსაც ისუნთქავ*
*მხოლოდ“.*

***(გრ. რობაქიძე)***

კადრს მიღმიდან გამომდინარე საოცარი სინათლე, რომელიც ასეთი სიხალისით აღწევს მაყურებლამდე, ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი თვისებაა გოდერძი ჩოხელის ფილმისა „ლუკას სახარება“.

სიჩუმე რომ დაარღვიო, ისეთი რამე უნდა თქვა, რაც სიჩუმეს ემჯობინება. ყველამ კარგად ვიცით და ავტორსაც ისეთი მარადიული პრობლემა აქვს გაშლილი ფილმში, როგორიც სინათლესა და სიბნელეს, თეთრსა და შავს შორის მუდმივი დაპირისპირებაა.

ხელშეუხებელი, მკაცრი, ველური, მაგრამ ნათელი მთის ბუნების ფონზე საუკეთესოდ წარმოჩნდება ლამაზი, უმწიკვლო, ერთი შეხედვით პრიმიტიული ფერები, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან სურათში წარმოჩენილი ბუნება ადამიანისა, ისეთივე მარტივია, როგორც ჭეშმარიტება.

ბავშვის თვალით დანახული სამყარო... ფერადი, ლამაზი, ზღაპრული. იგი არ არის ჩვეულებრივი. სამყარო, რომლის დანახვაც გვინდა, არაორდინალური, განსხვავებულია. „მეფე ყოველთვის არ არის შიშველი“. მთავარი ალბათ მაინც სურვილია — სიკეთის, სინათლისა და ნახვის სურვილი. სინათლის, რომელსაც შესწევს ძალა, წალეკოს ირგვლივ ჩამოწოლილი ნისლი. თუ ასეთი თვალით შევხედავთ, ჩვეულებრივი ვაჭრებიც კი შეიძლება სანჩოდ და დონ კიხოტად მოგვეჩვენოს. რა საინტერესო იქნება მაშინ ქვეყანა, რომელიც ხმარებისაგან გაცრეცილ და სიძველისაგან გაყვითლებულ წიგნს დამსგავსებია.

ასეთ საინტერესო, თავისუფალ და ლაღ სამყაროს კი ფილმში ადამიანი უპირისპირდება. დიახ, ადამიანი, რომელიც ყველაზე სრულყოფილი ქმნილებაა ბუნებისა. ორიგინალური მიგნებაა, რომ ასეთ ადამიანად სკოლის დირექტორია გამოყვანილი. მისი სახით კი ძალა, რომელიც პიროვნების ბუნებაში იმთავითვე ჩადებულ, თუ გნებავთ, გენეტიკურ კოდს თავისუფლებისა და ბედნიერების უფლებისას ჩანასახშივე აჩლუნგებს.

ჭიდილი ბოროტისა და კეთილის, 30 ვერცხლად გაყიდული რწმენა და 30 როზგი. ისტერია, სიჩლუნგე მასისა; რომელიც ერთ დიდ წყლულად შეკრულა, ფეთქავს, ბორგავს, წითლად ლაპლაპებს და სანამ არ გამოირწყვება, მისი მოშუშება შეუძლებელია. ყველაფერი ეს თითქოს გამაღიზიანებლად მოქმედებს მაყურებელზე, მაგრამ დაკვირვებისას ჩანს, რომ ეს არის ფონი, რომელზეც წინ უნდა წამოიწიოს ფილმში დასმულმა პრობლემებმა. არ არსებობს სიკეთე წინააღმდეგობის გარეშე ისევე, როგორც არ არსებობს სინათლე სიბნელის გარეშე და პირიქით.

დაკარგული რწმენის დაბრუნება.

... და რწმენამ შექმნა ადამიანი...

ალბათ არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა არის ამ კონკრეტულ შემთხვევაში სიმბოლო რწმენისა: მამის დანატოვარი წიგნი „ლუკას სახარება“, რომელიც ბებიამ წარსულიდან გადმოაპარა, თუ თვით მთავარი მოქმედი გმირი — პატარა ლუკა. არსებითი მაინც ისაა, რომ ადრე თუ გვიან „სანთელ-საკმეველი“ თავის გზას პოულობს და აქამდე მიჩუმათებული არსი არსობისა კვლავ წინა პლანზე იწევს დროებით მიჩუმათებული, რადგან ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაში — რწმენა არ შეიძლება დაიკარგოს. რწმენა არა მარტო შეუცნობლის, ცაში ან სადღაც არსებულის ღმერთის, არამედ სიკეთის, ადამიანობის, ხალასი ფერების შეგრძნების და ათი მცნების მიხედვით ცხოვრების უპირატესობის.

მოხუცი ქალის დაღლილი სახე, რომელზეც წლებს თავიანთი ნაკვალევი დაუტოვებიათ ღრმა ნაოჭებად — ლუკას ბებიაა წარსულიდან წამოსული სინათლის სხივი, რომელმაც უნდა გაანათოს სიმართლის გზა. ნდობა, რომელიც ხშირად მოტყუებული რჩება, და ქალის გულუბრყვილო, კეთილი თვალები, ის თითქოს ხიდია ძველსა და ახალს შორის. ხიდი, რომელიც საკუთარი ტანით აერთებს ორ რეალობას. აი, ამ მოლალული ადამიანის შეკითხვას: „აქ ცოცხლებს რა ვუთხრა, შვილო და იქ მკვდრებსო“ — პასუხობს ფილმის ფინალში ბებიის საფლავთან დაჩოქილი ბავშვი!.. და ალბათ, მაინც რწმენამ შექმნა ადამიანი.

ასე რომ, ფილმში დასმულ პრობლემას ლამაზი მუსიკის თანხლებით, ისევ და ისევ მივყავართ შეკითხვამდე: და მაინც რა არის ჭეშმარიტება? — ნუთუ ასე დამღლელი სიყვარული...?

**თამარ თვალიაშვილი**
*საქ. ტელე-რადიოკორპორაციის ტელე-რადიო ინსტიტუტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი*

Photo News



# მსოფლიო კინოს ვარსკვლავები

ცნობილმა ფრანგმა რეჟისორმა როჟე ვადიმმა („... და ღმერთმა შექმნა ქალი", „სახიფათო კავშირები", „მეომრის დასვენება" და სხვა), გამოაქვეყნა მოგონებების წიგნი, სადაც მოგვითხრობს მისთვის ძალიან ახლობელ ქალებზე — ცნობილ მსახიობებზე. ჩვენთვის უჩვეულო გულახდილობით დაწერილი ეს წიგნი გამოირჩევა დიდი გემოვნებით. გთავაზობთ ნაწყვეტს რეჟისორის მონაყოლიდან ყველაზე პოპულარულ მსახიობ ქალებზე, რომლებიც მისი მეუღლეები იყვნენ სხვადასხვა წლებში.

## ბრიჟიტ ბარდო

მიმდინარეობდა კანის ფესტივალი. ბრიჟიტ ბარდო უკვე იყო გადაღებული რამდენიმე ფილმში,



მაგრამ „ვარსკვლავად" ჯერ არ ელიარებინათ, ფესტივალის ხელმძღვანელობამ არ მიიწვია იგი ფესტივალზე, ბრალოდ, ბრიჟიტი თან ახლდა თავის მეუღლეს, „პარი მატჩის" ახალგაზრდა რეპორტიორს როჟე ვადიმს.

მიუხედავად იმისა, რომ საკონკურსო ფილმთა სიაში არ ფიგურირებდა არც ერთი ფილმი ბარდოს მონაწილეობით, ჩვენი ჩასვლის მომენტიდან ხდებოდა რაღაც საოცარი — ფოტოგრაფებმა თავი დაანებეს ორივე სქესის საერთაშორისო „ვარსკვლავთა" დევნას და ყველგან დასდევდნენ ბრიჟიტს: რესტორნებში, პლაჟზე, მაღაზიებში და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენს ნომერშიც კი.

მახსენდება, ერთხელ მე აღმოვჩნდი ერთადერთი ჟურნალისტი, რომელიც ინტერვიუსართმევდა ჯინა ლოლობრიჯიდას, კიმ ნოვაკსა და კირკ დუგლასს პრეს-კონფერენციებისათვის განკუთვნილ დარბაზში. გამარჩენები კი დასდევდნენ ჩემს ცოლს ანტიბის ქუჩებსა და კრუაზეტის სანაპიროზე განლაგებულ პატარა დუქნებში.

ბარდოს ფენომენი და ის ამოუხსნელი მიზიდულობის ძალა, რომელიც ეს ცხრამეტი წლის გოგო ფლობდა, რაიმე სიახლეს არ წარმოადგენდა, მაგრამ იმ წელს კანში მისმა საზოგადოებაზე ზეგავლენამ საერთაშორისო გაქანება ჰპოვა.

ბრიჟიტის მშობლებს ხელოვნება ძლიერ უყვარდათ. ჩემი შოტლანდიური პერანგი, დაუუთოებელი შარვალი და საკმაოდ გრძელი თმა არ აშინებდა მათ. გარკვეული შაბეჭდილება მოახდინა მათზე იმან, რომ მამაჩემი საფრანგეთის კონსული გახლდათ. ჩემი ნამდვილი გვარია როჟე ვადიმ მოდის. ამ უკანასკნელმა სიკვდილის წინ გაყო იმპერია თავის ვაჟებს შორის. უფროსმა ძმამ მიიღო პოლონეთსა და უკრაინის ნაწილი, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ ყველაფერი ხვდა წილად არა მის ვაჟს, არამედ ძმისწულს. სწორედ ასე დარჩა გვარი პლემიანიკოვი ჩვენს საგვარეულოს მას მერეც, როცა ის უკვე აღარ იყო სამეფო.

ბრიჟიტთან სამოქალაქო ქორწინება გაფორმდა №1 ოლქის მერიაში. ჩემი გვარით დაბნეულმა მერმა წარმოთქვა სიტყვა საერთაშორისო ქორწინებების აუცილებლობაზე, რომლებიც სასურველია მშვიდობის განვითარებისათვის მთელ მსოფლიოში და მიესალმა ჩვენს ქორწინებას, როგორც სიმბოლოს „საფრანგეთ-რუსეთის" მეგობრობისა. ბრიჟიტი ძლივს იკავებდა სიცილს. მერიიდან გამოსვლის შემდეგ ბრიჟიტი ყელზე ჩამომეკიდა. — როგორც იქნა, ეს მოხდა! მე პლემიანიკოვის ქალბატონი გავხდი.

ხელმოწერის შემდეგ პომპის ქუჩაზე გაიმართა სადილი, რომელსაც ესწრებოდნენ მხოლოდ ჩვენი ოჯახის წევრები და რამდენიმე ახლო მეგობარი. ღამის თერთმეტი საათისათვის მე შევედი ბრიჟიტის ოთახში. იგი ღამის პერანგით საწოლში იწვა. ბედნიერებისაგან სახე უბრწყინოდა. მე იქვე ჩამოვჯექი. ნახევარი საათის შემდეგ საძინებელში შემოვიდა ბრიჟიტის მამა პილუ.

— ჩემო ძვირფასო ვადიმ, ჩემი აზრით, უკვე დროა აქედან გახვიდეთ.

— სად უნდა წავიდეს? — ჰკითხა ბრიჟიტმა.

— ჩვენ მას მოვუწყვეთ საწოლი სასადილოში, — მიუგო პილუმ.

— კი, მაგრამ ჩვენ, უკვე ცოლქმარი ვართ, მამა. თქვენ რა, დაგავიწყდათ? ჩვენ ხელი მოვაწერეთ, დედამ მოაწერა, მეგობრებმაც, მეც ვთქვი „დიახ", ვადიმმაც თქვა დიახ". მე გათხოვილი ვარ. გათხო-ვი-ლი!

— თქვენ გახდებით ცოლ-ქმარი ხვალ, ეკლესიაში ცერემონიალის შემდეგ, — მშვიდად თქვა პილუმ.

— ეს კაცი გაგიჟდა!

— ბავშვივით ნუ იქცევი, ბრიჟიტ, — თქვა ბატონმა ბარდომ. მას სახე სახიფათოდ დაემანჭა. დღეს დილით შედგა უბრალო ფორმალობა, რომელსაც გვერდს ვერ აუვლი. ვადიმი გახდება შენი ქმარი ხვალ, ეკლესიაში ჯვრისწერის შემდეგ. აღელვებისაგან განითლებული ბრიჟიტი მზად იყო აფეთქებულიყო. იგი მივარდა ტანსაცმლის კარადას, რათა ჩაეცვა. მე იგი დავიჭირე და ავუხსენი, რომ ამ საღამოს იგი არ უნდა ეჩხუბოს მშობლებს. სასაცილო სიტუაცია შეიქმნა, მაგრამ ჩვენ უნდა გამოგვეჩინა კეთილგონიერება. მე არ მინდოდა, რომ ბრიჟიტს როდესმე ენანა თავისი საქციელი — სიფიცხის გამო მშობლებთან ურთიერთობის გაწყვეტა.

საბოლოოდ ბრიჟიტი დამშვიდდა და გაიცინა კიდეც:

— მაშასადამე, ქორწილის ღამეს შენ მარტო გაატარებ სასადილოში? ასეთი რამ მხოლოდ შენ შეგემთხვეოდა და ასეც მოხდა: ქორწილის ღამე მე გავატარე მარტო ვიწრო დივანზე. მე, რომელიც დავქორწინდი ყველაზე მომხიბვლელ პარიზელ ქალზე, რომელზეც ერთხელ დაიწერება, რომ ის მადას ულვიძებს მთელი მსოფლიოს მამაკაცებს.

... არსებობს მოსაზრება, თითქოს მე შევქმენი ბრიჟიტ ბარდო. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ის არავის შეუქმნია, არც მშობლებს, არც საზოგადოებას და არც პროფესიას მოუხდენია ზეგავლენა მის ნატურაზე, — იგი აცდუნებდა, წარმოქმნიდა მოდას და საბოლოოდ მთელი მსოფლიოს სექს-სიმბოლოდ გადაიქცა. მეტად, თუ ნაკლებად დაფარული მისი სიშიშვლე ყოველთვის არსებობდა კინოში, მაგრამ სიცოცხლით სავსე, მოურიდებელი, უცოდველი სიშიშვლე ბრიჟიტისა არა იმდენად გაღელვებდათ, რამდენადაც გაღიზიანებდათ. ბრიჟიტს არ ჰქონდა არავითარი საჭიროება, რომ გაეხადა, რათა მორალის მქადაგებლები შეერცხვინა.

ფილმის „... და ღმერთმა შექმნა ქალი" ცენზურასთან ჩემი შეჯახების დროს ცენზორმა მისაყვედურა, რომ ფილმის ერთ-ერთ სცენაში ფეხებამდეა გახდილი. მე კიდევ ერთხელ ვაჩვენე მას ეს სცენა, სადაც ბრიჟიტს მუხლებამდე გრძელი სვიტრი ეცვა. მაგრამ ეს კაცი მაინც გახდილს ხედავდა ბრიჟიტს და აქამდეც დარწმუნებულია, რომ მე ხელახლა გადავიღე ეს სცენა, რათა მქონოდა მისი. არა მე არ შემიქმნია ბრიჟიტ ბარდო. მე მხოლოდ ხელი შევუწყე მისი ნიჭის გაფურჩქვნას, დავეხმარე მას იმაში, რომ დარჩენილიყო ისეთი, როგორიც იყო.

და კიდევ: მე მას მივეცი როლი, რომელმაც შეაერთა გამოგონებული სახე იმასთან, რაც იყო იგი ცხოვრებაში. ნებისმიერი „ვარსკვლავის" კარიერაში არის სპეციალურად მისთვის დაწერილი როლები. ასეთი იყო ბრიჟიტისათვის ჟიულეტას როლი ფილმში „... და ღმერთმა შექმნა ქალი". აქამდე იგი უკვე გადაღებული იყო თექვსმეტ ფილმში და მხოლოდ მეჩვიდმეტემ გახადა „ვარსკვლავი".

ბრიჟიტი ხშირად აცდუნებდა რეპორტიორებს და ფოტოგრაფებს. მე, რაც შემეძლო, ვცდილობდი მომეგვარებინა ეს კონფლიქტები პრესასთან. თვითონ ბრიჟიტი არასოდეს ეძებდა რეკლამას, მაგრამ მისი გამოჩენა ყოველთვის მოვლენა ხდებოდა.

ერთხელ იგი დათანხმდა შეესრულებინა მეორე ხარისხოვანი როლი ინგლისურ ფილმში „ექიმის დილემა", სადაც მთავარ როლს დირკ ბოგარდი თამაშობდა. ეს იყო საკმაოდ უფერული კომედია. პროდიუსერებმა რეკლამისათვის რედაქციებში დაგზავნეს ფრანგი „ვარსკვლავის" ფოტოსურათი, მისი მოკლე ბიოგრაფიით. ფილმები ბრიჟიტის მონაწილეობით ლონდონში არავის ენახა, მაგრამ სახელი და გვარი ცნობილი იყო, და სასტუმრო „დორჩესტერში" პრეს-კონფერენციაზე თორმეტის ნაცვლად ოცდაათამდე რეპორტიორი და ფოტოგრაფი მოვიდა. მე ვერ შევძელი მიეჟულებინა ბრიჟიტი ნომრიდან გამოსულიყო (იგი ამტკიცებდა, რომ საზიზღრად გამოიყურებაჲ). როდესაც იგი, როგორც იქნა გამოჩნდა, ყველა ნამცხვარი, უკვე შეჭმული იყო, შამპანური დალეული და მწერალი საზოგადოებაც ცუდ ხასიათზე გახლდათ. მაგრამ მოხდა სასწაული, ამოქმედდა ბრიჟიტის პიროვნების მიზიდულობის ძალა. ფოტოგრაფები შეუსვენებლად აჩხაკუნებდნენ ფოტოაპარატებს. ბრიჟიტის დაგვიანება და სასმელის უქონლობა დავიწყებული იყო, ყველაფერი შენდობილ იქნა. ერთი ჟურნალისტი შეეკითხა: — რომელია თქვენს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი დღე?

— ღამე, — მიუგო მან.

— ყველაზე მეტად ვის აფასებთ? — ისააკ ნიუტონს.

— რატომ? — მან აღმოაჩინა ორი სხეულის მიზიდულობის კანონი.

მან ძალიან კარგად იცოდა, თავისი აზრების ჩამოყალიბება, მაგალითად: „როცა მამაკაცებს ბევრი საყვარელი ჰყავდათ, მათ დონჟუანებს ეძახიან, ხოლო როცა ქალებს ჰყავთ ბევრი საყვარელი, მათ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებად თვლიან".

... მაისში ბრიჟიტს დაეწყო გადაღებები ანრი ჟორჟ კლუზოს ფილმში „ჭეშმარიტება". კლუზო ეკუთვნოდა იმ რეჟისორებს, რომლებიც თვლიან, რომ აუცილებელია როლის შემსრულებლის ნიჭის სრულიად გამოვლენა, თუნდაც მათი ტანჯვის ფასად. თავის სიმკაცრეს განსაკუთრებით ავლენდა იგი ქალ მსახიობებთან დამოკიდებულებაში, მაგრამ ბრიჟიტ ბარდო სულ სხვა აღმოჩნდა.

გადაღებების მესამე დღეს რეჟისორმა სტაცა ხელი ბრიჟიტს მხრებში, უხეშად შეანჯღრია და დაუყვირა: — მე არ მჭირდება მოყვარულები ჩემს ფილმში! მე მჭირდება მსახიობი.

ბრიჟიტი სასტიკად ვერ იტანდა, როცა მას გულს უწყალებდნენ შენიშვნებით. და სულ არ ანაღვლებდა ის, რომ ასეთი აგრესორი აღიარებული ტალანტი იყო. მან რეჟისორს ორი სილა გააწნა ჯგუფის თვალწინ, თან დაუმატა:

— მე კი რეჟისორი მჭირდება და არა ავადმყოფი, — და პავილიონიდან გავიდა..

მას მერე გადაღებები გაგრძელდა, მაგრამ უკვე ცემა-ტყეპის გარეშე. ფილმში „... და ღმერთმა შექმნა ქალი" ბრიჟიტს შეუყვარდა ტრენტინიანი, ხოლო „ბაბეტაში" — შარიე და გააფორმა რა ჩემთან განქორწინება, მას გაჰყვა ცოლად. „ჭეშმარიტებაში", - პრესას თუ დავუჯერებთ, მას შეუყვარდა თავისი ახალგაზრდა პარტნიორი, სემი ფრეია. მან მთხოვა სტუდიაში შემევლო. „მაშასადამე, ცუდადაა". რომ უბრალოდ მომსალმებოდა არ რაიმე კეთილი ამბავი ეცნობებინა ჩემთვის.

იგი იჯდა საგრიმიოროში ხალათმოსხმული, ფეხები კი პატარა მაგიდაზე ეწყო.

ჩემო ვადიმ, მე უბედური ვარ! „ვარსკვლავს" ჯერ კიდევ არ შთაუნთქავს პატარა ბრიჟიტი.

ამ დროს, ოთახში გრიმიორი შემოვიდა, შეწუხდა იმის გამო, რომ ცრემლებს გრიმი წაეშალა, ათ წუთში ყველაფერი წესრიგში იყო.

მე ვარაფერით შევძელი ბრიჟიტის დახმარება. თანაც, მას ჩემთვის რჩევა არ უთხოვია. მას სურდა, დაეჩივლა ჩემთან, სურდა, რომ იგი შეცოდებოდათჭ, მაგრამ არ განეკითხათ. მე ვნახე ის ისეთი, როგორიც იყო და არც გამიკიცხავს.

## კატრინ დენევი

ცეკვავდა ორი ქალიშვილი. ერთი — თავისთავში ძალიან დარწმუნებული, რომელსაც შეგნებული ჰქონდა, რომ საზოგადოების მზერა მისკენ იყო მიპყრობილი. მეორე — ოდნავ დაბნეული, თუმცა თამამი გამოხედვით. პირველის გვარი გახლდათ ფრანსუაზა დორლეაკი, უკვე ცნობილი მსახიობი. მეორე კი — მასზე ორი წლის უმცროსი, მუქი ფერის საკმაოდ შეკრეჭილი თმით — კატრინ დენევი.

ხდება ხოლმე, როცა უბედური შემთხვევისას უცებ ვგრ გრძნობ, რომ სერიოზულად დაჭრილი ხარ. ეს ეხება რამოდენიმე შეხვედრას, რომლებზეც დამოკიდებულია შენი ცხოვრება. მხოლოდ სახლში დაბრუნებისას მივხვდი, რაოდენ მომხიბლა კატრინის სახემ.

კატრინი მაშინ ჩვიდმეტი წლის იყო, მე ოცდათორმეტის, მაგრამ ასაკი სულაც არ გვაშორებდა ერთმანეთს. მის მშობლებს არ სურდათ, რომ ჩვენ შევხვედროდიყავით, მაგრამ კატრინი შეყვარებული იყო და სულაც არ ჰგავდა ისეთ ადამიანს, რომელზეც მბრძანებლობა შეიძლებოდა.

იანვარში მე უნდა გავმგზავრებულიყავი მთაში გადასაღებად და მივიწვიე კატრინი. ეს იყო გადამწყვეტი ნაბიჯი: მან მამას განუცხადა, რომ გაემგზავრება ნებისმიერ შემთხვევაში — მისი ნებართვითა თუ ნებართვის გარეშე. სრულწლოვანებამდე კატრინს ცხრა თვე დარჩენოდა. და მამამაც დაუთმო მიხვდა, რომ ბრძოლა უაზრო იყო.

ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენ გადავწყვიტეთ დავქორწინებულიყავით. ბატონი დორლეაკი, ქალბატონი დორლეაკი, კატრინი და მე ვისხედით ჩრჩილისაგან დახრულ ხავერდის სკამებზე, რომლებიც ნახევარწრიულად იყო განლაგებული ნოტარიუსის მაგიდის ირგვლივ. ჩემი მომავალი მეუღლის მშობლები მოითხოვდნენ ჩვენი საქორწინო კონტრაქტის შედგენას.

ნოტარიუსი კონტარქტის მუხლებს აყალიბებდა. მისი მონოტონური ხმა მთენთავდა. ბუნდოვნად მესმოდა სამუდამო დაზღვევის შესახებ, ქონების გაყოფის შესახებ განქორწინების შემთხვევაში, მაგალითად, ვერცხლეულისა და სხვა ძვირფასეულობების, რომელიც მე არ გამაჩნდა. „ერთ-ერთი მხარის სიკვდილის შემთხვევაში, სამზარეულოს ნივთები რჩება ცოცხლად დარჩენილი მხარის სრულ საკუთრებაში" — უცბად შევჩერდი. „სამზარეულოს ნივთები" — ეს ჩემთვის უკვე მეტისმეტი იყო. — საფერფლეები? — ვიკითხე მე, — თქვენ დაგავიწყდათ საფერფლეები!

ჩვეულებრივად დიდი იუმორის მქონე კატრინმა ნაღვლიანად შემომხედა. ის ვერ იტანდა, როცა მე მისი მშობლების თანდასწრებით ვხუმრობდი.

... წვიმდა. კატრინი საწოლზე იჯდა და ყუთიდან ახლადნაყიდ მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს იღებდა. მე კი სასტუმროს მეჩვიდმეტე სართულიდან ხეებს ვუყურებდი. უცებ ტელეფონმა დარეკა. ყურმილი მე ავიღე. ეს იყო ანეტი ჩემი ქალიშვილის — ნატალის დედა. თუ მაინც დაქორწინდები, მე ნატალის წავიყვან. და ამას მე მთელი სერიოზულობით ვლაპარაკობ, შენ შეიძლება გამინაწყენდე, მაგრამ დადგება დღე, როცა მადლობას მეტყვი.

— შენ ფიქრობ, იგი შეასრულებს თავის მუქარას? კატრინმა იცოდა, თუ როგორ მიყვარდა მე ჩემი ქალიშვილი და შემომთავაზა, რამდენიმე ხნით გადაგვედო ჩვენი ქორწილი. მე ვიცოდი, რომ ის ამაზე „სამუდამოდ" დაფიქრდა.

... როცა კატრინი გავიცანი, მას ჰქონდა ორი ფარული მიზანი ცხოვრებაში — გამხდარიყო დედა და მსახიობი. მიაღწია რა როგორც ერთს, ისე მეორეს. იგი გაიფურჩქნა, იგი დაბადებული იყო იმისათვის, რომ ემბრძანებლა. ცხოვრებაზე მას ჰქონდა თავისი გარკვეული შეხედულებები, რომლებსაც ადამიანები და მოვლენები უნდა დამორჩილებოდნენ. ის დარწმუნებული იყო, რომ ყოველთვის მართალია და მარტოს შეუძლია მოუტანოს ბედნიერება სხვებს, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ყველა დაემორჩილება მის ნებას.

„შერბურული ქოლგების" გადაღება კატრინისათვის ბედნიერების მომტანი აღმოჩნდა. პირველად თავის ცხოვრებაში იგი თამაშობდა შესაფერის სახეს. ჟაკ დემიმაც წარმატებით შეძლო გამოეკვეთა მისი დახვეწილი და რომანტიკული ტალანტი. ფრანგულ კინოს სჭირდებოდა ახალი სახე, ნაკლებად მგრძნობიარე, ვიდრე ჟანა მოროს ჰქონდა და ნაკლებად აგრესიული — ვიდრე სიმონა სინიორეს. თავისუფალი ადგილი კატრინმა დაიკავა თავისი პირველი დიდი როლით.

... ჩვენი განხეთქილების შემდეგ, ჩვენ ვაჟს, სანამ ჩემთან ცხოვრობდა, მოჰქონდა ნივთებით სავსე ჩემოდანი და სია ამ ნივთებისა. თუ დაბრუნებისას, ამ ნივთებს რაიმე დააკლდებოდა, კატრინი შვილს საყვედურობდა, ხოლო მე მადანაშაულებდა იმაში, რომ მას უწესრიგობისაკენ ვუბიძგებდი. მაშინ მე და ჩემმა ვადიმმა დავაწესეთ ჩვეულება, საწოლის ქვეშ შეგვეგდო გაუხსნელი . ჩემოდანი და ვყიდულობდით ახალ ტანსაცმელს.

მე მომყავს ეს ანეკდოტი იმისათვის, რათა ავხსნა, რომ კატრინთან ურთიერთობისას ყოველთვის ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ვილაცას, უსაფუძვლო ეჭვი ჰქონდა ჩემზე. ამჟამად, ჩემთვის უფრო გასაგებია ეს ახლა, როცა ვიცი, რომ მე ვიყავი ცხოვრების თანამგზავრი ორი ფრანგი ქალისა, რომელთაც უსახსოვრეს თავის სახეები რესპუბლიკას — მარიანა ხომ საფრანგეთის სიმბოლოა, ხოლო მისი ქანდაკებისათვის სხვადასხვა წლებში ნატურად გამოიყენეს ჩემი ცოლები — ბარდო და დენევი.

## ჯეინ ფონდა

ჯეინი არ იყო შელებილი, ხოლო თმის ვარცხნილობის მიხედვით იფიქრებდით,



რომ პლაჟზე ასი მეტრი გაირბინა. ეცვა ჯინსები და მამაკაცურად შეკერილი პერანგი. მე არ ვიცოდი, რომ იმპრესარიომ მას უთხრა: „ეცადეთ სექსუალურად გამოიყურებოდეთ". ჯეინი კი პირიქით მოიქცა. მას ეშინოდა ჩემი, როგორც „ვარსკვლავების" აღმომჩენის რეპუტაციისა, მაგრამ იმ განზრახვით, რომ გავეწბილებინე თავისი გარეგნობით, მიაღწია სულ სხვას. მე ძლიერ მომეწონა მისი ბუნებრიობა.

დათანხმდა რა ჩემთან შეხვედრას, ჯეინს აზრადაც არ ჰქონია, თანხმობა ეთქვა როლზე, რომლის შეთავაზებასაც მე ვაპირებდი. მას უბრალოდ, ჩემი გაცნობა აინტერესებდა.

ჩვენ თითქმის საათი ვისაუბრეთ, ოღონდ არ მახსოვს — რაზე. სამი წლის შემდეგ, ფრენსის კოსნმა შემომთავაზა გადამეღო ფილმი „ანჟელიკა ანგელოზების მარკიზა". მას სურდა, რომ გრაფინია-ავანტიურისტის როლი ჯეინ ფონდას შეესრულებინა. ჰოლანდიიდან ფრენსისმა მიიღო დეპეშა, რომელიც მე მაჩვენა. დეპეშა იუწყებოდა: „ჯეინ ფონდა არ დაინტერესდა ამ კოსტიუმირებული ფილმით. მისი თხოვნაა გადმოგცეთ, რომ ის არასოდეს იმუშავებს როჟე ვადიმთან".

ამ მომაკვდინებელი დეპეშის მიღებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ჩემმა მეგობარმა ოლგამ თავისთან, ჯეინ ფონდას დაბადების დღეზე დამპატიჟა. რენე კლემანის ფილმის „მტაცებლების" მორიგი სცენის გადაღების შემდეგ, სადაც მას პარტნიორობას უწევდა ალენ დელონი, ჯძეინმა მოასწრო სასტუმროში შევლო, რათა ტანსაცმელი გამოეცვალა და თმა მოეწესრიგებინა. იგი მშვენივრად გამოიყურებოდა. ირგვლივ სასიამოვნო ატმოსფერო სუფევდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მე გავემგზავრე ეპინეს სტუდიაში, რათა მენახა ჟანა ანდრე- ყველა ჩემი ფილმის მხატვარი. სტუდიის ბარში ვისკს ვწრუპავდით. ქუჩაში კოკისპირული წვიმა მოდიოდა. უცებ კარი გაიღო და ჯეინი შემოვიდა. თმიდან წურწურით მოდიოდა წყალი. აქოშინებული და წვიმით დასველებული, ელვარე თვალებით, ის ძალიან ლამაზი იყო. ჩემს დანახვაზე შეცბუნდა. სწორედ ამ წუთში მივხვდი, რომ შეყვარებული ვარ.

ის იყო საოცრად ნიჭიერი მოწაფე, არასოდეს ცდილობდა მიეშვა ლაგამი და თავისი პიროვნულობისათვის გაფურჩქვნის საშუალება მიეცა. ჯეინი მეტისმეტად აანალიზებდა ყველაფერს. ყველა ჩემი ცდა მიმართული იყო, მხოლოდ იქით, რომ მას საკუთარი თავისა ერწმუნა. მე მხოლოდ ბრილიანტის დამმუშავებელი ვიყავი: ძვირფასი ქვა არსებობდა, მას მხოლოდ ბზინვარება აკლდა, რომელიც ქვას ბრილიანტად აქცევს. კარგ მსახიობს კი ვარსკვლავად".

... დედაჩემს ძალიან უყვარდა ჯეინი.

ეს უნიკალური და არაჩვეულებრივი ქალია, მეუბნებოდა დედა ჯეინზე. ის გახდება ბევრად უფრო ცნობილი, ვიდრე შენ, ვმდრე ბრიჯიტ ბარდო ან კატრინ დენევი. მას გაიტაცებს დიდი მიზნები და მამაკაცები, რომლებიც მას შეუქმნიან საზოგადოებრივ იმიჯს. ძალიან მალე ის იგრძნობს, რომ მისთვის არ არის საკმარისი მარტო მსახიობად ყოფნა, იგი მეტს მოითხოვს.

მე მესმოდა, რომ ჯეინი საკუთარ თავს ეძებდა, მაგრამ ვიმედოვნებდი, რომ ბედნიერი სიყვარული, წარმატებები პროფესიაში და შესაძლებელია ბავშვი დადებითად იმოქმედებდნენ მის ძიებაზე. ჩემი სიბრმავის გამართლება შეიძლება თვით ჯეინის საქციელში ვეძებოთ. ის აღმოჩნდა იდეალური დიასახლისი. ეს არის კიდევ ერთი თვისება მისი ხასიათისა. სწრაფვა სრულყოფისაკენ.

მიუხედავად ამისა, ის თვითონაც განაცხადებს, ათი წლის შემდეგ, რომ მე არასოდეს მიცდია გამეხადა ჯეინი სახლის მონა. მე ეს არც სხვა ცოლებთან მიცდია და რაღა მაინცდამაინც ჯეინთან მოვიქცეოდი ასე?!

ბრიჟიტ ბარდოსაგან განსხვავებით, რომელსაც არ რცხვენოდა თავისი სიშიშვლისა, ჯეინი თავს უბედურად თვლიდა, როცა მას გადაღებებზე გახდა უხდებოდა. იგი არ თვლიდა თავს ალნაგად. მაყურებლებს, რომელთაც მიეცათ შესაძლებლობა დამტკბარიყვნენ მისი სხეულის სრულყოფილებით, „ბარბარელაში", ამის დაჯერება გაუჭირდებათ.

ეს გადაღებები ჯეინისათვის მეტად რთული იყო. იგი იცვამდა რკინის კორსეტს და ამწეზე ეკიდა მიწიდან ათი მეტრის დაშორებით. კოსტიუმები ძალიან მოუხერხებელი იყო. ჯეინი ავლენდა ვაჟკაცურ მოთმინებას. მისი წყალობით, შეიქმნა ძალიან სასიამოვნო ატმოსფერო, რაც დიდი იშვიათობაა კინოში, მითუმეტეს, როცა ტექნიკურად რთული ფილმი იქმნება.

დაცილება ყოველთვის უფრო ძნელია იმისათვის, ვისაც ტოვებენ, ვიდრე იმისათვის, ვინც ტოვებს.

ვიცოდი რა, რომ ჩვენი განხეთქილება იყო მხოლოდ დროის საკითხი, მე შემეძლო თვითონ გადამედგა გადამწყვეტი ნაბიჯი და ყველაფერი ჩემს თავზე ამეღო. მე ვაყოვნებდი.

სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი მე მტოვებდა არა სხვა მამაკაცის გამო, არამედ თავისი თავის გამო.

ჯეინმა იპოვა თავისი გზა. დადგა ძველი ტყავის მოშორების დრო.

**მოამზადა**
**ქეთი ჩადუნელმა**

SPORT **სპორტის სამყარო** SPORT

# გერმანელები წელს უთასოდ დარჩებიან

13 მაისი. ეს დღე ქართველი ფეხბურთის გულშემატკივრებისათვის ბევრს ნიშნავს. ზუსტად 17 წლის წინ თბილისის „დინამომ" თასების თასის ფინალში გერმანიის „კარლ-ცაისი" დაამარცხა და ქართველ ხალხს დიდი სიხარული მოუტანა. ისტორია განმეორდა. წელსაც, როგორც ჩვიდმეტი წლის წინ გერმანელები სამშობლოში უთასოდ დაბრუნდნენ. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჟამად დინამოს მაგივრად „ჩელსი" იყო მიზეზი გერმანელების განბილებისა.



თამაშის წინ გულშემატკივრებს უჭირდათ რომელიმე გუნდისთვის უპირატესობის მინიჭება. ძირითადი მიზეზი ძოლას მოედანზე გამოსვლა-არგამოსვლა იყო. როგორც იცით „ჩელსის" მთავარი დამრტყმელ ძალას იტალიელები წარმოადგენენ და მათ შორის გუნდის ლიდერი ჯან ფრანკო ძოლაა. პირველი ტაიმი ორმხრივი იერიშებით დაიწყო. თავიდან გერმანელები აქტიურობდნენ. მათ ჩელსის კარისკენ საკმაოდ სახიფათო იერიშებიც განახორციელეს. გოლის გატანის აშკარა შანსები გაუშვეს ხელიდან ბობიჩმა და აკბორომ, მაგრამ ყველაზე რეალური მომენტი კი ბალაკოვს ქონდა. ბულგარეთის ნაკრების ამჟამინდელმა ლიდერმა ცრუ მოძრაობით ჩამოიტოვა მეტოქის ორი ფეხბურთელი და რატომღაც მეკარეს დაუმიზნა ბურთი. ადვილი წარმოსადგენია, როგორ შოკში ჩავარდებოდნენ შტუდგარტის ფანები.

ლონდონელებმა ვიალის თამადობით ნელ-ნელა დაალაგეს თამაში. ეტყობა „ვიალის" სხვა მწვრთნელებისაგან განსხვავებით უშუალოდ მოედნიდან უფრო ეხერხება თავისი გუნდის თამაშის ორგანიზება. იგი აქტიურად ირჯებოდა შეტევაში, ამავე დროს არც უკან ჩამოსვლას და შავ სამუშაოს თაკილობდა, რითაც კარგ მაგალითს აძლევდა თავის ფეხბურთელებს. მას მხარი აუბა მეორე თავდასმხელმა ნორვეგიელმა ფლომ. პირველი ტაიმის შუაგულში მან მისთვის არადამახასიათებელი ტრიუკი ჩაატარა. საჯარიმოში შესულმა მოწინააღმდეგე გუნდის მცველს ბურთი თავზე გადაუგდო. წინ გამოსულ მეკარეს იგივე გაუკეთა. სამწუხაროდ მან ოდნავ ააცილა კარებს ბურთი. ეს იყო და ეს. პირველ ტაიმში ღირშესანიშნავი არაფერი მომხდარა.

მეორე ტაიმი ლონდონელებმა აქტიურად დაიწყეს. როგორც ეტყობა ვიალის თავის მოთამაშეები შესვენებაზე კარგად დაუმოძღვრია. ისინი საჯარიმოს მისადგომებთან კარგ კომბინაციებს ათამაშებდნენ. ერთ-ერთი ასეთი შეტევის დროს მეტად სახიფათოდ ურტყავს ვაიზი. ლონდონელთა სამწუხაროდ ბურთი ოდნავ ასცდა კარს. თითქოს ამ მომენტს ელოდნენო გუნდები თამაშმა მეტად უინტერესო ხასიათი მიიღო. ფეხბურთელები მოდუნდნენ. როგორც ეტყობა პირველ ტაიმში აღებულმა ტემპმა ფეხბურთელები საგრძნობლად გადაღალა. სწორედ ამ დროს მოედანზე ძოლა გამოჩნდა. მისი პირველივე შეხება ბურთთან ლამაზი ლოგით დამთავრდა. თამაშიდან გამომდინარე ადვილი შესაძლებელია, რომ ეს გოლი მოგების ტოლფასი ყოფილიყო. როგორც აღმოჩნდა თასის ბედი სწორედ ვიალის მიერ სწორად გაკეთებულ შეცვლას მოჰყვა.

თამაშის მიწურულს „ჩელსის" ანგარიშის გაზრდაც შეეძლო. შეტევაზე გადასულ გერმანელებს „ჩელსის" კონტრშეტევა გამოეპარათ. მარცხენა ფრთაზე გაჭრილმა გრემლ ლესოს ნაცვლად მოთამაშე გრენ ვილმა ღრმა რეიდი განახორციელა. სამწუხაროდ, მან საჯარიმოს მისადგომებთან უხეიროდ ითამაშა და ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა დაკარგა.

ოცდაშვიდი წლის შემდეგ ლონდონურმა კლუბმა კვლავ მოიგო ეს საპატიო ჯილდო. მის მწვრთნელს ჯან ლუკა ვიალის კი ამიერიდან ხელს ვერაფერი შეუშლის ისტორიაში რომ შევიდეს. მოთამაშე მწვრთნელმა პირველსავე სეზონში გუნდს ჯერ ქვეყნის თასი მოაგებინა, შემდეგ კი თასების თასიც მიაყოლა ზედ. აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ ჩელსის გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვის მოთამაშე მწვრთნელს რუდ გულიტს. ვიალამდე იგი ედგა სათავეში გუნდს და ამ გამარჯვებებს საფუძველი სწორედ მან ჩაუყარა.

# ოლეგ ბლოხინი კიევში ევროპული ტიპის საფეხბურთო სკოლის ჩამოყალიბებას აპირებს

**– თქვენ ალბათ არასდროს დაგავიწყდებათ 1989 წელი, თქვენი გაცილება დიდი ფეხბურთიდან, გულშემატკივართა მიერ მოძღვნილი სიმღერა და ალალი ცრემლები თვალებზე.**

- ამის დავიწყება მართლაც შეუძლებელია. ეს ჩემთვის დიადი წუთები იყო, რომელთა განცდაც ადამიანს შეიძლება მხოლოდ ერთხელ მოუხდეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში. თუმცა ამასთან ერთად ეს პერიოდი ურთულესი იყო ჩემს ცხოვრებაში. მშვენივრად მესმოდა, რომ უკვე 37 წლის ვიყავი და საჭირო იყო საყვარელ საქმიანობას ჩამოვცილებოდი. რაოდენ რთულიც არ უნდა ყოფილიყო, მაინც საჭირო იყო ამ ნაბიჯის გადადგმა.

**– თქვენ იმავე 19890-ში მიატოვეთ უკრაინა. რატომ? ნუთუ აქ თქვენთვის სამუშაო არ გამოჩნდა?**

- ეს სხვებს ჰკითხეთ და არა მე. მე რომ მაშინ წინადადება მქონოდა თუნდაც ლობანოვსკის მეხუთე ან მეექვსე ასისტენტობაზე, ან მეორე შემადგენლობაში მწვრთნელად მუშაობაზე, არსადაც არ წავიდოდი. მაგრამ მსგავსი წინადადებით არავის არ მოუმართავს. სიტყვაც კი არავის დაცდენია.

**– ნაწყენი ხართ?**

- ახლა უკვე აღარ, წყენამ გამიარა. უბრალოდ გარკვეული გამოცდილება შევიძინე იმ პერიოდში და ამითაც კმაყოფილი ვარ.

**– მაგრამ თქვენი დიდების მწვერვალზე ყოფნისას ალბათ ვერც კი წარმოიდგენდით, რომ შეიძლებოდა ასე მოგქცეოდნენ?**

- ასეა. ახალგაზრდობისას ადამიანს უჭირს რაიმე ცუდის წარმოდგენა. მე და ჩემი თანაგუნდელები ვერც იმას ვიფიქრებდით, რომ ოდესღაც ფეხბურთს თავს დავანებებდით. როცა თამაშობ და შენით კმაყოფილები არიან, ამაზე უბრალოდ არ ფიქრობ, სმაგიეროდ ადრე თუ გვიან ამგვარ პრობლემებს მაინც აწყდები.

**– შემდეგ იყო ხანგრძლივი მოღვაწეობა საბერძნეთში და დაბრუნება სამშობლოში. ამ დროს თქვენ მიიღეთ წინადადება სამხრეთ აფრიკის ნაკრებს ჩადგომოდით სათავეში?**

- ასეთი სერიოზული წინადადება მარ- თლაც იყო, მაგრამ მცირეოდენი ფიქრი შემდეგ თავი შევიკავე, თუმცა თავდა- პირველად თითქოს დავთანხმდი კიდევაც. იცით რაშია საქმე, საბერძნეთში მუშაო- ბისას გამუდმებით მენატრებოდა კიევ ეს ხომ ჩემი მშობლიური ქალაქია, და ამის შემდეგ კიდევ იმ სიშორეზე წას- ლა და წლების განმავლობაში იქ მუშაობა არა, ეს მართლაც აუტანელი იქნებოდა ჩემთვის. რომელიმე დასავლელ სპეცია- ისტს ეს მიზეზი შეიძლება სასაცილო დაც არ ეყოს, მაგრამ მათთან სხვ სიტუაციაა. ხომ იცით, ჩვენი ხალხი მაინ სხვანაირია.

**– აფრიკაზე გასაგებია, მაგრამ ოდე- სა ხომ გაცილებით უფრო ახლოა კიევ- იდან? რამდენადაც მახსოვს, თქვენ იქაც გიწვევდნენ?**

- მიწვევდნენ და გარკვეული დროი განმავლობაში ვმუშაობდი კიდეც. მე ჩერ- ნომორეცის ფინანსურ საკითხებს ვაგვარე- დი, მაგრამ დარჩენა არ ვისურვე, რად- გან იქ მწვრთნელად ვერ ვიმუშავებდ ბურიაკი თავადაც ჩინებულად უძღვებო და საქმეს. თანაც ახალი კანონები შესაბამისად უკრაინაში მომუშავე ფე- ბურთის მწვრთნელს აუცილებლად უნდ ჰქონდეს ფეხბურთის ფედერაციის მიე გაცემული ლიცენზია, რომელიც მე არ გამაჩნია.

**– განა ამ ლიცენზიის აღება თქვენთვი რამე პრობლემას წარმოადგენს?**

- არა, მაგრამ მგონი იმის ღირსი ვარ, რომ ყოველგვარი კურსების გარეშ მომცენ ეს ლიცენზია. ვგულისხმობ არ ჩემს წარსულ დამსახურებებს, არამე კვალიფიკაციას.

**– გაგაჩნიათ საკუთარი ბიზნესი?**

- მაინცდამაინც სერიოზული არაფერ ისე, წვრილმანები მხოლოდ.

**– არც აპირებთ?**

- მე და ჩემს მეგობრებს განზრახუ- ლი გვაქვს კიევში ევროპული ტიპ საფეხბურთო სკოლის ჩემიყალიბება. ამ- ჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები სპონ- სორებთან და მალე ალბათ პრაქტიკუ საქმიანობასაც შევუდგებით.

# გაზას ახალი ტიინი

პოლ გასკოინი რომ არაორდინალური ხასიათების პატრონია ყველას კარგად მოეხსენება. ამ ცოტა ხნის წინ გლენ ჰოდლმა სენსაციური განცხადება გააკეთა. საქმე ეხება გაზას თამბაქოს მიმართ მიდრეკილებას. ინგლისელმა მწვრთნელმა პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც დიდი დრო დაუთმო გასქოინის ცუდ თვისებებსა და განსაკუთრებით აღნიშნა თამბაქოს მიმართ გაზას მიდრეკილება. როგორც ეტყობა, ინგლისის ნაკრებს გაზა ძალზედ სჭირდება, ამიტომ ჰოდლმა გააკეთა ასეთი განცხადება: „მე არ ვაპირებ ჩემი ვარსკვლავი სიგარეტს გადავაჩვიო. როგორც მოეპრიანება ისე მოიქცეს, ოღონდ კი ითამაშოსო." თურმე, სიგარეტის მოწევა გასქოინს რომში დაუწყია. მიუხედავად ამისა, ჰოდლმა იგი იმ 30 კაცის განაცხადში შეიყვანა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატისათვის მოემზადება. ალბათ ეჭვი არავის ეპარება, რომ გაზა 22 კაცშიც მოხვდება. ჩვენი აზრით ახლა აზრი არა აქვს მისთვის რაიმე პრეტენზიების წამოყენებას. მსოფლიოს ჩემპიონატამდე გასქოინი სიგარეტს თავს მაინც ვერ დაანებებს და უაზრო მოთხოვნებმა შეიძლება ავნოს კიდევაც ფეხბურთელს.

შეგახსენებთ რომ სიგარეტს ეწეოდა ისეთი ვარსკვლავი, როგორიცაა არგენტინელი არდილესი. მას დღეში 40 ღერიც კი არ ჰყოფნიდა. რამდენს მოძრაობდა მინდორზე ეს ფეხბურთელი სტაჟიან გულშემატკივრებს კარგად ემახსოვრებათ. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სიგარეტს თვით სოკრატესიც კი ეწეოდა. მას არც დავიდ ჟინოლა ჩამორჩება.

ძალზე ადვილი შესამჩნევია, ლონდონის ერთ ფეშენებელურ რესტორანში თუ როგორ ეწევა სიგარეტს ჯანლუკა ვიალი. არადა ეს უკანასკნელი „ჩელსის" მოთამაშე მწვრთნელია და თავის მოთამაშეებს სიგარეტის წევასაც უშლის.

„მაგრამ ერთი კი შემიძლია შეგპირდეთ, მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ვერც გაზა და ვერც სხვა საჯაროდ ერთ ღერსაც ვერ მოსწევს." — განაცხადა პრეს-კონფერენციის ბოლოს ჰოდლმა.

# ქინქლაძე როგორც იქნა კარგ გუნდს ეღირსა

ქართველ ფეხბურთელებში ამხელა თანხა ჯერ ერც ერთ გუნდს არ გადაუხდია. საქმე ეხება ქინქლაძის გადასვლას „აიაქსში". აიაქსმა" ამ გარიგებაში „მანჩესტერ სიტის" 8,2 მილიონი დოლარი გადაუხადა. ამხელა თანხა საუკუნოვანი ისტორიის მქონე გუნდს ჯერ არ გადაუხდია. როგორც ეტყობა ოლსენს ქინქლაძის თამაში ძალზედ მოსწონებია და კატეგორიულად მოუთხოვია „აიაქსის" ხელმძღვანელობისათვის ამ ბიჭის შეძენა, მით უმეტეს, რომ გუნდიდან წავიდა ლაუდრუპი. ლაუდრუპი კი იმ ფეხბურთელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც განაგებდა „აიაქსის" თამაშს. ოლსენის მიერ გუნდის მეპატრონეთა ასეთ იოლ დაყოლიებაში შოთა არველაძის ტრანფერმაც იმოქმედა. როგორც ქინქლაძეში, ისე შოთაზე ოლსენი კატეგორიულად მოითხოვდა მის ყიდვას. აღმოჩნდა, ოლსენი მართალი იყო, ქინქლაძის პრეზენტაციაზე ოლსენმა განაცხადა „გიორგი ქინქლაძეს 1993 წლიდან ვადევნებ თვალს, როგორც „სიტის" შემადგენლობაში, ასევე ნაკრებში. მან ამ ხნის განმავლობაში აშკარა პროგრესი განიცადა და ახლა იგი მომწიფებულია ისეთი დონის გუნდში გადასასვლელად, როგორიც „აიაქსია". ქინქლაძეს ყოველნაირად შევუწყობ ხელს რომ ფეხბურთის გარდა მან არაფერზე იფიქროს, ვეცდებით მისგან მაღალი კლასის ფეხბურთელი დავაყენოთ."



ქინქლაძეს თავის ახალ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი აქვს უკვე გაფორმებული. იგი წლიურად ხელფასად 800 ათას ფუნტ სტერლინგს მიიღებს. რაც აგრეთვე ჩვენი ფეხბურ- თისთვის სარეკორდო თანხაა. „აიაქსის გულშემატკივრები გაოცებულნი კითხუ- ლობენ ვინ არის ეს ბიჭი, რომ ამხელ თანხა გადაიხადეს მასშიო და ხელფას საც საკმაოდ დიდს რომ აიღებსო.

იმედია ქინქლაძე ღირსეულ პასუხ გასცემს „აიაქსის" გულშემატკივრებს და ნაყოფიერად გამოიყენებს იქ გატარე- ბულ წლებს.

# ლონდონის არსენალი მომავალი წლის ჩემპიონთა ლიგასთვის ემზადება

ინგლისის წლევანდელი სეზონის ჩემპიონმა, ლონდონის არსენალმა უკვე მომავალი სეზონისთვის დაიწყო მზადება. ამ თადარიგის დაჭერა უპირველეს ყოვლისა იმაში გამოიხატა, რომ ინგლისურმა კლუბმა გამოთქვა რამდენიმე ფეხბურთელის შეძენის სურვილი. კერძოდ, არსენალის მენეჯერმა, ფრანგმა არსენ ვენგერმა თვალი დაადგა იტალიელ ვარსკვლავს, რობერტო ბაჯოს, რომელიც ამჟამად იტალიურ ბოლონიაში გამოდის. ბაჯომ სერია A-ში წელს 20 ბურთი გაიტანა და თავისი არც თუ ურიგო თამაშის წყალობით კვლავ გაუჩნდა იმედი, რომ ისევ მოხვდება იტალიის ნაკრების შემადგენლობაში. ბოლონია, პრინციპში არ არის წინააღმდეგი შეელიოს ბაჯოს, რაშიც იგი 4 მილიონ ფუნტს ითხოვს. მაშინ, როცა არსენალი მხოლოდ 2,75 მილიონს სთავაზობს. ერთი სიტყვით, მოლაპარაკებები ჯერ კიდევ წინ არის, თუმცა ინგლისელები ეხლავე აცხადებენ, რომ ამ ტარნსფერის მიზანს წარმოადგენს სურვილი, რათა გუნდში დენის ბერგკამპის სტილის კიდევ ერთი მოთამაშე იყოლიონ. მართალია ბერგკამპი არსენალიდან არსად არ აპირებს წასვლას, მაგრამ ვენგერის აზრით ბერგკამპი და ბაჯო ხელს ერთმანეთს ნამდვილად არ შეუშლიან და ერთობლიობაში კიდევ უფრო გააძლიერებენ გუნდს.

გარდა ამისა, არსენალს თავის რიგებში ინტერის ნიგერიელი ლეგიონერის, ნვანკო კანუს ხილვაც სურს. კანუ გულის მძიმე ოპერაციის შემდეგ ჯერ კიდევ შორს არის სასურველი ფორმისგან, მაგრამ როგორც ჩანს ინგლისელებს სჯერათ მისი ძალების და მზად არიან 21 წლის ფეხბურთელში საკმაოდ სოლიდური თანხა გაიღონ.

# კოლოსკოვმა ფიფას ვიცე-პრეზიდენტობა დაკარგა

**გთავაზობთ მოკლე ინტერვიუს მასთან.**

**— მკითხველთათვის მართლაც საინტერესო იქნება, თუ როგორ მიმდინარეობდა დუბლინში არჩევნები?**

— თავდაპირველად როგორც ეს ხშირად ხდება, მიმდინარეობდა ფინანსური საკითხებისა და სხვა საკითხების განხილვა. არჩევნები მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო. უეფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრის ექვს ვაკანტურ ადგილზე 14 კანდიდატი აცხადებდა პრეტენზიაცს. აქედან 6, მათ შორის მეც, წინა შემადგენლობაში შევდიოდით. პირველ ტურში არჩევნებისთვის მინიმუმ 27 ხმის მიღება იყო საჭირო. შეგახსენებთ, რომ არჩევნებში სულ 51 ფედერაციის წარმომადგენელი მონაწილეობდა. მე 34 ხმა დავაგროვე, ეს IV შედეგი იყო და ბუნებრივია ექვსეულშიც მოვხვდი. ამის შემდეგ შედგა ფიფას ვიცე-პრეზიდენტის არჩევნები. ევროპისათვის განკუთვნილ ორ ადგილზე პრეტენზიას შვედი ლენარტ იოჰანსონი, იტალიელი ანტონიო მატარეზე და მე ვაცხადებდით. მანამდე იოჰანსონი უეფას პრეზიდენტად აირჩიეს და ერთი ადგილიც ავტომატურად შეივსო, ხოლო ჩემი და მატარეზეს პაექრობაში იტალიელმა იმარჯვა ანგარიშით 24:23.

**— რამ განაპირობა თქვენი მარცხი?**

— აქ სხვადასხვა მიზეზების მოყვანა შეიძლება, მაგრამ ძირითადი გახლავთ ის, რომ მატარეზე ლენარტ იოჰანსონის დიდი სიმპათიებით სარგებლობს, და იტალიელი მისი გუნდის წევრად ითვლება, მეტსაც გეტყვი მატერეზე უეფაში იოჰანსონის ფიფას პრეზი- დენტად შარდგენის სტრატეგიულ ჯგუფს ხე- ლმძღვანელობს. ასეთ პირობებში რთული იყო იტალიელთან პაექრობა. ფაქტია, რომ მე ხმ მთელმა დასავლეთ ევროპამ მომცა. სამაგი- ეროდ, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა, სომხ- ეთმა, აზერბაიჯანმა და ბულგარეთმა ჩემ წინააღმდეგ გაილაშქრა. თუ ბალტიისპირელე- ბი არაფერს მპირდებოდნენ, სომხები და აზ- ერბაიჯანელები კენჭისყრის დაწყებამდე სიტყ- ვას მაძლევდნენ რომ მე მათი მტკიცე მხ- არდაჭერა მექნებოდა. არადა გამარჯვების მო- საპოვებლად მხოლოდ ერთი ხმა დამაკლდა

# ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიაში ვარდები გაყვავებას ლამობდნენ...

სიმყუდროვე და სიმშვიდე სუფევდა რკინის კარებს მიღმა. სიმართლე გითხრათ, ვღელავდი და ერთგვარი შიშის გრძნობაც კი მქონდა ჩემთვის ჯერ უცნობ სამყაროში შესვლისას. ეს კოლონია გახლავთ, ზემო ავჭალის არასრულწლოვანთა შრომა-აღმზრდელობითი კოლონია. მე არ ვიცოდი, რა დამხვდებოდა იქ, რა განწყობით შემხვდებოდნენ იქაური მასპინძლები. შორიდანვე შევნიშნე ეკლესიის გუმბათი და ჩემს სულშიც სიმშვიდე ვიგრძენი. ჩვენს კოლონიაში ისეთი პირობები გვაქვს, საქართველოში დღევანდელი სოციალური მდგომარეობის გამო, ბევრს



შეშურდებაო — მითხრა საუბარში კოლონიის უფროსმა ბატონმა **კობა გვარამაძემ**, — ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ბავშვებმა აქ თავი ნამდვილ ადამიანებად იგრძნონ.

აქ ორი წლის წინ რომ მოსულიყავით, საგანგაშო ვითარებას ნახავდით. ავარიული მდგომარეობის გამო საცხოვრებელი კორპუსი ნგრევის პირას იყო მისული, რომელიც საბოლოოდ პატიმრების ბუნტის შედეგად დაიწვა. ჩვენ ახალი საცხოვრებელი კორპუსი ავაშენეთ. ბნელი, საკნების მსგავსი ოთახების ნაცვლად, ყაზარმული ტიპის საცხოვრებელი მოვაწყვეთ. ისე რომ, ნებისმიერ სამხედრო ნაწილს არ ჩამოვუვარდებით, — თქვა ბატონმა კობამ.

კოლონიაში 63 მსჯავრდადებული იხდის სასჯელს. ძირითადად, პირადი ქონების ქურდობისა და ყაჩაღობისათვის. უარესის მოლოდინში ასეთი მდგომარეობა, ცოტა არ იყოს, უკეთესადაც კი მომეჩვენა. ბავშვებს, მოგეხსენებათ, თავისუფალი დროის პრობლემა არა აქვთ. სპორტული მოედნები და სხვა ათასგვარი გასართობი საშუალება მათ დროის კარგად გაყვანაში ძალიან ეხმარება.

კოლონიამ თავისი ძალებითა და მოზარდთა თავგამოდებული შრომით, ორი წლის წინ ეკლესიაც ააშენა. ისინი ღმერთთან ახლოს ყოფნას ცდილობენ. ბევრი მათგანი საეკლესიო ცხოვრებასაც ეწევა. ჰყავთ მოძღვარი, რომელიც თვეში რამდენჯერმე მიდის მათთან. არ არსებობს ნორმალური ადამიანი, რომელიც ანალიზს არ უკეთებდეს თავის ქმედებას. უმეტესობა ამბობს, რომ აქეთ მომხედნი არ არიან. 80-90% ფიქრობს, რომ აღარ ჩაიდენს დანაშაულს. ყველა დანაშაულს თავისი მიზეზი აქვს. ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ ერთი ოჯახი ვართ. ეს ბავშვები თითქმის ჩვენს ხელში იზრდებიან და ვაუკაცდებიან, ამიტომაც საკუთარი შვილებისაგან ვერ ვანსხვავებთ, ურთიერთობაში ვერ ვგრძნობთ, რომ პატიმრები არიან. მათთვის ჩვენი სიმკაცრეც კარგად არის ცნობილი, მაგრამ როგორც ყველა ოჯახში, აქაც მამაშვილური ატმოსფერო სუფევს, — აღნიშნა ბატონმა კობამ.

კოლონიაში სალამოს 39-ე საშუალო სკოლა ფუნქციონირებს. მე გამაოცა ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების მოწყობილობამ. აქ ყველა საგანი ისწავლება. მოსწავლეებიც შეძლებისდაგვარად ეუფლებიან ცოდნას. მომავალი წლიდან კომპიუტერულ სწავლებასაც დაიწყებენ. ბავშვებს სამჯერადი კვება აქვთ და ყოველ შემთხვევაში, შიმშილის პრობლემა არ აწუხებთ.

ისინი საოცრად ბავშვურები და სანდომიანები არიან. ასაკი 14-დან 18 წლამდე მერყეობს. ამაოდ დაშვრება ის, ვინც მათ თვალებში გაბოროტებას დაინახავს. „მე აქედან რომ გავალ, ნორმალურ ცხოვრებას დავიწყებ, ყველაფერს ვეცდები, რომ მეორედ აქ აღარ მოვხვდე, — თქვა ერთ-ერთმა მათგანმა. დანარჩენებიც ასე ფიქრობენ, მაგრამ ... სწორედ ეს მაგრამ აღმოჩნდა ყველაზე მწარე და ტკივილიანი. მათ მართლაც სურთ წყნარი ცხოვრება, სიკეთის კეთება და შრომა. გარეთ გასულებს აქვთ კი გარანტია, რომ არსებული სოციალური და მატერიალური პირობები საშუალებას მისცემთ, აღარ გაიმეორონ კიდევ ერთი, საბედისწერო შეცდომა. „სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მათ დასაქმებაზე. პატრონი უნდა გამოუჩნდეთ. ამაში არ იგულისხმება მხოლოდ დედა და მამა. საზოგადოებაც უნდა დაფიქსირდეს“, — მე ვეთანხმები ბატონ კობას.

ბავშვები კოლონიაში ისეთივე ბავშვებად დარჩნენ, როგორებიც იყვნენ. „მხოლოდ თავისუფლება“, — სევდიანად მითხრეს. მათ ყველაფერი ენატრებათ, კოლონიას ლამაზი ტყიანი გორები აკრავს გარს, რომელთაც ყოველდღე ნაღვლიანად გაჰყურებს 63 წყვილი თვალი. რატომღაც თავისუფლებაწართმეული შვლის ნუკრი გამახსენდა, რომელიც საწყალობლად შებღაოდა ხოლმე თავის მშობლიურ კერას. სიყვარული ენატრებათ. ბევრს საცოლე ჰყავს და სახლში დაბრუნების წყურვილს ეს უფრო უძლიერებთ.

— ჩვენზე დიდი დამნაშავეები გარეთ, რბილ ადგილებზე არიან მოკალათებულნი, ჩვენ კი უბრალოდ, პატრონი არ გვყავდა. დანაშაული, კარგი იქნებოდა არ ყოფილიყო. ეს ჩვენგან გაუცნობიერებლად მოხდა, მონანიება ადამიანისათვის ბევრს ნიშნავს. ჩვენი სინანული მომავალი ცხოვრების საწინდარია. გვჯერა, რომ ზნეობრივად გადავრჩებით და ჩვენში გამარჯვებული ყოველთვის პიროვნება იქნება, — მეც მათთან ერთად მწამს და მათი გულწრფელობის მჯერა.

სანამ ჩემს წინ რკინის ეს მძიმე კარები გაიღებოდა, რატომღაც იქაურობა შავ ფერებში მესახებოდა. არ ველოდი კოლონიის არც ასეთ პირობებს და არც მის ბინადართა ასეთ განწყობილებას. ციხე ციხეა, იგი არ შეიძლება იყოს კეთილმოწყობილი აგარაკი. მაგრამ ულიმღამობა მას ნამდვილად არ ეტყობოდა. ბინადარნი კი ისეთი სათუთნი იყვნენ, გული დამწყდა და ამ ქვეყანაზე დანაშაულის არარსებობა ვინატრე. თანამშრომლებისა და მოზარდების კარგმა ურთიერთობამ გამამხნევა, რწმენა გამიჩნდა, რომ აქედან გასული ადამიანი, როგორც ბევრს ჰგონია, განწირული არ იქნება, ზნეობას საბოლოოდ არ დაკარგავს და საზოგადოებას ბევრ რამეში გამოადგება.

დიდი სითბო და სიყვარული მომყვებოდა იქიდან წამოსულს, მთელი დღე ვერ მოვისვენე. გულში მძიმე სევდამ დაივანა, ბავშვობადაკარგული მოზარდების ბედმა სული ამიფორიაქა. ეკლესიის ახლოს, ვარდების ბუჩქები გაყვავებას ლამობდნენ. გარეთ კი ცხოვრება ჩვეული მდორე რიტმით მიედინებოდა...

**მაკა სვიმონიშვილი**

# ვინ უნდა აგოს პასუხი კომისიის შეცდომაზე?

ჩაის სუფსიდიაზე გამართულ ტენდერში ფირმა „მარტინ ბაუერს“ მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა არ მისცესო, გახმაურდა რამდენიმე ხნის უკან. ტენდერის კომისიას არგუმენტად მოჰყავდა ის, რომ „მარტინ ბაუერი“ გერმანული კაპიტალით შექმნილი უცხოური ფირმა გახლავთ.



აღნიშნულის გამო, ფირმის გერმანულმა ხელმძღვანელობამ საქართველოში საქმიანობაზე უარი განაცხადა, ვიდრე არ გაარკვევდა, რატომ დაირღვა შეთანხმება გერმანიასა და საქართველოს შორის. არადა, „მარტინ ბაუერი“ პირველი იყო, ვინც ამ დარგში სამუშაოდ შემოვიდა ჩვენში და დარგის განვითარებას შეუწყო ხელი. დღეს იგი ჩაის მრეწველობის 65%-ს აწარმოებს.

იმ ფონზე, როცა ჩვენთან ამა თუ იმ დარგის განვითარება უცხოური ინვესტიციების გარეშე თითქმის შეუძლებელს ჰგავს, უკვე შემოსული ინვესტიციების შეგნებულად დაკარგვა ან უცხოური ფირმებისთვის დარგის განვითარებაში ხელშეშლა უცნაური უნდა იყოს.

მართლაც, საინტერესოა, ვინ და რატომ დაარღვია ხელშეკრულება საქართველო-გერმანიას შორის ინვესტიციების დაცვის თაობაზე?

კომისია შეცდა, — იყო პასუხი სიმართლის დადგენის მცდელობის შემდეგ. ტენდერის კომისიის შეცდომა როგორღაც არაშემთხვევითს ჰგავდა, თუმცა ამის კომენტირებაზე თვით ფირმის ხელმძღვანელობა თავს იკავებს და იმითაც კმაყოფილდება, რომ მაღალ ეშელონებში ეს შეცდომა კარგად ესმით და იგი გამოსწორდება.

— არის იმედი იმისა, რომ ფირმა მომავალ ტენდერში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს, — აცხადებს „მარტინ ბაუერ გეორგიენის“ პრეზიდენტი ბატონი **დავით დუმბაძე**.

საინტერესოა, მავანნი და მავანნი რატომ არ აღებინებენ ტენდერში მონაწილეობას ისეთ ძლიერ ფირმებს, რომლებსაც შეუძლიათ ნამდვილად გაუძლონ კონკურენტუნარიან გარემოს და გამოუშვან პროდუქცია, რომელიც გასაღებას ჰპოვებს არამარტო ქართულ, არამედ მსოფლიო ბაზარზე. და როცა სახელმწიფოს უმაღლეს ეშელონებში გახშირდა ჯანსაღ კონკურენციაზე საუბარი, ანალოგიური შემთხვევები ყურადღების მიქცევით არა მარტო პრესა, არამედ თვით ხელისუფლებაც უნდა იყოს დაინტერესებული.

**მანანა ლობჯანიძე**

# ვინ იცის ცხვირის საიდუმლო?

უშნო ცხვირი გაქვთ? ნუ იდარდებთ. დიდი ყურები? არც ეგ არის პრობლემა. ტუჩის, თვალის, წარბის, ტანის და ვინ იცის კიდევ, რისი ოპერაცია არ კეთდება! მთავარია გქონდეთ სურვილი



სილამაზისა და კიდევ ფული. ფული ხომ ყოვლისშემძლეა!

ძვირადღირებულ პლასტიკურ ოპერაციებს უცხოელებიც აკეთებენ ჩვენთან, მაგრამ თუ მოდასაყოლილი აუცილებლად ისრაელიდან ან სხვა ქვეყნიდან ჩამოსულ უცხოელ სპეციალისტებს არ ეწვევით, არანაკლები (თუ მეტი არა) ოსტატობით ქართველები მოგემსახურებიან. დაინტერესდით? მიაკითხეთ რკინიგზის ბაზაზე შექმნილ პლასტიკური ქირურგიის განყოფილებას.

— 1982 წლიდან ვაკეთებ პლასტიკურ ოპერაციებს. დაახლოებით 2000 ცხვირის ოპერაცია მაინც მაქვს გაკეთებული. საინტერესო სამუშაოა, მსიამოვნებს, როცა ადამიანს ვეხმარები და ვალამაზებ, — გვითხრა საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილემ, აკადემიკოს ფიფიას სახელობის კლინიკური ბაზის ხელმძღვანელმა, პლასტიკური ქირურგიის განყოფილების თანამშრომელმა **ბატონმა თემურ გასვიანმა**.

ზოგს ღვთისგან შექმნილი არსების გარეგნობაში ჩარევა ცოდვად ეჩვენება, ზოგს კი პირიქით, მადლად მიაჩნია.

ფაქტი ერთია, დამფრთხალ-შეშინებულნი თუ უკვე ნებიერნი და ცხვირშეკრულნი მოლოდინით შესცქერიან კარს და ბატონი თემურის გამოჩენას ელიან.

ბატონი თემურის ცხვირის შემხედვარე იფიქრებთ, ოპერაცია თუ კარგია, უწინ თავის ცხვირს მიხედავდაო, ბატონ თემურს გასამართლებელი საბუთი ნამდვილად აქვს, მისი ცხვირი თვითრეკლამაა. თავის საქმიანობის რეკლამა.

— სხვას ვერ ვენდობი და ჩემით ვერ ვიკეთებო — ამბობს ხუმრობით.

ბატონ თემურს ისე, როგორც თბილისში პლასტიკური ქირურგიის სპეციალისტთა უმრავლესობას, ვახტანგ ხურციძის (პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელი) სკოლა აქვს გავლილი.

პირველი ოპერაცია რომ გავაკეთე, ბატონი ვახტანგი მედგა გვერდით, იგია ჩემი უშუალო ხელმძღვანელი, მასწავლებელი, მას მერეც ბევრს ვსწავლობდი მისგან. ამ დარგში ჩემს სპეციალისტად ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი აქვს მას, არ შეიძლება არ გამოვხატო მადლიერება რკინიგზის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის ბიჭიკო ბორჯაძის მიმართ, რომელიც ხელს მიწყობს, რომ სპეციალობა არ დავკარგო, საავადმყოფოს არ მივეჯაჭვო და ადმინისტრატორი არ გავხდე, — ამბობს ბატონი თემური.

მოკლედ, პლასტიკურ ქირურგიას დიდი პერსპექტივა აქვს საქართველოში და საერთოდ კავკასიაში. განსაკუთრებით კი ცხვირის ოპერაციის მსურველთა ოდენობაა დიდი, თუმცა გასაოცარი არაფერია, კავკასია ლამაზი, მაგრამ ბარაქიანი ცხვირის პატრონი ხალხით გამოირჩევა.

დაინტერესდით, მიაკითხეთ რკინიგზის ბაზაზე შექმნილ პლასტიკური ქირუ-



რგიის განყოფილებას და თქვენც ლამაზი ცხვირი გექნებათ...

**ნანა გელოვანი**

# სატირა

## დღეს ნამუსია ყველაზე მაღალი თანამდებობა

ხალხო, ნუ მოვკლავთ ერთმანეთს!
ვაცალოთ მიქელ-გაბრიელს,
ხომ ხედავთ, მტრებმა ისედაც
მსახვრალი ხელი დაგვრიეს.
ქვეყანა თავზე დაგვექცა,
კაცი კაცს აღარ ენდობა,
დავწყნარდეთ, სკამის გულისთვის
ხოცვა და რბევა გვეყოფა.
ოჯახი ავალორძინოთ,
კაი მამობა, დედობა,
დღეს ნამუსია ყველაზე
მაღალი თანამდებობა!

*ნიკოლოზ იოსებიძე*




თქვენი საუკეთესო არჩევანი

TURQUOISE EAU DE PARFÜM



გამოვიდა სატირულ-იუმორისტული გაზეთი

სიცილო-თერაპია

იკითხეთ „სიცილო-თერაპია“ და თქვენ მუდამ ჯანმრთელი იქნებით!



რეკლამის განთავსების მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველო“ თავისი ნომრის ერთ გვერდს
უთმობს სარეკლამო განცხადებებს.
რეკლამა კეთდება შეღავათიან ფასებში.
ყოველი მესამე გამოშვება თქვენთვის
უფასოა

დაგვიკავშირდით ტელ.: 93-18-41, 93-20-36 ან მობრძანდით
მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული,
გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია.



ექსპრეს აუდიტ სერვისი

*ლიცენზია №091*

*გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურებას ზოგად აუდიტში*

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
ქონების შეფასება-გადაფასება;
ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. 5, მე-2 სართ. ტელ.: 93-15-89



*გამოიწერეთ გაზეთი*

„საქართველო“

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს“ ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:
- მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71-32-87
- გლდანის რაიონი, დუმბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62-75-32
- დ.გურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60-80-22
- ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.№14 ტელ. 95-87-36
- ქეთევან წამებულის გამზ. 61, ტელ. 74-14-47
- აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34-75-51
- რ.თაბუკაშვილის ქ. №12
- ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ. 22-64-58
- ცენტრალური ოფისი, კ.გამსახურდიას გამზ. 42, ტელ. 37-47-49, 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიწვიონ „მაცნე“-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად. ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.


# ჩაინვორდი



1-3. ზუზულის ძახილი; 2-4. ქართველი სპორტსმენი-მკლავჭიდელი; 4-6. მხოლოდ სევანის ტბაში (სომხეთი) გავრცელებული თევზი; 5-7. გამარჯვების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 7-9. რაიმე სიდიდის მეორე სიდიდის ცვლილებაზე დამოკიდებულების გრაფიკული გამოსახვა; 8-11. ინდური მუსიკალური ესთეტიკის ერთ-ერთი ძირითადი მცნება; 10-12. ქართველი სასულიერო მოღვაწე, მოაზროვნე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე; 12-14. საქართველოს მდინარე; 13-16. ბგერების განმეორება ლექსის სხვადასხვა სტრიქონში; 15-18. სურათი, რომელზეც ზღვის ხედია გამოსახული; 17-19. ხევი ისტორიულ დვალეთში რომელიც შიდა ქართლს ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებდა; 19-21. აშშ-ის ზოგიერთი რაკეტმატარებლის უკანასკნელი საფეხური; 20-23. ბამბის ქსოვილი; 22-25. ქართული ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი წმინდანის ეპითეტი; 24-27. მარცვლეულისა და სითხის საწყაო XIX საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში; 26-28. რადიოლოკაციის მეთოდებით სხვადასხვა ობიექტზე დასაკვირვებელი მოწყობილობა; 28-30. გერმანელი კოსმონავტი-მფრინავი; 29-31. მონაწილე მარჯანიშვილელთა სპექტაკლისა „ჩემი ეიფელის კოშკი“; 31-32. პოეტი, რომლის ბევრი ლექსი უნგრული სატრფიალო ლირიკის შედევრად ითვლება; 32-33. ქალაქი — იაპონელთა სალოცავი ადგილი; 33-35. ღომში მოხარშული და ჩაზელილი სულგუნი; 34-37. მუსლიმანთა საღვთო ომი; 36-38. ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 38-40. პერსონაჟი თამაზ ჭილაძის პიესისა „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“; 39-41. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის მსხვერპლი; 42-43. სოფელი საქართველოში; 43-45. მუშაობისა და ენერგიის საზომი ერთეული; 44-46. ამერიკელი კინოვარსკვლავი; 46-47. გალილეის მიერ აღმოჩენილი ციური სხეული.

# განცხადებები

ქირავდება 1-ოთახიანი იზოლირებული ბინა ტელეფონით, ავეჯით, მაცივრით დიდუბეში, ეკლესიასთან ახლოს. ფასი შეთანხმებით ტელ: 34-48-67

ქირავდება კეთილმოწყობილი ფართი 140 კვმ, კოსტავას ქუჩაზე. ფასი 500 დოლარი ტელ: 39-31-75

ვიქირავებ 2 ან მეტ ოთახს ადვილად მისადგომ ადგილას. სასწრაფოდ. ტელ: 95-95-85

ვაქირავებ 2-ოთახიან ბინას დიდ დიღომში მე-3 მკრ, 13 სართულიანის მე-3 სართულზე. ფასი შეთანხმებით ან ვცვლი 1-ოთახიან ბინაზე თანხის დამატებით. სასურველია გაქირავებაზე სტუდენტი გოგონები. ტელ: 38-08-25 ან 37-28-81

იყიდება დუშეთში ან იცვლება თბილისზე კეძრო 1-სართულიანი ურემონტო სახლი 600 კვმ. ხეხილიანი ბაღით. მუდმივად არის დენი და წყალი, ბუნებრივი გაზი. ტელ: 39-42-73

იყიდება 3-სართულიანი დაუმთავრებელი საგარაკო სახლი სოფელ შინდისში. თბილისდან 12 კმ. გარედან გალესილია. ჩასატარებელია შიგა სამუშაოები, 600 კვმ, ხეხილიანი ეზოთი ან იცვლება 2-ოთახიან ბინაზე თბილისში. ფასი 8000 დოლარი. ტელ: 34-46-11

იყიდება წიწილების ინკუბატორი (48 კვერცხიანი). ფასი შეთანხმებით ტელ: 95-81-03, 95-53-31

იყიდება ჩეხური ლინელიუმი 5 მეტრი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 35-81-03

იყიდება კერძო ბინა 4-ოთახიანი, ყველა სათავსოთი, სარდაფით, 100 კვმ, არის დაშენების საშუალება, მუდმივი დენით, ტელეფონით. ფასი 35000 დოლარი. მისამართი: კარგარეთელის ქ. 2ა. ტ: 96-79-46 ქეთო

იყიდება 5-ოთახიანი ბინა მეტრო „300 არაგველთან“ ჭერის სიმაღლე 3მ 30სმ, საერთო ფართი 100 კვმ, მიშენებულია ლოჯი 192 კვმ, ლოჯის ქვეშ 2 ავტოფარეხის ადგილია. წყალი და სინათლე მუდმივად არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 74-52-12 ანა

ვყიდი გერმანული კომპაქტდისკების ნაკრებს (50 ცალი) არის კლასიკის, ბაროკოს, რომანტიზმის პერიოდის კომპოზიტორთა და ქანთრის წარმომადგენელთა ნაწარმოებები ბერლინის ფილარმონიის ორკესტრის შესრულებით. სულ 50 კომპოზიტორის 200-მდე ნაწარმოები. ფასი 1200 დოლარი. ტელ: 61-71-43 ნათია

იყიდება სასწრაფოდ, იაფად საბურთალოს ქუჩაზე იპოდრომთან, მე-4 სართულზე არასტანდარტული 3-ოთახიანი ბინა ლოჯით, მიშენებული 40 კვმ, ბინა ახალი პროექტით, 5-ოთახნახევრიანია. ოთახები იზოლირებულია, კედელში სათავსოებით, აქვს სარდაფი, მანქანის სადგომი. საწყისი ფასი 32000 დოლარი. ტელ: 72-35-66 დოდო ან ნათია


კინოთეატრი «ივერია»,
18-დან 24 მაისამდე
სისტემა „დოლბი“. მობრძანდით! საოცრება კინოდარბაზში!
განცდები კინოგმირებთან ერთად.
ფილმში „ცეცხლოვანი ფრინველები“.
რუსთაველის მოედანი, მინისქვეშა კომპლექსი.
დასაწყისი 12, 14, 16 და 18 საათზე.





გიწვევთ!

გაზეთ „საქართველოს“ სარეკლამო განყოფილება სამუშაოდ გიწვევთ 19-დან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს.

მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული, ტელ: 93-18-41, 93-20-36



რედაქტორის მოადგილე
ანა ჯუღელი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444